ჩვენი თაობა

4

თბილისი

1940

1948 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა" გამოდის ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად	18 მან.
ნახევარი წლით . .	9 „
ცალკე ნომერი . .	1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

12 792

4

Библиотека-Музей
Академия наук

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი
1940 წელი აპრილი

შინაარსი

გვ.

ვლადიმერ ლენინი 5

კ. ნ. ჩარკვიანი—ხელოვნება და ლიტერატურა 7

ვლადიმერ მაიაკოვსკი (გარდაცვალებიდან 10 წლისთავის გამო) 12

მხატვრული ლიტერატურა

კალე ბობოხიძე — სტალინის სანაპირო ბაღში. 15

გრიგოლ ცეცხლაძე — ორი ლექსი 17

კოტე ხიმშიაშვილი — ჯონქა ხორნაული (რომანი) 18

ლადო ასათიანი — ცაგერის ბაზრობა . . . 35

გიორგი კალანდაძე — *** 37

რევაზ მარგიანი — გზაში 38

იოსებ ნონეშვილი — *** 39

ვლადიმერ სულაბერიძე—თოვლი მთაწმინდაზე. 40

ვლადიმერ უბილავა — კოლხური ზღაპარი. . 41

გრიგოლ იმედაძე — პოეზია 42

შალვა იოსელიანი — პატარა ქოლგა . . . 44

იოსებ მჭედლიშვილი—მგოსნის სიკვდილი (გაგრძელება) 45

კრიტიკა

აკაკი გაწერელია — დავით კლდიაშვილი (გაგრძელება) 48

ლიტერატურული არქივი

მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების შესახებ 53

სარედაქციო კოლეგია: ასტვაცატუროვი ერემია, ბენაშვილი დიმიტრი (პასუხისმგებელი რედაქტორი), გრიშაშვილი იოსებ, კლდიაშვილი სერგო, ქიაჩელი ლეო, შენგელაია დემნა, ჩიქოვანი სიმონ.

პასუხისმგებელი მდივანი: ნიკოლოზ აგიაშვილი

წარმოებას გადაეცა 20/III-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/V-40 წ. ქაღ. ზომა 72 × 108. ფურნ. ზომა 7 × 11½. ფორმ. რაოდ. 4. შეკვ. № 634, მთავლიტის რწმუნებულის № 2173. ტირ. 4000.

სახელგამის პოლიგრაფიული კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.



ვლადიმერ ლენინი

ვლადიმერ ლენინი

1870 წლის 22 აპრილი დიადი თარიღია კაცობრიობის ისტორიაში. ამ დღეს დაიბადა უდიდესი მოაზროვნე, მარქს-ენგელსის მოძღვრების გენიალური გამგრძობი და განმავითარებელი, უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, ყველაზე დიდი ადამიანი, — ვინც კი ოდესმე ყოფილა, — ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ლ ი ა ს-ძ ე ლ ე ნ ი ნ ი.

ლ ე ნ ი ნ ი ს ტიტანურ სახელთან დაკავშირებულია მთელი მშრომელი ხალხის გათავისუფლების ბრწყინვალე საქმე. ამ ნათელ სახელში, ისევე, როგორც მარქსისა და ენგელსის სახელებში, განვითარება ჰპოვეს ყველა ეპოქის მოწინავე ადამიანებისა და ჩვენი დროის პროგრესიული კაცობრიობის მისწრაფებებმა.

ლენინმა დიდი და ჭეშმარიტი მეცნიერის შეუპოვარი გმირობით თანმიმდევრულად დაიცვა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება, გაანადგურა მარქსიზმის საერთაშორისო მტრები, ამ მტრების ყველა სახეობა. „მან შემდგომ განავითარა მარქს-ენგელსის მოძღვრება განვითარების ახალ პირობებთან შეფარდებით, კაპიტალიზმის ახალ ფაზასთან შეფარდებით, იმპერიალიზმთან შეფარდებით... ლენინმა მარქსიზმის საერთო საგანძურში შეიტანა ახალი რამ იმასთან შედარებით, რაც მოგვცეს მარქსმა და ენგელსმა, იმასთან შედარებით, რის მოცემაც შესაძლებელი იყო წინა იმპერიალისტური კაპიტალიზმის პერიოდში“ (ი. სტალინი).

ლენინმა მარქსიზმის უბოროტეს მტერთან — ნაროდნიკობასთან — ბრძოლაში საფუძველი ჩაუყარა მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას რუსეთში. მან, დიდ ს ტ ა ლ ი ნ თ ა ნ ერთად, მუშათა კლასის შენიღბულ და აშკარა მტრებთან ბრძოლაში, რუსეთისა და მსოფლიოს მასშტაბით, შექმნა და გამოაწრთო მუშათა კლასის მებრძოლი, რევოლუციური პარტია — ბოლშევიკების პარტია.

ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ რუსეთის მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის რევოლუციური დარაზმვით მოახდინა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, მოაწყო მრავალეროვნებათა ძმურ სოლიდარობაზე აგებული საბჭოთა სახელმწიფო — დიდი საბჭოთა კავშირი და შეაიარაღა გათავისუფლებული ხალხი ერთს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მწყობრი მარქსისტულ-ლენინური თეორიით, რაც შემდეგ დაიცვა, განავითარა და განახორციელა ლენინის უახლოესმა თანამებრძოლმა, მისი საქმის უბადლო გამგრძობმა ბრძენმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა.

ამხანაგმა სტალინმა სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობაზე პარტიის სახელით, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით დასდო დიადი ფიცი ურყევად გაგვეხორციელებინა ლენინის ყველა ანდერძი: მტკიცედ დაგვეცვა პარტიის წევრის დიადი სახელი, პარტიის ფოლადისებური ერთიანობა, გაგვემტკიცებინა საბჭოთა კავშირის ძლიერება, მუშათა და გლეხთა კავშირი, მრავალეროვან საბჭოთა ხალხის ძმური თანამშრომლობა, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნა-

რიანობა, წითელი არმიის საბრძოლო ძლიერება და ვყოფილიყავით მარად ერთგულნი კომუნისტური ინტერნაციონალის დიადი პრინციპებისადმი.

ამხანაგ სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხები ბრწყინვალედ ანხორციელებდნენ და ანხორციელებენ ამ დიად ფიცს. ლენინის დაბადებიდან 70 წლისთავზე სოციალიზმის ქვეყანა ზეიმობს ლენინიზმის უდიდეს გამარჯვებებით მეურნეობის, ტექნიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა ფრონტზე.

ლენინიზმის ბასრი თეორიული იარაღით აღჭურვილი საბჭოთა მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა დღითი-დღე იზრდება და იფურჩქნება. მხატვრული სიტყვის ძველი და ახალი კადრები ქმნიან მიმზიდველ და წარმტაც ტილოებს სოციალიზმის ეპოქის ბედნიერ ხალხთა სასიხარულო და საამურ ცხოვრებიდან, მათი წარსული და დღევანდელი გმირობიდან. მაგრამ, ეს კიდევ არ არის ყველაფერი. საბჭოთა ლიტერატურას, მწერლობას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ სრულყოფილი და კლასიკური სიძლიერით ასახოს ჩვენი თანამედროვეობა, შექმნას დიადი ლენინურ-სტალინური ეპოქის შესატყვისი მონუმენტალური მხატვრული ძეგლები.

ლენინი გვასწავლიდა, რომ არასოდეს არ მივცემოდით მოპოებული მიღწევებით თვითკმაყოფილებას, ყოველთვის ახლო ვყოფილიყავით ხალხთან, ყოველდღიურად გაგვემდიდრებინა ცოდნის მარაგი, გაბედულად გვევლო წინ, — ახალ-ახალი მწვერვალების დასაპყრობად. დიდი ლენინის ეს მითითებანი განსაკუთრებული ძალით ეხებოდა და ეხება მხატვრული სიტყვის ოსტატებს, მის ახალგაზრდა კადრებს, რადგან ცოდნის და თავის ეპოქის მოწინავე იდეებით შეიარაღების გარეშე ლენინი შეუძლებლად სთვლიდა შეექმნა მწერალს რაიმე ღირსშესანიშნავი ნაწარმოები. საბჭოთა მწერალი, ლენინის აზრით, ახლოს უნდა იყოს ცხოვრებასთან, მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს იმას თუ, მშრომელი მასა როგორ აშენებს ახალს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ლენინი დიდ როლს აკუთვნებდა პირადი ინიციატივისა და ინდივიდუალური მიდრეკილების თავისუფლებას მხატვრული აზროვნების სფეროში. მაგრამ, ამასთან სასტიკად ებრძოდა წვრილ-ბურჟუაზიულ, ავადმყოფურ ინდივიდუალიზმს, რაც მწერალს სწყვეტს ცხოვრებისაგან, ხალხისაგან. მხოლოდ ცხოვრებასა და ხალხში იპოვით თქვენ, — ეუბნებოდა ლენინი ერთ-ერთ ცნობილ მხატვარს,—იმპულსს ნამდვილი შემოქმედებისათვის. ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების შექმნა ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ მაშინ, როცა მწერალი ეყრდნობა აღებული ფაქტების ღრმა ცოდნას.

ლენინის ამ ღირსშესანიშნავ მითითებებზე მწერლობისა და ლიტერატურის შესახებ ყოველდღიურად უნდა სწავლობდნენ და ეუფლებოდნენ მხატვრულ ოსტატობას ჩვენი ლიტერატურის ახალგაზრდა კადრები, რადგან ყველაზე მეტად ხალხური, ყველაზე მეტად რევოლუციური, ყველაზე მეტად მგზნებარე და უშუალობით გამთბარი თანამედროვეობის ამსახველი სურათები და მხატვრული სახეები უნდა შექმნას მწერლობის იმ თაობამ, რომელიც აღზარდა მზიურმა სოციალისტურმა ცხოვრებამ.

ლენინი აღარ არის! მაგრამ ლენინიზმი ცოცხლობს და ყოველდღიურად იმარჯვებს ლენინის საქმის დიადი გამგრძობის და გამავითარებლის, დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით!

კ. ნ. ჩარკვიანი

ხელოვნება და ლიტერატურა

საანგარიშო პერიოდი ხასიათდება ქართული საბჭოთა ხელოვნების შემდგომი იდეურ-შემოქმედებითი ზრდით. გაიზარდნენ და განმტკიცდნენ სცენის, მუსიკისა და ფერწერის ოსტატთა კადრები.

წარმატებით განაგრძობს თავის შემოქმედებითს გზას რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელმაც განახორციელა მხატვრული ღირებულების შემცველი და იდეური შინაარსით ალსავსე მთელი რიგი დადგმები: პოგოდინის „თოფიანი კაცი“, კორნეიჩუკის — „ბოგდან ხმელნიცკი“, შიუკაშვილის — „სულელი“, დადიანის — „გუშინდელნი“ და სხვ.

ცუდად არ მუშაობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრიც, რომელმაც დასდგა საბჭოთა პიესები „კოლმეურნის ქორწინება“ — დრამატურგ კაკაბაძისა, „მათი ამბავი“ — გაბესკირიასი, კლასიკური კომედია „მადამ სან-ჟენ“ და სხვ.

გრიბოედოვის სახელობის თეატრს დამსახურებული წარმატება აქვს მაყურებლებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თეატრის მუშაობა შ. დადიანის ცნობილი ისტორიულ-რევოლუციური პიესის „ნაპერწკლიდან“ დადგმისათვის.

ეს პიესა დასდგა აგრეთვე სომხური დრამის თეატრმა, რომელიც უკანასკნელ წლებში სერიოზულ შემოქმედებითს კოლექტივად გაიზარდა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა საოპერო თეატრის რეპერტუარი. დაიდგა საბჭოთა ოპერები: „წყნარი დონი“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ და ბალეტი „ბახჩისარაის შადრევანი“.

თეატრმა ვერ შესძლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაემდიდრებინა თავისი რეპერტუარი ახალი ქართული საოპერო ნაწარმოებით. ეს მისი მუშაობის ერთერთი ყველაზე სერიოზული ნაკლოვანებათაგანია.

ამჟამად უკვე დაწერილია და დასადგმელად მზადდება კომპოზიტორ ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღი“, ი. ჭავჭავაძის პოემის მიხედვით, და კომპოზიტორ შ. თაქთაქიშვილის ოპერა „დეპუტატი“.

კომპოზიტორი ტუსკია სწერს ოპერას სამშობლოს თემაზე და კომპოზიტორი კილაძე ოპერას მგზნებარე რევოლუციონერ-ლენინელზე, დიდი სტალინის თანამებრძოლ ლადო კეცხოველზე.

თეატრის კოლექტივმა უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს კომპოზიტორებთან და აღმოუჩინოს მათ შემოქმედებითი დახმარება. თეატრთან თანა-

---

*) საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებიდან საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე 1940 წლის 16, მარტს.

მშრომლობით კომპოზიტორები უფრო ადვილად დასძლევენ თანამედროვე თემებზე ახალი ნაციონალური ოპერებისა და სხვა მუსიკალური ნაწარმოების შექმნის ამოცანას.

ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა და ხელოვნების საქმეთა სამმართველო უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ ახალი კადრების აღზრდის საქმეს, უფრო გაბედულად მიანდონ საპასუხისმგებლო პარტიები ნიჭიერ არტისტებს ახალგაზრდებიდან. ამასთან ერთად საჭიროა თეატრის შემოქმედებითს მუშაკებს შევუქმნათ საჭირო პირობები მათი იდეური დონისა და შესრულების ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ორი წლის განმავლობაში საქართველოს თეატრებმა უჩვენეს სულ 278 ახალი დადგმა და 9.636 რიგითი წარმოდგენა. ამ სპექტაკლებს დაესწრო 3.446,2 ათასი კაცი.

ჩვენი თეატრები განუწყვეტლივ უნდა აუმჯობესებდნენ თავისი კადრების კვალიფიკაციას და იძლეოდნენ სრულფასოვან მხატვრულ დადგმებს თანამედროვე თემებზე, პარტიის ისტორიის, ქართველი ხალხის ისტორიის, სოციალისტური მშენებლობის თემებზე, მათ უნდა შეჰქმნან გმირული სპექტაკლები, რომლებიც აღზრდიან და ასახავენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმის წმინდათწმინდა გრძნობას.

*

* *

საქართველოს მხატვრებმა საანგარიშო პერიოდში შეჰქმნეს ახალი ტილოები, რომლებიც მოწმობენ მათს იდეურს და შემოქმედებითს ზრდას. გაიმართა რამდენიმე გამოფენა. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ამხანაგ **სტალინის** დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ეს გამოფენა არსებითად არის გაგრძელება ნამუშევართა ცნობილი ციკლისა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის თემებზე, რომელთა შექმნა საქართველოს მხატვრებს შთააგონა ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** შესანიშნავმა წიგნმა.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველა მხატვარი ვერ დაეუფლა სრულყოფილად ყალმის რთულ ოსტატობას. გამოფენებზე, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით სურათებს, რომლებიც მოწაფეთა ნამუშევრების შთაბეჭდილებას სტოვებენ. ზოგიერთი მხატვარი სუსტად იცნობს ნატურას და ანგარიშს არ უწევს მას.

საჭიროა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ უფრო მაგრად მოჰკიდოს ხელი მხატვრულ განათლებას, სერიოზულად უნდა დავეხმაროთ საქართველოს სამხატვრო აკადემიას და შევუქმნათ მას პირობები მხატვართა ყოველმხრივ განათლებული კადრების აღზრდისათვის, რომლებიც მთლიანად იქნებიან დაუფლებული სახვითი ხელოვნების ტექნიკას.

თავისი წევრების მხატვრულ-კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ამოცანით უნდა ხელმძღვანელობდეს მთელ თავის მუშაობაში აგრეთვე მხატვართა კავშირი, რომელმაც, უნდა ითქვას, ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა ამ მიმართულებით.

*
* *

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქართული საბჭოთა ლიტერატურა გამდიდრდა ახალი ძვირფასი, მხატვრული ნაწარმოებებით სხვადასხვა თემებზე. ამ ნაწარმოებთაგან იდეური შინაარსითა და მხატვრული ღირსებით გამოირჩევიან ის წიგნები, რომლებიც მიძღვნილია ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** ჭაბუკობის წლებისადმი.

მთელმა ქართულმა ლიტერატურამ ფართოდ აღნიშნა ამხანაგ **სტალინის** დაბადების 60 წლისთავი. ამ თარიღისათვის ქართველმა პოეტებმა დასწერეს მიმართვა ლექსად, რომელშიც მათ მხატვრულ სახეებში მოგვცეს ბელადის განთავისუფლებული და ბედნიერი სამშობლოს სურათი, გამოხატეს საქართველოს მშრომელთა მხურვალე მადლობა და სიყვარული ხალხთა ბედნიერების შემომქმედის დიდი **სტალინისადმი. (ტაში).**

ამავე თარიღისათვის გამოიცა კონსტანტინე გამსახურდიას წიგნი „ბელადი“, გიორგი ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა“ და კრებული მხატვრული ნაწარმოებებისა ამხანაგ **სტალინის შესახებ.**

შემოქმედებითს აქტივობას იჩენს მოწინავე პოეტი გალაქტიონ ტაბიძე, რომელმაც ქართული პოეზია გაამდიდრა ოსტატურად დაწერილი ლექსებით ბელადზე და მის სამშობლო ქალაქზე.

კარგად დაწერილი პოემის „ენგურის“ შემდეგ პოეტმა ალიო მაშაშვილმა გამოუშვა ლირიკული ლექსების კრებული. მაშაშვილის შემოქმედება პოეტური გამოხმაურებაა ჩვენს სინამდვილეზე.

სიმონ ჩიქოვანის ლექსების უკანასკნელი წიგნი მოწმობს პოეტის შემდგომ იდეურ და შემოქმედებითს ზრდას. ჩიქოვანი წარმატებით მუშაობს ბოლშევიზმის ისტორიის ცალკეული ეპიზოდების ასახვაზე.

პოეტი ილო მოსაშვილი აქტიურად ეხმაურება ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებს. საჭიროა აღინიშნოს მისი კარგი ლექსი „ბელადის სახლი“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის მოსაშვილი სწერს პოემას მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების შესახებ დუშეთში.

თავის პოემაში „წულუკიძის გარდაცვალება“ პოეტი ირაკლი აბაშიძე შეეცადა მოეცა კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლის, დიდი სტალინის თანამოსაგრის — ალექსანდრე წულუკიძის სახე.

თავისი რომანის „გვადი ბიგვას“ გმირის მაგალითზე მწერალმა ლეო ქიაჩელმა დამაჯერებლად გვიჩვენა გლეხის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისა და ახალი ადამიანის ფორმირების პროცესი.

აქტიურად მუშაობდნენ აგრეთვე ქართული პოეზიისა და პროზის სხვა წარმომადგენლებიც: დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე, ა. შანშიაშვილი, გ. აბაშიძე და სხვ.

გასული წლის თებერვალში საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა რევოლუციამდელი ქართველი ინტელიგენციის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენლის, მწერლისა და თეატრალური მოღვაწის შ. ნ. დადიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წელი. შ. ნ. დადიანი განაგრძობს ენერ-

გიულ, შემოქმედებითს მუშაობას და ჰქმნის ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს საბჭოთა თემატიკაზე.

საჭიროა ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურისათვის ჯერ კიდევ რჩება საბრძოლო ამოცანად სოციალისტური სამშობლოს თანამედროვე სურათის სრულყოფილად მოცემა. მწერლებმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მოჰკიდეს ხელი თემატიკას მესამე სტალინური ხუთწლედის შესახებ, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის ეპოქის შესახებ. მთელი რიგი მწერლები ჯერ კიდევ მეტისმეტად გატაცებული არიან შორეული წარსულის სახეებით. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია წარმოადგენს უშრეტ წყაროს მხატვრული შემოქმედებისათვის. უდავოა, რომ ისტორიული თემების დამუშავება მწერლების საპატიო ამოცანაა. მაგრამ მტკიცედ უნდა შევითვისოთ, რომ ისტორიული თემები თანამედროვე თემატიკის მხოლოდ დამატებას უნდა წარმოადგენდნენ. საბჭოთა მკითხველს პირველ რიგში უნდა ლიტერატურაში დაინახოს სტალინური ეპოქის ადამიანები, რომლებიც გვიჩვენებენ გმირობისა და სიმამაცის უბადლო ნიმუშებს, კომუნიზმის დიადი, მსოფლიო-ისტორიული საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების ნიმუშებს. ჩვენი ლიტერატურა მოვალეა დააკმაყოფილოს მკითხველის ეს სამართლიანი მოთხოვნა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობას მოწმობს აგრეთვე მისი პოპულარობის ზრდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ქართველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები ფართოდ გამოდის და იკითხება მოძმე რესპუბლიკებში. ქართულმა ლიტერატურამ, ქართული საბჭოთა კულტურის მშენებლის ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** მუდმივი მზრუნველობის მეოხებით, განიმტკიცა ადგილი საბჭოთა ხალხთა მოწინავე ლიტერატურებს შორის. **(ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში შესანიშნავი წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებით დააჯილდოვა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცამეტი მოწინავე წარმომადგენელი. ეს მაღალი ჯილდო ბევრ რამეს ავალებს ქართველ საბჭოთა მწერლებს.

საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ჩვენი დრამატურგების არასაკმაო შემოქმედებითი აქტივობა. თეატრები უკანასკნელ ხანებში განიცდიან კარგი პიესების დიდ ნაკლებობას. ეს ხარვეზი უნდა გამოვასწოროთ.

გაიზარდნენ და მკითხველთათვის ცნობილი ხდებიან ახალგაზრდა ავტორები: ლ. ბალიაური, ს. ისიანი, გ. კალანდაძე, ა. საჯაია, მ. მრევლიშვილი და სხვ. მათი ნაწარმოებები მოწმობენ მწერალთა ახალი თაობის შემოქმედებითს ძალასა და ზრდას.

საბჭოთა მწერლების კავშირმა უნდა მოაწყოს ლიტერატურული ახალგაზრდობის სისტემატური სწავლება, დაეხმაროს მათ თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებასა და ლიტერატურული ოსტატობის დაუფლებაში.

მწერლები უნდა დაეუფლონ **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიად თეორიას, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია ჩვენი თანადროულობის, საზოგადოებრივი განვითარების კანონების, კომუნიზმის გამარჯვების კანონების გაგების მიღწევა, მაშასადამე, შეუძლებელია სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებების შექმნა ჩვენი ეპოქის შესახებ.

*

* *

1938-1939 წლები საქართველოს კინემატოგრაფიისათვის მძიმე და შემოქმედების მხრივ არასავსებით ნაყოფიერი წლები იყო. კინომოეწველობის რეორგანიზაციის დროისათვის, 1938 წელს საქართველოს სახკინმრეწვს წარმოებაში ჰქონდა 7 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. აქედან კინემატოგრაფიის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა წარმოებიდან მოხსნა 6 ფილმი.

ახალი სცენარების უქონლობის შედეგად კინოსტუდია მოულოდნელად იძულებული გახდა გამცდარიყო. 1938 წელს მან გამოუშვა მხოლოდ ერთი ისტორიულ-რევოლუციური სურათი „დიადი განთიადი“, ერთი სამეცნიეროტექნიკური ფილმი „საბჭოთა ჩაი“ და ნარკვევ-ქრონიკალური ფილმები.

1938 წლის გაცდენით გამოწვეული შედეგები კინოსტუდიამ დიდხანს ველარ გამოასწორა. 1939 წელს მან გამოუშვა მხოლოდ ორი ფილმი: „სამშობლო“ და „დაგვიანებული სასიძო“.

ამჟამად კინოსტუდია მთლიანად დატვირთულია. იგი იღებს და წელს უნდა გამოუშვას ხუთი მხატვრული ფილმი თანამედროვე თემებზე.

რეჟისორი ჭიაურელი უკვე მუშაობს გრანდიოზულ, უაღრესად საპასუხისმგებლო ფილმის „ფიცის“ დადგმაზე, რომელშიც მხატვრულად უნდა იქნას ასახული შესრულება საბჭოთა ქვეყნის მიერ იმ დიადი ფიცისა, რომელიც ამხანაგმა **სტალინმა** დასდო **ვ. ი. ლენინის** კუბოსთან.

რეჟისორი შენგელაია სდგამს ფილმს „ნაპერწკლიდან“ — ახალგაზრდა **სტალინის** მიერ საქართველოში შექმნილი ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან აღებულ თემაზე.

სწარმოებს აგრეთვე მოსამზადებელი სამუშაოები დიდი ისტორიული ფილმის „გიორგი სააკაძის“ დასადგმელად. ფილმი გამოშვებულ უნდა იქნას 1941 წელს.

საქართველოს კინოსტუდიას აქვს ყველა შესაძლებლობა — შემოქმედებითი კადრები, ტექნიკური ბაზა — იმისათვის, რომ საბჭოთა კინემატოგრაფია ახალი კარგი ნაწარმოებებით გაამდიდროს. ეს შესაძლებლობანი მთლიანად უნდა იქნან გამოყენებული.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

გარდაცვალებიდან 10 წლისთავის გამო

ათი წელი შესრულდა ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან. საბჭოთა ქვეყნის ხალხები ამ თარიღს დიდი სიყვარულის გრძნობით აღნიშნავენ, ვინაიდან მაიაკოვსკის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული ოქტომბრის დიდ რევოლუციასთან. ინტელიგენციის ბანაკიდან იგი პირველი მივიდა სოციალისტურ ქვეყანასთან და თავისი ძლიერი პოეტური ხმა შეუერთა გამარჯვებული საბჭოთა ხალხის ხმას.

ვლადიმერ მაიაკოვსკი სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც რუსული სიმბოლიზმი თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა. დეკადენტიზმი დაეუფლა არა მარტო ლიტერატურას, არამედ ხელოვნების მთელ სფეროს. ხალხის სამსახური, რომელიც რუსული კლასიკური ლიტერატურის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა, სიმბოლიზმმა უარყო და „ზეცისაკენ სწრაფვა“ გამოაცხადა პოეზიის ალფად და ომეგად. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მაიაკოვსკი გაბედულად გამოვიდა სიმბოლისტური მიმართულების წინააღმდეგ და რუსული ლიტერატურის წინაშე დააყენა თანადროული მწვავე საკითხები, რომელიც აწვალებდა რუსეთის მაშინდელი საზოგადოების პროგრესულ ნაწილს. ვლადიმერ მაიაკოვსკი რადიკალურად გაემიჯნა პოეტთა იმ ჯგუფს, რომელიც რუსი ხალხის განვითარების მწვერვალს წარსულში ხედავდა და არა მომავალში. „მეო, ამბობდა მაიაკოვსკი, გაბედულად შევხარი მომავლის მოსვლას, მან, მხოლოდ მან უნდა მოიტანოს დიდი ხნის ნანატრი რუსი ხალხის ბედნიერება. თქვენ კი გულზე ხელს იცემთ, სტირით მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად საჭიროა ვაჟკაცობა და გამბედაობა“.

ვაჟკაცობა და გამბედაობა ვლადიმერ მაიაკოვსკის დამახასიათებელი თვისება იყო. მთელი მისი ბიოგრაფია ამ დებულების ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი დაიბადა საქართველოში, ბაღდათში. მან თავისი ბავშვობა ამავე სოფელში გაატარა, სადაც მამა მისი სატყეოს უფროსად მუშაობდა. ბავშვობისას მაიაკოვსკი ძლიერ მხიარული და ამხანაგობის მოყვარული იყო. პატარა მეგობრებთან ერთად ფეხშიშველი მახლობელ ტყეებში სანადიროდ წავიდოდა ხოლმე. გართობასთან ერთად პატარა ვლადიმერს თავდავიწყებამდე უყვარდა შრომა. ზეპირად სწავლობდა ლექსებს, ქართულ ზღაპრებს. სკოლის ასაკამდე შეისწავლა რუსული და ქართული ანბანი. მაიაკოვსკის განსაკუთრებით უყვარდა თქმულება ამირანზე. ამირანი იყო მისი სტიქია და ოცნების მეგობარი, ამირანის ვაჟკაცობა ყრმა მაიაკოვსკის აქეზებდა დიდ საქმეების შესრულებისთვის.

მშობლებმა მაიაკოვსკი ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. ამის შემდეგ დასრულდა ოცნების ხანა, რასაც დიდი სიყვარულით იგონებდა ხოლმე მაიაკოვსკი, და დაიწყო მის ცხოვრებაში სერიოზული პერიოდი.

ჯერ კიდევ შვიდი წლის ბავშვმა ნათლად დაინახა, რომ ქვეყანა ორი მოწინააღმდეგე ბანაკისაგან შესდგება. ამ შეგნებამ განსაკუთრებული დაღი დაასვა ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებას. 11 წლის ბავშვმა მიიღო მონაწილეობა 1905 წლის მოწაფეთა გაფიცვაში. იმავე წელს დაუახლოვდა მოწაფეთა მარქსისტულ წრეებს. 1906 წელს გარდაიცვალა მაიაკოვსკის მამა: ოჯახი დარჩა სრულიად უსახსროდ. მამის სიკვდილის შემდეგ ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა საცხოვრებლად გადადის მოსკოვში. ვლადიმერი მოსკოვში შედის მეხუთე გიმნაზიის მეორე კლასში.

მაიაკოვსკიმ სწორედ ამ წელს მოჰკიდა ხელი სერიოზულად პოეტის კალამს, მაგრამ შინაგანი ხმა მოუწოდებდა მას, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო პოეტური ვაჟკაცობისა. ამ შეგნებით მაიაკოვსკი პროპაგანდისტად მუშაობდა ფეხსაცმელების მკერავ ქარხნის და სტამბის მუშებთან. მუშაობის დროს ორჯერ დააპატიმრეს. მეორედ დაპატიმრებისას თერთმეტი თვე იჯდა მოსკოვის ცნობილ ბუტირკის ციხეში. ციხეში ვლადიმერ მაიაკოვსკიმ დაიწყო უახლოესი წლების მსოფლიო ბელეტრისტების ნაწარმოებთა შესწავლა.

პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ვლადიმერ მაიაკოვსკი ჩამოსცილდა პარტიულ მუშაობას და გადასწყვიტა სწავლის გაგრძელება. ამ ასაკში მაიაკოვსკიმ პირველად ხელი მოჰკიდა მხატვრობას, სწავლობდა ჟუკოვსკისთან, შემდეგ კი კელინთან, რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გადავიდა მხატვრობის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სკოლაში.

ამ სკოლაში მაიაკოვსკიმ ახლოს გაიცნო დავით ბურლუკი. მათი მეგობრობა პირდაპირ იდეალური იყო. ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის მოგონებებში დავით ბურლუკს სთვლიდა თავის საუკეთესო მეგობრად და ნამდვილ მასწავლებლად: „მან გამხადა პოეტათო“, ამბობდა მაიაკოვსკი.

1912 წელს ბურლუკთან, ხლებნიკოვთან და სხვებთან ერთად მაიაკოვსკიმ გამოაქვეყნა რუსი ფუტურისტების პირველი მანიფესტი „სილა საზოგადოებრივ გემოვნებას“. შემდეგ ამხანაგების ამ ჯგუფმა დაიწყო ლიტერატურული საღამოების გამართვა. ვლადიმერ მაიაკოვსკი თვითეულ გამოსვლაში ამათრახებდა მაშინდელ გაბატონებულ საზოგადოების მხატვრულ გემოვნებას. იგი გაბედულად თავს ესხმოდა მოდაში შესულ დეკადენტ პოეტებს. მაიაკოვსკის ამ გამოსვლებს შედეგად მოჰყვა — მისი გაძევება სასწავლებლიდან. სასწავლებლიდან გაძევების შემდეგ ბურლუკთან ერთად მაიაკოვსკიმ იმოგზაურა მთელ რუსეთში, გამოდიოდნენ საღამოებზე და კითხულობდნენ ლექციებს ფუტურიზმზე.

1915 წელს მაიაკოვსკი ჯარში გაიწვიეს. მუშაობდა მხაზავად. რევოლუციის დაწყებას პოეტი აღფრთოვანებით შეხვდა. მაიაკოვსკი მეთაურობდა ავტოსკოლას. თებერვლის რევოლუციაზე ბოლოს პოეტს გული გაუტყდა. მან შეიგნო, რომ ეს არ იყო ჭეშმარიტი გზა დიდი რუსი ხალხისა.

ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ოქტომბრის რევოლუციაში დაინახა ეს დიდი გზა და აქტიურად დადგა გლეხობისა და მუშათა კლასის გზაზე. პოეტი ამ პერიოდში მუშაობდა სმოლნში, 1919 წელს კი — დეპეშათა სააგენტოში.

სამოქალაქო ომის პერიოდის მთელ მანძილზე მაიაკოვსკი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული და საყვარელი პოეტი იყო წითელი გვარდიისა და წითელი არმიის რიგებში მებრძოლთა შორის.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მაიაკოვსკი თავისი ბასრი კალმით თავდავიწყებით ჩაება გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობაში. მისი პოეტური შემოქმედება თვითეულ მებრძოლს ჰმატებდა ძალას და ენერგიას დაწყებულ საქმის შესრულებაში. მაიაკოვსკის ლექსებს მღეროდნენ ყველგან, საბჭოთა ქვეყნის ყოველ კუთხეში. ამ აზრით მაიაკოვსკის ლექსები ყველაზე უფრო მასობრივი და სახალხო ხასიათისა იყო.

მაიაკოვსკის პოეტური შემოქმედება ღირსეულად დააფასა საბჭოთა ხელისუფლებამ და მისი მოღვაწეობის ოცი წლისთავის შესრულების დროს მას მიანიჭა რესპუბლიკის სახალხო პოეტის სახელწოდება.

ასეთი იყო ამ დიდი ადამიანის ცხოვრების გზა. ამ გზაზე მაიაკოვსკიმ მოგვცა ბევრი ბრწყინვალე ნიმუში პოეტური გენიისა, მისი ლექსები „ღრუბელი შარვლით“, „სრული ხმით“, „მარში“ და სხვ. საბჭოთა ქვეყნის პოეზიაში დარჩება, როგორც საუკეთესო შედევრები.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მაიაკოვსკის როლი რუსულ ლიტერატურაში. მაიაკოვსკი დიდი ადამიანი იყო და შორსმჭვრეტელი. პოეტი ხედავდა, რომ რუსული პოეტური კულტურა მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებში კრიზისის ბრჭყალებში მოექცა. სიმბოლისტებმა არამც თუ ხელი არ შეუწყვეს პოეზიის ამ კრიზისიდან გამოსვლას, არამედ ეს კრიზისი მათ მიიღეს როგორც რუსული პოეზიის იდეალური მდგომარეობა. სიმბოლისტები ვერ ამჩნევდნენ, რომ ამ ეტაპზე რუსულმა პოეზიამ დაკარგა ის ელვარება, რომელიც ახასიათებდა კლასიკურ პოეზიას. პუშკინის ნათელი, საზოგადოებრივად პროგრესიული სიმღერა — შეიცვალა მისტიკური, არაპროგრესული, ბნელი ლექსებით. იდეურმა გაკოტრებამ გააღარიბა პოეზიის ფორმაც. გაყინულ, გაქვავებულ ფორმაში ერთსადაიმავე განწყობილებების ლექსებმა — ძირს დასცეს სიტყვის კულტურა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი თავისი შემოქმედებით ნამდვილი რეფორმატორია რუსული ლექსისა. მან ახალი გზა გახსნა ამ დარგში და დაგვანახა ის დიდი შესაძლებლობანი განვითარებისა, რომელიც უახლოეს წლებში უნდა მომხდარიყო რუსულ პოეზიაში — საერთოდ.

ლექსის კულტურა ვლადიმერ მაიაკოვსკის ხელში გაიზარდა და საბჭოთა პოეტებს დაუტოვა დიდი მემკვიდრეობა, რომლის საფუძვლიანი გადამუშავება დაეხმარება პოეზიის ფრონტზე მომუშავე ამხანაგებს თავიანთ შემოქმედებით წინსვლაში.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ხელში მხატვრულ სიტყვას რაღაც მაგიური ძალა ჰქონდა, იგი ეძიებდა ყოველთვის და ამ ძიებაში არასოდეს არ დასცილებია ცხოვრებას; პოეტს თავისი შემოქმედება მიაჩნდა არა თვითმიზნად, არამედ საშუალებად ცხოვრების გარდაქმნისათვის. მართლაც მისი ლექსები ეხმარება საბჭოთა ადამიანს ბრძოლაში, წინსვლის საქმეში.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ვლადიმერ მაიაკოვსკის, როგორც პოეტის, ერთ დამახასიათებელ თვისებას. მაიაკოვსკიმ არ იცოდა დიდი და პატარა თემა. მისთვის, როგორც საბჭოთა პოეტისთვის, ძვირფასი იყო ყველა თემა, რომელსაც კი ორგანიული კავშირი ჰქონდა სოციალიზმის ქვეყნის მაჯისცემასთან. იგი უმნიშვნელო წვრილმან საკითხებსაც ისეთივე გულმოდგინებით ამუშავებდა, როგორც პოემას ლენინის შესახებ.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარდა თავისი უძლეველი სამშობლო, თავისი ხალხი და ამ ხალხის გენიალური ბელადი დიდი სტალინი. „საბჭოთა პასპორტში" ვლადიმერ მაიაკოვსკიმ გენიალური პოეტური ინტუიციით გამოხატა ყოველი საბჭოთა პატრიოტის გრძნობა. ეს ლექსი მკითხველს უნერგავს სიყვარულს სამშობლოსადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

ასეთი იყო ვლადიმერ მაიაკოვსკი. ათი წლის წინათ ფიზიკურად შესწყვიტა მუშაობა მისმა პოეტურმა გულმა, მაგრამ მისი ჭეშმარიტად დიდი პოეზია დღესაც იმავე ძალით მოქმედებს, როგორც იყო მაიაკოვსკის სიცოცხლეში. საბჭოთა მკითხველმა, როგორც თავისი ახლობელი — ისე შეიყვარა მაიაკოვსკი. იგი რაინდი იყო რევოლუციური პოეზიისა და ასე დარჩება სამარადჟამოდ.

მხატვრული ლიტერატურა

კალე ბობოხიძე

სტალინის სანაპირო ბაღში

ვნახე მტკვრის პირი ამწვანებული,
ხეთა კრებული ბაღადგაშლილი.
აქ მოდიოდა ბედით ვნებული,
ფიქრთ გასართველად — ბარათაშვილი.
პოეტის ფიქრებს სევდა ებურა,
ანკარა მტკვარი ზანტად დიოდა
და მდუმარება თავისებურად
მოდგმიდან მოდგმას გადადიოდა...
დღეს კი, — ვიხილე სხვაგვარ იერით,
მწვანე ფარჩებით გადაფარული,
დინჯად დიოდა მტკვარი ხნიერი,
უხსოვარი და ლეგენდარული.
ვრცელ სანაპიროს ვერცხლი ეყარა,
მზის სამოსელში იწვა ივლისი
და ოქროს ყდაში ჩასმულ ქვეყანას
თავს დაჰნათოდა ჩემი ტფილისი.
იყო ზეიმი და გაოცება,
ვარდ-ყვავილების ჩუმი შრიალი,
ძლევის ფრთებს შლიდა ჩემი ოცნება
და ცას წვდებოდა დროშის ფრიალი.
ზაფხულს მეჯლისი ჰქონდა მაყრითა,
ხეთა ჩეროში სიამით ვთრთოდით,
და ბროლის შხეფებს თავზე მაყრიდა
ტანდარხეული ტირიფის ტოტი.
და „აბრეშუმის აკაციიდან“
ნიავი ჰქროდა ალისფერ ყვავილს,
ოქროს მტვერს ციდან ნიავი ცრიდა,
მინდორს ფარავდა ვარდების ხვავი.
ლაღობდა ბაღში დარგული ახლად
ბუჩქი სპირეის, ნერგი პლატანის
და ზურმუხტოვან პატარა სახლთან
ამართულიყო ძელქვის ლატანი.
მაყვალს მოეკლა ველური დარდი,
გადმოეყარა ლორთქო ლერწები,

დარცხვენით იდგა სირიის ვარდი,
კოჯრის ნიავთან ნაალერსები.
გადაშლილიყო ვარდი ალისფრად,
მორცხვ სიამაყის გულში მჩინარი;
შარიშურობდა ტოტი ალვისა
და ბანს აძლევდა თეთრი ჩინარი.
ვერხვის ხეც იდგა ფიქრებმთრთოლვარი,
შებინდებისას ტოტებდახრილი,
ჰქონდა ფოთლები ბროლის მთოვარი
და თეთრი ტანი ფიფქებდაყრილი.
მზე სცილდებოდა ამორფის ბუჩქნარს,
იბინდებოდა ლაჟვარდი ცისა
და სანაპიროს პირველი ქუჩა
ელვით ანთებდა შორეულ ისანს.
ბერიას ზრუნვით გაშლილს და ნაზარდს
ბაღნარს ესმოდა ურმული ტკბილი,
ნანას უმღერდა ნიავი ნაზად
ვარდ-ყვავილებით დაბურულ ტფილისს.
ბინდი ავსებდა მთაწმინდის ხრამებს,
ღელავდა მტკვარი-ელვის ფირალი
და ახალი მზე ანთებდა ღამეს
სტალინის მთიდან გამომზირალი....

კახეთისადმი

როგორ მწყურია, მთაო გომბორის,
შენს ვენახიან მხარეს გავხედო,
გამოვიგზავნო შორი ამბორი,
ვაზის მშობელო მხარევ კახეთო!
მომგონებია შენი მიდამო
და ძველი ღვინო გადანახული.
უთქვამთ, ჩანჩქერად მოდის მთიდანო
ლალის ფერადი-კარდანახული!
ღვინით განთქმული იყავ წინათაც,
მაგრამ დღეს გახდი უფრო მდიდარი,
ზვარი ალაღებს მამულს წინანდალს,
ქარვის მტევნები ნათელ მზის დარი!
ღვინო ახარებს სუფრის ფალავანს,
ვაჟკაცს გულში აქვს ძალა მთებური,
სავსე გიდლები მოაქვს ქარავანს,
ოქროს მარცვლებით განათებული.
ისევ მწყურია ცივი გომბორის
ვენახებიან მხარეს გავხედო.
გამოვიგზავნო შორი ამბორი,
შენ, საყვარელო ჩემო კახეთო!..

12 792

გრიგოლ ცეცხლაძე

ორი ლექსი

აძინებს მიწას სალამო გრილი

აძინებს მიწას სალამო გრილი,
ეუბნებიან ტალღები ნანას.
ზურმუხტოვანი ტურფა აპრილი
ვარდ-ყვავილებით ჰმოსავს ქვეყანას.
მე შენ პირველად დღეს გაგიცანი,
დახარბებული მზერით გიცქერი:
ჰაეროვანი მსუბუქი ტანი,
ცისფერი თვალი, თმა ხორბლისფერი...
გვეალერსება ზღვიდან ნიავი,
ყვავილთა სუნთქვა ბაღიდან მოდის,
ასე მგონია ერთად ვიყავით
წინათაც, მაგრამ არ მახსოვს როდის.

მე შევაცურე ტალღებში ნავი

მე შევაცურე ტალღებში ნავი.
ვარსკვლავიანი ბრწყინავდა ზეცა.
აზიდულ მკერდზე ხორბლის ნაწნავი
გულს აელერებდა ახლა ორკეცად.
შენ მიყვებოდი: პირველად როგორ
გულში ჩაგეჭრა ოცნება, დიდი
და ცუგრუმელა პატარა გოგო
სახელმოხვეჭილ მფრინავთან მიდი.
შემდეგ რომ გახდი მფრინავი შენაც
და აგისრულდა ნაოცნებარი,
და შენი გული როგორ გრძნობს ლხენას
სამშობლოსათვის ტრფობით მგზნებარი.
ვარსკვლავიანი ბრწყინავდა ზეცა,
შენ გიბრწყინავდა ლამაზი თვალი,
მეც გადმომედო, მეც გადმომეცა,
იმედითსავსე გულის ფართქალი.

კოტე ხიმშიაშვილი

ჯონქა ხორნაული

რომანი

I.

პირველი ყელსახვევი.

ჯონქა ხორნაულმა საპნით დაიბანა ხელები, გულდასმით შეიმშრალა პირსახოცზე და მხოლოდ შემდეგ მიუახლოვდა საწოლზე გადაფენილ, თეთრ, ჭარბადგახამებულ პერანგს.

სტუდენტებმა წიგნებს თავი დაანებეს და ინტერესით შესცქეროდნენ.

ჯონქამ ფერდაკარგული, ლურჯი საზაფხულო ხალათი გაიძრო და ფრთხილად, თითის წვერებით აიღო გახამებული პერანგი; მას ესიამოვნა შიშველ მკერდზე და მკლავებზე გრილი, სპეტაკი ქსოვილის შეხება.

— მშვიდობაში... — სთქვა ვიღაცამ.

ჯონქას არ უპასუხნია, იგი დაძაბული იყო, თითქო რაღაც სერიოზულ და თანაც სასიამოვნო საქმეს აკეთებდა; ბალიშიდან სათუთად აიღო საყელო და ფოტო-სურათებს შუა, კედელზემიკრულ პატარა სარკის პირდაპირ დაჯდა. საყელოს სამი ყულფი ჰქონდა და ორი პაწია ღილი. ჯონქამ ვერ მოახერხა საყელო პერანგზე მიემაგრებინა და ყოყმანით მოიხედა უკან. ბიჭები ისევ ინტერესით შესცქეროდნენ. კიჭამ უთუოდ გადასწყვიტა, რომ დრო იყო გამოეჩინა თავისი ცოდნა, დამსწრეთაგან მხოლოდ ის იცვამდა ხოლმე ყელსახვევიან პერანგებს, თუმც კი იშვიათად, საზეიმოდ.

— მოიცა, მე გაგიკეთებ...

— ხელი მელანში არ გქონდეს დასვრილი, — გააფრთხილა ჯონქამ.

— არა, — კიჭამ ყოველშემთხვევისათვის მაინც დაინერწყვა თითები და შარვალზე შეიწმინდა, — დაუკვირდი... ჯერ აქ საკინძი უნდა გაუყარო, მერე აქ შეჰკრა. ესე... ხომ არ გიჭერს?

ოდნავ უჭერდა და სარკეში კისერი თითქო დაუგრძელდა, მაგრამ ჯონქამ ამჯობინა გაჩუმებულიყო. მან ახლა ყელსახვევი აიღო.

— იცი განასკვა? — შეეკითხა კიჭა.

— ვიცი.

ჯონქამ პიონერის ყელსახვევივით განასკვა და სარკეში შენიშნა—ზურგს უკან კიჭამ, თავისი „კიჭები" — ყვითელი ღოჯები გამოაჩინა და ამხანაგებს თვალი ჩაუკრა.

— ფშაურ ყაიდაზე იკეთებ, ბიჭო?..

— ჰო, კარგი, მოდი თქვენებურ — ზესტაფონურ ყაიდაზე გამიკეთე.

კიჭამ სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

— არიქა, კიჭა, — დაუძახა ჩაგუმ, — არ შეგვარცხვინო წიფისგადალმელი ხალხი...

— ეგ წიგნი წაიკითხე, გირჩევნია. მეგრული ყაბალახი ნუ გეგონოს.

— ჩვენ ყაბალახში ორმოცი გამოვა მაგისთანა შესაფსკვნელი. უცხო კაცი ვერ ისწავლის, ბევრიც რომ ეცადოს..

კიჭამ თავისი ცოდნის დასამტკიცებლად ჯონქას შემოხსნა ყელსახვევი და თითონ გაიკეთა. რუხი, თეთრ ზოლებიანი ყელსახვევი ძლიერ მოეწონა ჯონქას სხვის მკერდზე; დიდხანს ტრიალებდნენ ორივენი სარკესთან. სტუდენტებმა მეცადინეობა მიატოვეს და სათითაოდ ყველამ სცადა ურჩი ნასკვისათვის რაიმე მოეხერხებინა, ისე რომ წიგნში ნადებ ფოთოლივით გატკეცილი ყელსახვევი საკმაოდ შეილანძლა და ლამის ახლად გასაუთოვებელი გახდა. ჩაგუმაც კი მიატოვა პოლიტ-ეკონომია და რჩევას იძლეოდა, თუმც ყელსახვევის ტარებას ვინ სჩივის — საკინძი აროდეს ჰქონია შეკრული. ჯონქას ოფლი დაასხა, საყელო უჭერდა, კისრის ძარღვები დაებერა და თავი გვერდზე ვერ მიეღო.

— რა მომდის ეს ოხერი, — ბრაზობდა კიჭა, — ჩემთვის თუ ვიკეთებ? მოდი ზურაბს დავუძახოთ.

— არა, ახლა მთელი საერთო საცხოვრებელი შეჰყარე...

— ვისი გერიდება, თუ ძმა ხარ, ყელსახვევითა და საკინძით ჯერ ქვეყნად არვინ დაბადებულა. მეც ძლივს ვისწავლე...

კიჭამ ზურაბი შემოიყვანა და ჯონქას სწრაფად გაუკეთეს ყელსახვევი. იგი ისევ კარგ გუნებაზე დადგა.

— უაილდი ამბობდა, ბიჭებო, — სთქვა ჯონქამ, — კარგად შენასკვული ყელსახვევი პირველი სერიოზული ნაბიჯიაო ცხოვრებაში ახალგაზრდა კაცისთვის.

— მიჰქარავდა შენი უაილდი, — წაიბუტბუტა ჩაგუმ. ჯონქას გაეღიმა:

— მეც ვიცი — მიჰქარავდა.

— ეჰ, ზოგჯერ მართლაც სჭირს ცხოვრებაში უყელსახვევოდ სერიოზული ნაბიჯის გადადგმა, — კიჭამ ჩაგუს საწოლზე ლოგინი აშალა და ლეიბქვეშ შარვალი გამოაძრო.

— აფორიზმების თქმას სჯობს ეგ ლოგინი გაასწორო, კიჭა ჩემო, — შეიჭმუხნა ჩაგუ, — რას შეუჩნდი კაცო ამ ჩემ საწოლს, ნახევარ საათს ვუნდები მაგის გასწორებას ყოველდილით . შენს ლეიბქვეშ ვერ ამოსდებ შარვალს? მე რა პრესი მნახე...

— რამდენჯერ აგიხსენი, ჩაგუ პატონი, რომ ჩემი საწოლი რკინის ბადიანია და შარვალი არ გაიტკიცება. ერთხელ ვცადე და ისე მშვენივრად იყო გამოსახული ტოტებზე რკინის ბადე, რომ ველარაფრით მოვარჯულე, სანამ დედაჩემს არ გავუგზავნე ზესტაფონში ნამდვილი უთოთი გასაუთოვებლად.

ამ ლაპარაკში ჯონქამ ახალი, ლურჯი კოსტუმი ჩაიცვა. ეს კოსტუმი უწინაც ენახათ სტუდენტებს, მაგრამ ხორნაული ყელსახვევითა და თეთრი საყელოთი პირველად წარსდგა მათ წინაშე და ამიტომაც დიდის ინტერესით ათვალიერებდნენ. ყველამ მოიწონა. სარკე ძლიერ პატარა ჰქონდათ და ჯონქა მხოლოდ ყელსახვევის ანარეკლით უნდა დაკმაყოფილებულიყო. რუხი, თეთრზოლებიანი ყელსახვევის წარკვეთილ სამკუთხედად გაკეთებული ნასკვი ლამაზად გამოიყურებოდა სპეტაკ პერანგზე.

— პალტო არ გივარგა, ჯონქა, — სთქვა კიჭამ, — თორემ შენისთანა ბიჭი-მანანა ციხისელისას დღეს არავინ იქნება. ჩემ პალტოს გათხოვებ, გინდა?

— არა უშავს, ოთახში პალტოს ხომ გამახდევინებენ.

— არ ჩაიცვა, ჯონქა, მაგის პალტო, — ჩაგუ თავის საწოლს ასწორებდა,— ამაღამ ჯავრისგან აღარ დაეძინება საცოდავს. სკამზე ველარ ჯდება შიშით— პალტო არ გამიფუჭდესო.

— ოჯახში ხარ სადმე დაპატიჟებული? — უჩვეულო სერიოზულობით იკითხა ზურაბმა.

— არა... ჰო, ჩვენი სტუდენტი ქალის დაბადების დღეა... — უხალისოდ მიუგო ჯონქამ და სასთუმლიდან გამოიღო შილერის ბალადების ძველი, გერმანული გამოცემა, ტყავის შავ ყდაში ჩასმული. მას ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა წასულიყო თუ არა. ჩაგუმ შენიშნა გერმანული წარწერა, წიგნი გამოართვა და ხარბად გადაფურცლა.

— მოდიხარ უნივერსიტეტისკენ?

— მოვდივარ, — ჩაგუმ თავის წიგნები შეაგროვა და იღლიაში ამოიდო.

— მოიცა, ჯონქა, წაღმა შემოგაბრუნო, — მოაძახა კიჭამ, როცა კარებში გამოდიოდნენ.

ახალგაზრდებმა აუჩქარებელი ნაბიჯით ჩაუარეს სტუდენტთა საცხოვრებელ კორპუსების მწკრივს. გარედ მარტი იდგა. ასეთ წყნარ ღამეში გამოსულს, როცა სიცივე უკვე საგრძნობი აღარ არის, უნებურად მოგინდება ხეტიალი. თითონვე არ იცი სად წახვიდე, ვის აეკიდო. გაზაფხული გეძახის. ზანტად ფიქრობ და გინდა სულ იარო, იარო, სანამ არ მოიქანცები, და ეს დაღლილობაც სასიამოვნო იქნება. ჯონქამ ღრმად შეისუნთქა გრილი ჰაერი. სტუდენტთა კორპუსები თავშეკავებით ზუზუნებდნენ გაღვიძებული ფუტკრის სკებივით. ღობის გასწვრივ დარგულ ყვავილებსაც აქა-იქ დამჩნეოდათ გაზაფხულის მწვანე ლაქები და ახლად გადაბრუნებულ, შავი კვლებიდან მიწის სუნი მოდიოდა.

უკვე ღამის ცხრა საათი იყო. სტუდენტთა ქალაქიდან მიმავალ ტრამვაის დიდძალი ხალხი ელოდებოდა და ჯონქა და ჩაგუ ვაგონში გაჭირვებით ავიდნენ.

— არიქა, ჯონქა, ყელსახვევი მოგღრეცია ამ ზედახორაში, — ხმადაბლა უთხრა ჩაგუმ.

ხორნაულმა ტრამვაის ბნელ მინაში ჩაიხედა და სცადა გაესწორებინა ყელსახვევი, მაგრამ უარესად მოიღრიცა. ჯონქამ აღარ იცოდა რა ექნა. უკან ხომ არ დაბრუნდებოდა, არა და გვერდზე მოქცეული, დაშლილი ყელსახვევით სადღა უნდა წასულიყო.

„ახლო ნაცნობი შემხვდეს მაინც ვინმე, — გაიფიქრა ჯონქამ, — გავასწორებინებ ამ ეშმაკის საბმელს"...

მშველელი არავინ ჩანდა და იგი ისევ თითონვე ეცადა რაიმე ეღონა. საბედნიეროდ, შემთხვევით, ერთი ხელით ყელსახვევის მოკლე ბოლო დასწია, იმ დროს, როცა მეორეთი ნასკვი ეჭირა — ყელსახვევმა ისევ ძველი, სასურველი სახე მიიღო.

ჯონქა ჩაფიქრებული შეჰყურებდა თავისთავს ვაგონის ბნელ მინაში. ამ ბუნდოვან ანარეკლს რაღაც საერთო ჰქონდა ცუდად განათებულ ვიტრინაში დადგმულ მანეკენთან. ხორნაულს ახლა აღარ უნდოდა პირდაპირ ციხისელისას წასულიყო. ჯერ ცოტათი მაინც უნდა შეჩვეოდა ახალ ტანსაცმელს, თო-

რემ თავისუფლად მოძრაობას ვერ ახერხებდა; ხან საყელოსთან წაივლებდა ხელს, ხან ყელსახვევს შეისწორებდა, მალიმალ იხსნიდა და ისევ იბნევდა პიჯაკის ღილებს, წამდაუწუმ იშმუშნებოდა, ჟილეტის კალთას ქვევითკენ ეწეოდა და ალმაცერად დაჰყურებდა ბამბით გავსებულ საკუთარ მხრებს. თანაც ისე უხერხულად იდგა, გამოუცდელ მსახიობივით, ვაგონის კუთხეში, თითქო ეშინოდა ცუდად გაკეთებული პარიკი არ ჩამოვარდნოდა თამაშის დროს, ან საჩქაროდ გადაცმულ სხვისი ტანსაცმლის ღილებს არ ეღალატნათ სცენაზე.

— მე ჩავალ, ჯონქა, — მოესმა ჩაგუს ხმა ფიქრში გართულ ხორნაულს. ტრამვაი უკვე უნივერსიტეტის თეთრი შენობის წინ იდგა. ჯონქას არ უნდოდა მარტო დარჩენილიყო და თანამგზავრს მკლავში ხელი ჩაავლო.

— მოიცა, ვერის ბაზართან ჩავიდეთ, — კოსტუმი დავასველოთ...

ჩაგუ უარზე იყო, — ჯონქას აგვიანდება და ჩაგუს კიდევ ბიბლიოთეკიდან წიგნი აქვს გამოსატანი.

— მოასწრებ. ცოტა ლუდი შევსვათ.

— რატომ სწუხდები, კაცო..

— კარგი, მეგრელო, დეკეულს კი არ დაგიკლავ, თავპატიჟს ნუ იდებ...

პატარა ლუდხანა ცარიელი იყო. ახალგაზრდებს კარის გაღებისთანავე ცხვირში ეცათ ნერწყვის მომგვრელი ხინკლის ოხშივარი. ულვაშგაწკეპილმა, მოჭიდავესავით მხრებგაშლილმა რაჭველმა ლუდი და ხინკალი მოიტანა და ისევ დახლს უკან ჩამოჯდა.

— ჯერ კიდევ ვერ მივეჩვიე ლუდს, — სთქვა ჩაგუმ, — სულ პირველად პირს ვერ ვაკარებდი — ცხენის შარდი მეგონა, ხინკალი კი მიყვარს...

მან ცხელი ხინკალი ჩაჰკბიჩა, მოსწუწნა და თვალები მინაბა. წვენი წურწურით ჩაჰყვა თითებს და სახელო დაუსველა.

— ჩვენებური, ფშაური ხინკალი უნდა იგემო, ჩაგუ, იცი რა არის? წიწაკიანი — გეგონება ნაკვერჩხალი გადავყლაპეო. თანაც ქიპიტაური — ფშაური არაყი... ხინკალზე ლუდს არაყი სჯობია.

ჩაგუმ პასუხად სიამით ჩაიკრუსუნა; ქონიანი წვეთებმ სახელოდან მის გვერდით მაგიდაზე დაწყობილ წიგნებს დაეცა და მოყვითალო ლაქა დაამჩნია. ამ წიგნებს მუდამ თან დაათრევდა ჩაგუ და განუწყვეტლივ კითხულობდა, ყველგან — ტრამვაიში, სტუდენტთა სასადილოში. ერთხელ ამხანაგებმა თეატრის ფოიეშიც წაუსწრეს — კანტის „წმინდა გონების კრიტიკას" ჩაჰკირკიტებდა. ჯონქა აუჩქარებლად სწრუპავდა ლუდს და ღიმილით შეჰყურებდა ჭამაში გართულ თანამესუფრეს. ჩაგუს ხაკისფერი ხალათი ეცვა; გულჯიბეები ძალზე გამობერვოდა ათასნაირ წიგნაკებითა და ქაღალდებით, ერთი ჯიბე იმდენად გაევსო — ღილი ველარ შეებნია. მარცხენა მხარეს მრავალგვარი ნიშნები ჰქონდა ჩამოკიდებული — „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის", „წითელი ჯვარი" და სხვა მისთანები. შარვალი ყოველთვის მოკლე და ვიწრო ეცვა ამ კაცს, ზამთარში რუხი ლაზლის წინდები მოუჩანდა ხოლმე და წვიმიან ამინდში შარვლის ტოტებს წინდებში იტნევდა. ჯონქამ პირველ შეხვედრისთანავე შენიშნა—ძლოკვს მიუგავდა ჩაგუს სახე. უთუოდ თვალები იყვნენ ამის მიზეზი: წყლისფერი, ვიწრო, გაყინული გუგები. ჩაგუ მხოლოდ ტუჩებით ილიმებოდა და წარბებით ჯავრობდა, მის თვალებს გამომეტყველება დაკარგული ჰქონდათ, ისინი არაოდეს გამოხატავდნენ ბრაზს, სევდას ან სიხარულს. ხუთივე თითით ეჭირა ჩაგუს ხინკალი პირთან და თხელი, უფერული ტუჩებით

სწუწნიდა თვალმინაბული. ვარსკვლავაგლეჯილი სამხედრო ქუდი კეფაზე გადაეწია და უკან გადაზნექილი, ვიწრო და მაღალი შუბლი მოუჩანდა. მოკაუჭებული ცხვირი ზედა-ტუჩს სწვდებოდა და ჩაგუს ცხვირიცა და წაბლისფერი, მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები ხინკალში ჰქონდა ჩაფლული. ამ წუთში იგი საოცრად ჰგავდა ძლოკვს. ეს ოცდაორი-ოცდასამი წლის ჭაბუკი ცოდნის არაჩვეულებრივი წყურვილით იყო შეპყრობილი. დღეღამეში, მისივე თქმით, სისტემატურად რვა საათს ანდომებდა წიგნების კითხვას, ამავე დროს ლექციებს ისმენდა და კონსპექტებსაც ადგენდა ხოლმე. მისი ტრაგედია იყო რუსული ენის უცოდინარობა. იგი ერთდროულად სწავლობდა რუსულსა და გერმანულს, პუშკინს ლექსიკონით კითხულობდა და ცდილობდა ტრამვაის კონდუქტორ რუს ქალებთან გამოსაუბრებით მიეღო რუსული ენის პრაქტიკა.

კარი გაიღო და მაზარაში ჩაცმული, ბოხოხიანი კაცი შემოვიდა. ჩაგუ ხინკლის ჭამას მორჩა და ის იყო ლუდს უნდა დაწაფებოდა, მაგრამ ამ დროს მაზარიანისკენ გაიხედა და ფინჯნიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა. ჯონქა მობრუნდა ზურგს უკან, დახლთან, გაჩერებულ უცნობისკენ და დაინახა, რომ მასაც ჰაერში გარჩენოდა პირისკენ წაღებული ლუდით სავსე ფინჯანი, თვალებ გაფართოვებული ჩაგუს დაშტერებოდა. ცოტა ხანს ასე შესცქეროდნენ ისინი ერთმანეთს და ჯონქას წამით მოეჩვენა, თითქო ორივენი მზად იყვნენ ოდნავი მოძრაობისთანავე მძიმე ფინჯნები თავში ესროლათ მოპირდაპირესთვის. შემდეგ უცნობმა სული შეუბერა ფინჯნის ნაპირებზე ამოსულ ქაფს და ამით ისარგებლა, რომ ჩაგუსთვის თვალი აერიდებია. ჩაგუმაც მიიტანა პირთან ლუდი, მაგრამ თავის წყლისფერ, უმოძრაო თვალებს არ აშორებდა დახლთან მდგომ კაცს. მაზარიანმა სულმოუთქმელად გამოსცალა ფინჯანი, ბოხოხი თვალებზე ჩამოიფხატა და კარებისკენ გაბრუნდა.

— გაგანთავისუფლეს? — დაუძახა ჩაგუმ და სასმისი მაგიდაზე დადგა. მაზარიანი შესდგა, ბოხოხი ისევ აიწია შუბლზე და თითქო ახლა იცნო მოლაპარაკე.

— ოჰ, ბოდიში, ამხანაგო ჩაგუ, ველარ გიცანი...

იგი მაგიდას მოუახლოვდა, მგონი ხელის გამოწოდებას აპირებდა, მაგრამ ვერ გაბედა. ნაყვავილარ, შავგვრემან სახეზე შემარიგებელი ღიმილი უთამაშებდა.

— მე ახლა პატიოსნად ვმუშაობ, ამხანაგო ჩაგუ, — თვალების ხამხამით სთქვა მან. ჩაგუმ ლუდი მოსწრუპა.

— როდის გკითხე, როგორ მუშაობ მეთქი.

— დიაღ, ისე, ხომ იცი...

— სად მუშაობ?

— სად ვმუშაობ? სად და კოოპერაციის ხაზით...

— ტფილისში?

— დიაღ... არა, ხან აქ, ხან იქ, ხომ იცი... მშვიდობით ბრძანდებოდე, ამხანაგო ჩაგუ. — უცნობმა ბოხოხი მოიხადა, გამელოტებული თავი გამოაჩინა და სწრაფად გავიდა ლუდხანიდან.

— ვინ იყო ეგ კაცი? — იკითხა ჯონქამ.

— ძველი ნაცნობია. — ჩაგუ დაფიქრებული იყურებოდა კარებისკენ.

— შენ ამაღამ იქეიფებ, ჯონქა, არა? — სთქვა მან, ალბათ იმისთვის, რომ საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა.

— რა ვიცი, იქნებ არც წავიდე...

— რას ამბობ, კაცო, რა ხანია ემზადები... — სრულიად გულწრფელად, თავაუღებლად წამოიძახა ჩაგუმ. ჯონქამ იგრძნო, რომ ყურები გაუწითლდა. სტუდენტები ამჩნევდნენ თურმე.

— მიიღეთ, — დახლისკენ დაიძახა და ფეხზე წამოდგა.

რა ხანია ემზადება. ჩაგუ მართალი იყო. სტუდენტებს ალბათ სასაცილოდ ექნებათ ეს ამბავი. ჯონქამ სწორედ ამ დღისთვის შეიკერა ახალი ტანსაცმელი, პირველად ჩაიცვა გახამებული პერანგი და ყელსახვევიც გაიკეთა. რა ხანია ემზადება. და ახლა, უკანასკნელ წუთში თურმე იმდენად ღელავს — ვეღარ გადაუწყვეტია წავიდეს თუ არა „სადარბაზოდ“.

ჩაგუ უნივერსიტეტისკენ დაბრუნდა და ჯონქა მარტო გაემართა მანანას ბინისკენ. „რა ხანია ემზადები“, — გაიმეორა ჯონქამ თავისთვის და ჩაიცინა. კიჭა ახლა უთუოდ სტუდენტებში ოხუნჯობდა ჯონქაზე, მაგრამ ხორნაულისთვის მანანას ოჯახში მისვლა ომის გადახდას ნიშნავდა. რაღაც უპირატესობის გრძნობა ჰქონდა მანანა ციხისელს ჯონქასადმი. უკვე რამდენიმე წელიწადი იყო ისინი ერთად სწავლობდნენ და ერთმანეთს მეგობრობდნენ. ჯონქა მანანაზე არანაკლებ გონებაგახსნილი და ნაკითხი ჩანდა, ცხოვრებას იგი თითქოს უკეთ იცნობდა, უფრო ძლიერი ნებისყოფის მქონედაც მიაჩნდა თავი, როგორც ეს ახალგაზრდებს სჩვევიათ, მაგრამ მაინც, მანანასთან ყოფნის დროს მუდამ გრძნობდა ხოლმე — რაღაც აკლდა, რათა მანანას სწორი გამხდარიყო. მანანა „შთამომავლობითი ინტელიგენტი“ გახლდათ. ციხისლების ოჯახიდან რამდენიმე ცნობილი ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწე გამოსულა. მანანას მამა საკმაოდ სახელგანთქმული ბუნებისმეტყველი, პროფესორი იყო, დედა — მხატვარი. კულტურა. ფშაველი გლეხის, ლუკა ხორნაულის ვაჟს უთუოდ აკლდა ის, რაც ჩვილ ბავშვისთვის თითის წოვის აკრძალვით იწყება, ხოლო დავაჟკაცებულს ხელის ჩამორთმევაში და მაგიდასთან ჯდომაში შეეტყობა. რამდენიმე წლის წინ ჯონქა დაცინვით უპასუხებდა ასეთ მსჯელობას, მაგრამ ახლა იგი ანსხვავებდა ერთმანეთისაგან იმ „ბურჟუაზიულ ჩვევებს“, რომლისადმი წარუშლელი სიძულვილი ჯერ კიდევ ადრე სიჭაბუკისას ჩაუნერგეს კომკავშირის უჯრედში, და იმას, რაც მანანას კულტურული ადამიანისთვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა. ხორნაული ისევ დაცინვით ეკიდებოდა manicure-ს, მაგრამ საკუთარ ფრჩხილებს დღეში რამდენიმეჯერ ისუფთავებდა და ზედმეტს ნუნებსაც იჭრიდა ჯაყვაზე მიმაგრებული პატარა მაკრატლით. მანანასთან დამეგობრების შემდეგ ჯონქამ უნებურად სულ სხვა, ახალ კეტეგორიებად დაუწყო დაყოფა ადამიანებს. ზოგი კაცი შობის ხის ფუტურო კაკალსა ჰგავდა, გარედან ოქროთი დაფერილს. ეს ფუქსავატები უმთავრესად ყოფილ თავადაზნაურობიდან იყვნენ. მათ ნატიფი მიხვრამოხვრის და ზრდილობიანი, დაუბრკოლებელი, მაგრამ უშინაარსო საუბრის გარდა არაფერი გააჩნდათ. ზოგის გარეგნობაში კი მართლაც გამოსჭვიოდა კულტურა, უამრავ წვრილმანებისგან შემდგარი ჩვევა ქმნიდა პიროვნების „გელშტალტს“. ხშირად ძნელი იყო ამ ორი კატეგორიის ერთმანეთისაგან გარჩევა, მაგრამ მანანას, ჯონქას აზრით, პიროვნების სრულყოფა მოსწონდა, თორემ ჩაცმულობა რა ყურადღების ღირსი იყო, ებრაელ სპეკულანტებზე ძვირფასად არვინ იცვამდა ტფილისში. და თანაც „შთამამავლობითი ინტელიგენტი“ თითქო არსებითად ემიჯნებოდა არისტოკრატიზმს.

ფიქრებში გართულ ჯონქას ჭავჭავაძის ქუჩის კუთხესთან ახალგაზრდების ჯგუფმა სალამი მისცა. ჯონქამ მხოლოდ მაშინ მიუხედა მათ, როცა უკვე ჩაუარეს. აუჩქარებელ ნაბიჯზე ეტყობოდათ გამზირელი ბიჭები იყვნენ; ყოველთვის შეიძლებოდა მათი ნახვა რუსთაველის გამზირზე, ყოველ ამინდში, ყოველ დროს. ჯონქა ისევ თავის ფიქრს დაუბრუნდა. დიაღ, „შთამამავლობითი ინტელიგენტი“ თითქო არსებითად ემიჯნებოდა არისტოკრატიზმს,—ვინც თეთრ საყელოს ატარებს, ამბობდა მანანა, ტანი უთუოდ სუფთად უნდა შეინახოს, ხოლო თუ პროფესორს ფეხის სუნი ასდის — შეუძლებელია მისი ლექციის მოსმენა, ყოველთვის ხომ დიდი აუდიტორია არ შეგხვდება. ჯონქა იძულებული იყო ღიმილით, მაგრამ მაინც დასთანხმებოდა ამ არგუმენტების პრაქტიკულ მხარეს, თუმცა კი გულწრფელად არ სჯეროდა მანანასაგან ასეთი უტილიტარიზმი. და აი, გახამებული საყელოთი კისერგაშეშებული, უკანასკნელ მოდის მიხედვით შეკერილ ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი, იგი პირველად მიდიოდა ციხისელების ოჯახში.

მიდიოდა და რაც უფრო უახლოვდებოდა მანანას ბინას—ნაბიჯს უკლებდა.

მუზეუმის პირდაპირ ჯონქას გამზირლების მეორე ჯგუფი შემოეყარა. ხორნაულს უნდოდა მათთან მისვლა, მაგრამ ყმაწვილები ვიღაც უცნობ ქალს მიჰყვებოდნენ კვალდაკვალ და ხმა-მაღლა უტიფარ შენიშვნებს იძლეოდნენ მის გარეგნობაზე. ჯონქამ ისევ მარტო განაგრძო გზა სოლოლაკისკენ. ხორნაული სრულიად არ უწევდა ანგარიშს მისი თანამობინადრე სტუდენტების აზრს, არც მათი დაცინვისა ეშინოდა, მაგრამ ახლა თავის გასამხნევებლად გაიფიქრა, რომ უკვე გვიანღა იყო „დარბაზობაზე“ უარის თქმა, რაკი ჩაგუმაც კი შენიშნა ამ დღისათვის მისი უჩვეულო სამზადისი.

ხორნაულმა ქვის კიბე აირბინა და სუნთქვა შეკრული შესდგა კარების წინ. შიგნიდან პატეფონის ხმა ისმოდა: „როგორ ბრძანდებით, მისტერ ბრაუნ?“... უთუოდ ცეკვავდნენ. ჯონქა შეიჭმუხნა, მაგრამ წამსვე დაიმორჩილა თავი, — ამ სულელური ფოქსტროტისთვის ხომ არ მოსულა აქ, მანანას დაბადების დღეა. და გარდა ამისა — უნდა ისწავლოს, შეიძინოს ის, რაც აკლია, რამდენი ხანია მტკიცედ გადასწყვიტა ეს, „რა ხანია ემზადება“... ჯონქას ჩაეცინა და ხელი ზარის ღილისკენ წაიღო. პატეფონის ხმა შეწყდა და ჯონქამ ხელი დაუშვა. მას არ უნდოდა ახლა დაერეკა და ყველას ყურადღება მიეპყრო. ორიოდე წუთის შემდეგ კვლავ გაისმა: „How do you do...“

ჯონქამ ისევ წაიღო ხელი ზარისკენ, მაგრამ შესდგა, ყელსახვევი გაისწორა, მოიხადა ქუდი, თმა გადაივარცხნა, ღრმად ამოისუნთქა და უეცრად გაიფიქრა: „მოდი უკან წავალ“... ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობდა, შემდეგ ფრთხილად ოდნავ დააწვა ღილს და გარინდდა. პასუხი არ იყო. „მისტერ ბრაუნთან“ ერთად ახლა მოცეკვავეთა ფეხის სრიალიც ისმოდა. ჯონქამ ისევ დარეკა და გაიფიქრა: „თუ ახლაც არ გამოვიდნენ—ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ...“ კვლავ სიჩუმე. ჯონქა გამობრუნდა და უკვე კიბის რამდენიმე საფეხურს ჩასცილდა, მაგრამ იგრძნო, რომ არაოდეს აპატიებდა თავისთავს ასეთ სულელურ გაქცევას. ერთი ნახტომით აირბინა კიბე, სწრაფად მიიჭრა კარებთან და ხანგრძლივად, რამდენიმეჯერ დარეკა. კარს უკან ნაბიჯების ხმა გაისმა, გასაღებმა გაიჩხაკუნა, კარი გაიღო და უფრო ხმა-მაღლა მოისმა:

— „როგორ ბრძანდებით, მისტერ ბრაუნ?..“

კარებში მანანა იდგა. ქალი ისე დააცქერდა სიბნელეში ახალმოსულს, — სჩანდა ვერ იცნო ვინ იყო.

— მობრძანდით.

ჯონქამ გაიღიმა და მაშინ კი:

— ჯონქა, შენა ხარ?! შემოდი, შემოდი...

მკლავში ხელი ჩაავლო და ტალანში შეათრია.

— ველარც კი გიცანი, გაიხადე პალტო. ახალი კოსტუმი?! როგორ გიხდება!..

მანანამ ისე შემოუარა გარშემო და მსუბუქად შეეხო თითებით მის ტანსაცმელს, თითქო საშობაო ნაძვის ხეს ათვალიერებდა, სათამაშოებით შემკულს.

— საუცხოვოა, აი, ყოჩაღ, ნამდვილი დენდი გამხდარხარ...

მანანას გულწრფელი სიხარული ეტყობოდა და ჯონქას გული სიამაყით აევსო; იდგა გაწითლებული, შილერის ბალადებს აწვალებდა და აღარ იცოდა რა ექნა. მანანამ მკლავში ჩაჰკიდა ხელი და სასტუმრო ოთახისკენ წაიყვანა. ჯონქამ იმდენი ატრიალა ხელში წიგნი, რომ იატაკზე დაუვარდა.

— ეს რა არის?..

— ეს შენთვის, მანანო...

ტალანის ბოლოში ზარმა დაიწკრიალა.

— ვიღაც მოვიდა. შედი ოთახში, ჯონქა, მე კარს გავუღებ და ახლავე მოვალ.

ხორნაული სასტუმროს ოთახის კარებთან მივიდა და შესდგა. გაპრიალებულ პარკეტზე მოცეკვავეთა წყვილები რონინებდნენ. ქვევით დაშვებულ ელნათურის ჭაღს ცისფერი აბრეშუმის შუქფარი ჰქონდა და ვრცელ ოთახში სასიამოვნო ბინდი იდგა, კარებიდან სახეებს კარგად ვერ გაარჩევდი. კუთხეში, შავად მოლაპლაპე როიალთან ხმადაბლა საუბრობდა ორი უცნობი ახალგაზრდა ქალი.

„როგორ მოვიქცე, — გაიფიქრა ჯონქამ, — უნდა მივესალმო ყველას, გავეცნო, თუ...“ მან იატაკზე დაგდებულ ფარდაგს ფეხი წამოსდო და გადაკეცა, ფეხითვე ფრთხილად დაუწყო სწორება, ზევით აიხედა და შენიშნა — როიალთან მდგომი ქალები შესცქეროდნენ. ჯონქა გაწითლდა. „რა ხამი ვარ!“ — ბრაზით გაიფიქრა თავისთავზე.

საბედნიეროდ, სწორედ ამ დროს, მანანა და ახალმოსული სტუმარი ქალი შემოვიდნენ. ჯონქა იცნობდა ამ ქალს — ციცინო ამილახვარი, — იგი ყველას უსწორებდა — ჩემი გვარი ამილახორიაო და არა ამილახვარი, უნივერსიტეტში სწავლობდა ისტორიის ფაკულტეტზე და თან კონსერვატორიის სადირიჟორო კლასის მსმენელიც იყო.

— ოჰ, ფშაველო, გამარჯვება, — ყალბი უბრალოებით, ხმამაღლა მიესალმა „ამილახორის“ ქალი. ხორნაულს გაეხარდა, რაკი ხმის გამცემი იპოვა და აჩქარებით ჩამოართვა ხელი, თითქო ეშინოდა უეცრად არ დამივიწყოსო ნაცნობობა.

სამივენი სავარძლებში ჩასხდნენ. ციცინომ ღრმად ამოისუნთქა, გამოქცეულივით, და იმ წამსვე გრძლად შეუდგა მოყოლას, თუ რა რიგ იყო სწავლით გადატვირთული — ცალკე ისტორია, აქეთ სადირიჟორო კლასი, ახლა კიდევ კინომსახიობად მიიწვიეს. თანაც რუსმა სცენარისტმა, რომელიც ორი დღით ჩამოსულა ტფილისში, ძლიერ საინტერესო წიგნი ათხოვა, ეს წიგნი სანთლით საძებარია საერთოდ, ციცინომ ორ დღეში უნდა მოასწროს წაკითხვა და უკან

დაუბრუნოს. სხვათა შორის, ის სცენარისტი ძლიერ საინტერესო პიროვნებაა, დღეს ეპატიჟებოდა ცნობილ მოჭადრაკესთან ერთად მცხეთას წასულიყვნენ ავტოთი, თქვენ ხომ ისტორიკოსი ხართ და მცხეთის ძეგლებს გაგვაცნობთო, მაგრამ ციცინოს არ ეცალა, ფრანგული ენის გაკვეთილი ჰქონდა, თორემ იგი მართლაც კარგად იცნობს მცხეთას, შარშან მოსკოველ აკადემიკოსს წაჰყვა, ბევრი ესაუბრა და აკადემიკოსი აღტაცებაში მოვიდა, ასეთი ახალგაზრდა ქალი და.. იმ მოჭადრაკეს, რომელსაც მათთან ერთად სურდა მცხეთის დათვალიერება, ახლახან უმოგზაურნია საზღვარგარეთ, სხვათაშორის ფორტოპიანოზე დამკვრელთა შოპენის კონკურსსაც დაესწრო თურმე ვარშავას, იქ შეხვედრია...

და ასე შემდეგ, დაუსწრებლივ. იჯდა ეს მაღალი, ახალგაზრდა ქალი სავარძელში. ტანთან შედარებით ძლიერ პატარა, მოგრძო თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა, მაღალ ყელზე შებმულ ქარვის მძივს ათამაშებდა ცალი ხელით. პატარა, საოცრად შავი, გიშრის მარცვლებივით მბრწყინავი თვალებით რიგრიგობით აცქერდებოდა მსმენელებს და ძლიერ სწრაფად, მაგრამ მწყობრად, სასიამოვნო ინტონაციით, აქა-იქ რუსული ფრაზების ჩართვით ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა განუწყვეტლივ.

ჯონქა უკვე აღარ უსმენდა, მან კარგად იცოდა ამ ქალის ამბავი. ციცინო მუდამ ცდილობდა დაენახვებინა ყველასათვის, თუ რა თავდავიწყებით იყო გატაცებული ხელოვნებით. „მე ხელოვნების ადამიანი ვარ“... იტყოდა ხოლმე და მორცხვად დახრიდა თავს. თქვენ უნდა მიხვედრილიყავით, რომ იგიც განიცდიდა მუდმივი ძიების წუხილს, ხელოვნების ზოგ დიდოსტატს თან რომ სდევს, მასაც მძიმე ტვირთად დასწოლოდა ბუნებით მოცემული ნიჭი, რომელსაც რატომღაც ფართო ასპარეზი ვერ მოენახა. მაგრამ, ციცინო უსათუოდ აგრძნობინებდა მოსაუბრეს, რომ იგი ჩვეულებრივი, აღმოუჩენელი, ან უგულველყოფილი ტალანტი, და არც პრიმიტივი არ გახლდათ, პირიქით, ციცინოს კარგად იცნობდნენ ხელოვანთა წრეებში. და უკითხავად მოგიყვებოდათ რა უთხრა მან ერთ-ერთ დირიჟორს ერთერთი მუსიკალურ ნაწარმოებზე, ან როგორ გაიცნო უნებურად ერთ-ერთი ცნობილი მსახიობი, როდესაც შემთხვევით ხმა-მაღლა გამოსთქვა აზრი ერთ-ერთ თეატრალურ პრემიერაზე. ჯონქამ ხელებში შეხედა ციცინოს — მთელი წლის განმავლობაში ეს ქალი ჰაინეს წერილების კრებულს დაატარებდა თან, ჯონქას ოთხჯერ მაინც აჩვენა ერთიდაიგივე, ხაზგასმული ადგილები პირველ ორ-სამ გვერდზე. იქით უთუოდ აღარც წაუკითხავს. ის წიგნი ალბათ ახლაც ტალანში დასტოვა სავეჯესთან ერთად. ჯონქა ციცინოს შავი ხავერდის „გარსონკას“ დააკვირდა. ქალს მეტად გრძელი წელი ჰქონდა და გარსონკა მოკლე მოსვლოდა. ციცინო საერთოდ უცნაურად იცვამდა, ერთი ქუდი ჰქონდა, ფერადი მინის მძივებით მოქარგული, — ისე ლაპლაპებდა — შორიდანვე ათას ქალში გამოარჩევდით. ჯონქამ ციცინოდან მის გვერდით მჯდარ მანანაზე გადაიტანა თვალები. მანანას ბოლისფერი სიფრიფანა ქსოვილი ეცვა. თავისუფალ ნაკეცებად დაფენილი საყელო და მოკლე სახელოები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, თითქო ბოლი ეხვია მანანას ნატიფ ტანს. მხოლოდ წამით შემოსცლოდა ეს ბოლი ქალის თეთრ, რძისფერ ყელსა და მკლავებს. ჰაერის ოდნავი მოძრაობა და უცნაურ ხვეულებად დაგრაგნილი მსუბუქი ქსოვილი პაპიროსის კვამლივით ზანტად გასცურავდა ელნათურის ჭაღისაკენ, მთლად შემოეცლებოდა მანანას სხეულს. ჯონქამ თვალები დახუჭა.

— „მანანო..“ ჩურჩულით სთქვა თავისთვის.

თავდახრილი ისმენდა მანანა ციცინოს უსასრულო საუბარს. შავი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი და უკან ხვეულად დამაგრებული; გრძელი წამწამები დაეხარა, მაგრამ ჯონქამ იცოდა — მანანას მწვანე, თაფლის წინწკლებიანი ფართო თვალები იცინოდნენ, სათუთი ბუსუსით დაფარული ზედა ტუჩის კუთხეც ოდნავ უკრთოდა შეკავებული ღიმილით.

— „ნეტავ იცოდე რა კარგი ხარ...“ — გაიფიქრა ბიჭმა.

როიალზე დაუკრეს და მანანასთან ყავისფერ კოსტუმიანი ჭაბუკი მოიჭრა. მას მთელი ტანი უთამაშებდა, ფეხები მოუსვენრად უტოკავდნენ, მხრებს ოდნავ არხევდა, წარბები და უკან გადავარცხნილი წაბლისფერი თმებიც კი თითქო უთრთოდენ მუსიკის ტაქტით. უცნაურად, თვალების ნაბვით გაუწოდა მანანას თავისი ტლანქი, მოწითალო ხელი და სთხოვა ეცეკვა. მანანა სავარძლიდან წამოდგა და ჩახვეული წყვილი მსუბუქად გაჰყვა პარკეტს. ჯონქამ რაღაც წუხილი იგრძნო. ამ ყავისფერ კოსტუმიან ჭაბუკს მეტსახელად შიბზიკას ეძახდნენ, მას ხშირად შეხვდებოდით წითელი პატეფონით ხელში; სიარულის დროსაც თითქოს ცეკვავსო, ისე მიარხევდა უკანალს. შიბზიკა ტფილისის თითქმის ყველა ინსტიტუტების მეორე კურსიდან იყო გარიცხული და ახლა ევროპული ცეკვების მასწავლებელი გახლდათ.

ჯონქამ ერთი წლის წინ, სრულიად შემთხვევით, სტუდენტ ქალებთან ერთად საგამოცდო სესიებისათვის მზადების დროს, ორიოდე დღეში შეისწავლა ფოქსტროტი. მაგრამ მას არ ეხერხებოდა ცეკვა. სანამ ჯონქა მოცეკვავეებს ადევნებდა თვალყურს, ციცინო მოუსვენრად იშმუშნებოდა სავარძელში, რამდენიმეჯერ სცადა დაეწყო საუბარი, შემდეგ უეცრად წამოიძახა:

— აჰ, დეიდა ნინო...—ფეხზე წამოდგა და კარებისკენ გაემართა. ჯონქამაც მხოლოდ ახლა შენიშნა ახალშემოსული. ეს ჭაღარა, ტანსრული მანდილოსანი უთუოდ მანანას დედა იყო, სახით ძლიერ ჰგვანდნენ ერთმანეთს, ოღონდ ნინოს მწვანე, თაფლის წინწკლებიან თვალებს კლასის დამრიგებლის ლმობიერი, მაგრამ შემნიშნავი გამოხედვა ჰქონდათ. ჯონქა თითქო გამოაფხიზლა ამ გამოხედვამ—ფიქრებში წასული სავარძლებს შუა მდგარ პატარა მაგიდას იდაყვით დაყრდნობოდა, მოქარგული ზედსაფარი ქვევით ჩამოეწია და ნახევრად გაეშიშვლებია მაგიდა. ხორნაულმა აჩქარებით დაუწყო ზედსაფარს სწორება, ფაიფურის საფერფლე კინაღამ იატაკზე გადმოაგდო და გაწითლდა.

კარგახანს გაგრძელდა ცეკვა. ჩახვეული ქალვაჟნი ბრუნავდნენ ცისფერ სინათლეში, ერთმანეთს ეკვროდნენ და ღიმილით ჩურჩულებდნენ. ჯონქა ამაოდ ცდილობდა თვალი აერიდებია ყავისფერი კოსტუმისა და ბოლისფერი კაბისთვის... „რა უნდა შიბზიკას მანანას სახლში,—ფიქრობდა ხორნაული,—რა მისი მეგობარია. ფშავ-ხევსურეთში იციან ხოლმე სტუმრის გასართობად კარგი მობძღნის მოწვევა, ამ ფოქსტროტსაც უთუოდ მიტომ დაუძახეს, თორემ...“

როდესაც ცეკვა შესწყდა, ჯონქას მეზობელ სავარძლებში უცნობი ქალვაჟნი ჩასხდნენ. ჯონქამ ინტერესით დაუწყო მათ დათვალიერება. ორთავეს კარგად ეცვათ; ვაჟს ყელსახვევი თავისუფალ, ფართო ნასკვად ჰქონდა გაკეთებული და საყელოც, ეტყობოდა, სრულიად არ უჭერდა. ჯონქამ ვიწრო საყელოში საჩვენებელი თითი ჩაიყო. უცნობ ვაჟს ჯონქაზე ძვირფასად არ ეცვა, მაგრამ მის ტანზე უფრო შნოიანად სჩანდა ყველაფერი, სილამაზითაც ვერ აჯობებდა უთუოდ ჯონქას, — პირიქით, მის სახეს მაძღარი, აბანოდან ახალგამოსული კაცის

გამომეტყველება ჰქონდა; ღაჟღაჟა ლოყებზე ქინძისთავის ოდენა სიმწიფის მუწუკები ეყარა, თმა ზედმეტად შეეკრიჭა ბოქსიორივით, მხოლოდ ქოჩორი დაეტოვებია დ არც ისე მოხდენილი თავი წითლად გამოიყურებოდა დაბანილი ღორის კანივით. მაგრამ ჯონქა გრძნობდა — ეს ვაჟი აქ მასზე მეტად მიიპყრობდა ყურადღებას. კულტურა. უთუოდ ამ მხრივაც კულტურა იყო საჭირო. ხორნაულმა ახლა ქალს დაუწყო თვალიერება და მოაგონდა — ეს გოგონა უწინაც ჰყავდა ნახული; მას მსუქანი ნიკაპი ჰქონდა, წაბლისფერი, ხელოვნურად დახვეული თმები და არაჩვეულებრივად სქელი გავა, რომლის გამო გამზირელი ბიჭები აღტაცებაში მოდიოდნენ და გუნდ-გუნდად დასდევდნენ. კიტის, ასე ეძახდნენ ამ ბატკანივით ხუჭუჭა კატოს, ალბათ ტფილისის ერთერთ ლამაზმანად მიაჩნდა თავი ასეთი ყურადღების გამო.

ჯონქამ ყური მიუგდო ქალვაჟის საუბარს. ისინი შეუწყვეტლად, მსუბუქად საუბრობდნენ ყველაფერზე და თან არაფერზე, ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდნენ და ხშირად იშველიებდნენ რუსულ ფრაზებს. ბიჭი უთუოდ ქართველი იყო, მაგრამ ისე, როგორც ზოგი ტფილისში გაზრდილი ახალგაზრდა, განგებ, განსაკუთრებული, სომხურის მსგავსი აქცენტით ლაპარაკობდა, რათა გამორჩეულიყო პროვინციებისგან — „ხიდოებისა და კოწიებისაგან“. ბევრ სიტყვას მცდარი მახვილით გამოთქვამდა, უცხო სინტაქსით ადგენდა წინადადებებს და ოდნავ სერიოზული აზრისთვის წამსვე რუსულს მიმართავდა ხოლმე. სავარძლებს მანანა მიუახლოვდა.

— ხალხნო, — მიმართა მან ქალვაჟს, — რამე უნდა ვითამაშოთ, თორემ სტუმრებს მოსწყინდებათ.

— რა ვითამაშოთ მანანა, „ფანტი“? — გამოეხმაურა კიტი.

— გაუშვი ფანტი იყოს, სულერთია, — სთქვა ვაჟმა.

— მოიცათ, მე იმ დიდ საფერფლეს ავიღებ და ჩამოვივლი, — ექვსი თვით თმახუჭუჭა ქალი წამოდგა და მეორე კუთხისკენ გაემართა. კავალერმა მსუნაგად გააყოლა თვალი — მაღალქუსლიან ფეხსაცმელების გამო ქალის სხეული არაჩვეულებრივად მოძრაობდა. კიტი მალე დაბრუნდა ყუმბარის გადაჭრილი მასრით ხელში და იქ მყოფთ მიმართა:

— ჩააგდეთ რამე.

მანანამ ლალის თვლიანი ბეჭედი წაიძრო თითიდან და საფერფლეში ჩასდო. რეზომ პატარა სავარცხელი გადასცა, წინასწარ გადივარცხნა რა შერჩენილი ერთი ფუნჯი თმა.

— თქვენც ჩააგდეთ, — მიმართა კიტიმ ჯონქას.

ხორნაულმა შენიშნა — კიტის თაფლისფერ თვალებს და პატარა ტუჩებს ისეთი იერი ჰქონდათ, თითქოს ქალი ტკბილ რასმე სწუწნიდა. ჯონქამ მოიჩხრიკა ჯიბე და ფანქარი ამოიღო.

— ეს შეიძლება?.. — ვითომ ხუმრობით ჰკითხა მან ქალს, დარწმუნებული არ იყო გამოდგებოდა თუ არა ფანქარი ამ უცნობი თამაშისთვის.

— შეიძლება, რასაკვირველია, შეიძლება, — კიტიმ გამოართვა ფანქარი, და უთუოდ შემთხვევით, თავისი თბილი თითებით შეეხო ჯონქას ხელს..

— მანანო, — ხმადაბლა მიმართა ჯონქამ მანანას, როდესაც კიტიმ სხვა სტუმრებს მიაშურა, — მე რომ არ ვიცი ეგ თამაში?..

— ოჰ, რა ცოდნა უნდა...

მანანამ გაიღიმა, ისე, როგორც მხოლოდ მან იცოდა ღიმილი—გულღიად, და თან თითქოს ზურგს უკან შენთვის რაღაც მოულოდნელი ჰქონდა ხელში დამალული, გაიღიმა და კარებისკენ წავიდა.

— „რომ იცოდე რა კარგი ხარ...“—ისევ გაიფიქრა ხორნაულმა.

დარბაზი უკვე სავსე იყო სტუმრებით. ტფილისში ყველანი იცნობენ ერთმანეთს და უთუოდ ყველა „კარგი ოჯახის შვილს“ დღეს მანანასთან მოეყარა თავი, აქ იყო ალბათ ქართველი „შთამომავლობითი ინტელიგენციის“ მთელი ახალგაზრდობა. ჯონქა ერთი-ორჯერ დასწრებოდა წვეულებას ტფილისის სხვა ოჯახებში, სტუდენტების მიერ გამართულ პატარა ლხინებშიც მიეღო მონაწილეობა და ახლა ადვილად შენიშნა ამ დარბაზის განსხვავება. პირველყოვლისა—აქ ყველას კარგად ეცვა; ვაჟები ყელსახვევებით იყვნენ, სუფთად პირგაპარსულები, ხოლო ქალებს ზომიერად ეცხოთ ფერუმარილი. ჩვეულებრივ, ასეთ ყრილობაზე ზოგი გადაჭარბებით მხიარულობს, ცდილობს მიიპყროს ყურადღება, ზოგი კი მორცხვობს და ჩუმად ზის. აქ თითქოს ყველანი თავისუფლად გრძნობდნენ თავს, მაგრამ ახალგაზრდობისთვის ჩვეული ღრიანცელი არ ისმოდა. ორ-სამ ქალვაჟისგან შემდგარი ჯგუფები ხმადაბლა მხიარულად, ძალდაუტანებლად საუბრობდნენ. ჯონქას გარდა განმარტოებით სხვა არვინ იჯდა, მაგრამ მან ვერ გადასწყვიტა შეერთებოდა რომელიმე ჯგუფს. დარბაზის მეორე ბოლოში კიტის და რეზოს თაოსნობით „ფანტი“ გაითამაშეს. ვიღაც მაღალ გამხდარ ქალიშვილს ლექსი უნდა ეთქვა, უარს ამბობდა—„ყაყაჩოსა სიწითლითა“ ვიცი მარტო, სხვა არაფერიო. ჯონქას გვერდით ციცინო და ნინო ციხისელი დასხდნენ.

— აქ, დეიდა ნინო, პირველი და მეორე კურსის სტუდენტებიც არიან,—ამბობდა ციცინო,—და მანანამაც მიტომაც ვერ აუარა გვერდი ფანტსა და მისთანებს...

— დღევანდელ ამბავს თავი დავანებოთ, როგორც გნებოთ ისე იმხიარულეთ,—სთქვა ნინომ, მას მკაფიო, სასიამოვნო ხმა ჰქონდა, ოდნავ ხელოვნური მელოდიურობით, როგორც ბევრ ძველ, ქართველ მსახიობს,—მაგრამ საერთოდ ვერ გავუგე თქვენს სტუდენტობას. არ მესმის რატომ დაეხარბეთ ასე ამ ტანგოებსა და ყოველგვარ მსუბუქ გასართობს. უწინ, სტუდენტები თუ შევიყრებოდით,—გაიმართებოდა გონივრული საუბარი, ცხარე კამათი ხელოვნების, ფილოსოფიის ან პოლიტიკის საკითხებზე; ჩვენი მხიარულობაც რაღაც სულ სხვა ელფერს ატარებდა, სუფრაზე ისეთი სულისკვეთება იყო ხოლმე, თითქო ბრძოლის წინ შესაფიცად შეყრილანო. ახლა კი... მთელი საათი ვუსმენდი ამათ საუბარს—ფეხბურთი, პატეფონის ახალი ფირფიტები, ჰორები... რა მოგდით, რა ბარბაროსობაა...

— Брись или мяу!..—მოისმა დარბაზის მეორე მხრიდან, რეზო ზურგით მიყრდნობოდა კარებს და სიცილით რიგრიგობით იშვერდა ხელს სტუმრებისკენ.

— Брись, брись!..—იძახდა ვიღაც კარსუკან.

— აი,—ნინომ ხელი ჩაიქნია,—სხვა ვერა იშოვეს რა გასართობად...

— ეს კიტი ნარდიშვილის ინიციატივით არის,—თავის ჭნევით სთქვა ციცინომ,—არ იცის სად როგორ უნდა მოიქცეს...

— Брись или мяу!..—ისევ დაიძახა რეზომ და ხელი იმ სავარძლისკენ გაიშვირა, საითაც ხორნაული და ნინო ისხდნენ.

— Мяу... — დაიკნავლეს კარსუკან.

— მობრძანდით, ყმაწვილო... — მიმართა რეზომ ჯონქას, ნინომ ირონიით მოიხედა ხორნაულისკენ და ციცინომაც ეშმაკურად ჩაიცინა.

— მობრძანდით...— უფრო ხმამაღლა გაიმეორა რეზომ და ყველა მოახედა. ჯონქას ოფლი დაასხა. იგი წამოდგა, მაგრამ სავარძლისთვის ხელი არ გაუშვია, არ იცოდა რა ექნა.

— ვერ ყოფილხარ გამბედავი, ფშაველო, — ჩურჩულით სთქვა ციცინომ და კიდევ უფრო დააბნია ბიჭი. ჯონქამ გადასდგა ნაბიჯი და უეცრად თვალი მოჰკრა მანანას, ცალი თვალით ანიშნებდა წასულიყო. ჯონქა აჩქარებით წავიდა კარისკენ და გაიფიქრა:

— „ღმერთო, ფეხი არაფერს წამოვკრა!..“

კარებთან რეზომ სახეში უტიფრად ჩახედა გაწითლებულ ჯონქას, მხრები აიჩეჩა, კარი გაუღო, მკლავში ხელი ჩაავლო და თითქმის ძალით შეაგდო ტალანში.

ჯონქას წინ კიტი იდგა. ქალმა თავისი დამტკბარი თაფლისფერი თვალებით შეხედა ჯონქას და თავი ჩაღუნა. „ეშმაკმა უწყის რა უნდა გავაკეთო“, გაიფიქრა ჯონქამ და ელოდა რას იზამდა კიტი. ქალმა ერთხელ კიდევ აჰხედა ვაჟს, მხრები შეიშმუშნა, გაბრუნდა კარებისკენ, სახელურს ხელი ჩაავლო, უთუოდ გასვლას აპირებდა, მაგრამ უეცრად შესდგა, ნახევრად მობრუნდა და მეორე ხელი გაუწოდა ჯონქას.

— ხელზე მაინც მაკოცეთ...

ხორნაულმა გაუბედავად მიიტანა ტუჩთან კიტის პატარა, ფაფუკი ხელი. კიტი თითქო თან გამოჰყვა თავის ხელს და მკერდით ხორნაულის თავთან გაჩნდა. მაშინ ჯონქა უეცრად მიხვდა, ორივე ხელით ჩაიბღუჯა კიტის რბილი ტანი, ნახევრად ჰაერში აიტაცა და გაშმაგებით დაუწყო კოცნა ტუჩებში, კისერზე, მკერდში.

— გამიშვი... დიდხანს ვართ... გამიშვი, მიხვდებიან...

კიტი ხელიდან გაუსხლტა ჯონქას, გაწითლებული შესდგა კარებთან, კაბა შეისწორა და გავიდა. მას თაფლის სუნი ჰქონდა, ტკბილი გემო დაუტოვა ჯონქას ტუჩებზე. ბიჭი ხელებდაშვებული იდგა და ღრმად სუნთქავდა მორბენალივით.

— Брись или мяу!.. — გაისმა დარბაზიდან ქალის ხმა.

ჯონქა ჯერ კიდევ არ იყო გონს მოსული, არც იცოდა თუ მის გასაგონად იძახდნენ. ძახილი განმეორდა, კარი გაიღო და კიტიმ შემოჰყო თავი.

— რატომ არაფერს ამბობთ?— ხმადაბლა ჰკითხა ქალმა. ჯონქას თვალები აენთო.

— მოდი. — მხურვალე ჩურჩულით უპასუხა მან. ქალი ერთწუთს გაოცებით შესცქეროდა ბიჭს, შემდეგ უეცრად ხმამაღლა გადიხარხარა და კარი ფართოდ გააღო.

— გაიგეთ რა მითხრა?.. — ხარხარებდა კიტი და პარკეტზე ფეხებს აბაკუნებდა, — მოდიო, მოდიო!..

დარბაზში სიცილი ატყდა, ყველანი კარებისკენ იყურებოდნენ. კიტი კედელს მიეყრდნო და ცხვირსახოცი აიფარა სახეზე, მთელი ტანი უთრთოდა სიცილისაგან.

— „ჩავვარდი...—გაიფიქრა ჯონქამ, — ჩავვარდი“... და უეცრად საშინლად დასცხა, გაქურქეშებულმა საყელომ ულმერთოდ მოუჭირა და რატომღაც ზურგი მოექავა. ტალანში მანანა გამოვიდა, ჯონქას მკლავში ხელი ჩაავლო და სიცილით შეიყვანა დარბაზში. ჯონქა გრძნობდა, რომ ყველა მას უცქერის, საშინლად არის გაწითლებული და უაზროდ იღიმება. ცოტაოდენი იმედი კიდევ ჰქონდა—ამ ამბავს ხუმრობად ჩასთვლიდნენ, თორემ უსათუოდ გაიქცეოდა.

თამაში შესწყვიტეს და ვიღაცამ როიალზე დაუკრა. „ჩავვარდი, ორივ ფეხებით ჩავვარდი“... იმეორებდა თავისთვის ჯონქა. როდესაც თვალები ასწია, შენიშნა — ციცინო უცნაურად უღიმოდა. ჯონქამ გაიფიქრა, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი საშუალება, რათა სასაცილო არ გამხდარიყო, სავარძლიდან წამოდგა და კიტისთან მივიდა. ქალმა მეგობრულად შეხედა.

— ოჰ, რამდენი მაცინეთ, — დამტკბარი ხმით სთქვა კიტიმ და ცხვირსახოცით მოიწმინდა თხელი, ვნებიანი ტუჩები. ჯონქა გაათამამეს ამ სიტყვებმა, მაშ თურმე ამასაც ხუმრობად მიუღია.

— არ გცოდნიათ საიდუმლოების შენახვა,—უთხრა ჯონქამ და იმ წამსვე თითონვე დაეღრიჯა სახე, გაიფიქრა, რომ ისევ რაღაც სისულელე წამოროშა, კიტი ალბათ ისევ დაიწყებს ხარხარს და ყველას მისკენ მოახედებს. მაგრამ კიტი მშვიდად იჯდა; მან ფეხი-ფეხზე შემოიდგა და ცალი ხელით მაჯაზე დაეყრდნო გვერდით მდგარ ჯონქას. მარმაშა ქსოვილის ქვეშ ნათლად გამოესახა მსუქანი, მკვრივი ნაკვთები.

— თქვენც ისტორიკოსი ხართ? მანანასთან ერთად სწავლობთ, არა? — იკითხა ქალმა.

— დიაღ.

— მაშ უთუოდ მანანას თაყვანისმცემელი იქნებით...

ჯონქამ თავისთავს შენიშნა წითლდებოდა და სიბრაზით კინაღამ ლილი მოიგლიჯა პიჯაკზე.

— ვითომ რათა?..

— აჰ, წითლდებით კიდეც? მართალი მითქვამს...

— არა..

— მაშ რად გაწითლდით?..

— მანანა იყურებოდა აქეთ და მგონი გაიგონა, თქვენი ნათქვამი, უხერხულია...

— რა არის უხერხული, მანანას უამრავი თაყვანისმცემლები ჰყავს, ძალიან ლამაზი გოგონაა და თითონაც მშვენივრად იცის ეს ამბავი...

— „ოღონდაც, იცის“.. გაიფიქრა ჯონქამ.

— მომილოცავს არჩევანი, კარგი გემოვნება გქონიათ. მაგრამ, — კიტის უცნაურად დაენაკვთა ნესტოები, თითქო ცუდი სუნი სცემოდა, — მაგრამ წარმატებისა კი რა მოგახსენოთ.

— „გომბეშო“—გაიფიქრა ჯონქამ და იგრძნო, რომ კიდევ უფრო მეტად წითლდებოდა.

— თქვენ სცდებით, — სთქვა ხორნაულმა, — ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ სცდებით, თვითონ მანანას დავუძახოთ და ვკითხოთ, თუ მე მისი თაყვანისმცემელი ვარ...

მან ხელი გაიწოდა მანანასკენ დასაძახებლად, მაგრამ კიტიმ სწრაფად დაიჭირა ორივე ხელით მისი მკლავი.

— გაგიჟდით? ეს ხომ ქალის შეურაცხყოფაა...

ჯონქამ უნებურად ღრმად ამოისუნთქა.

— მე არც მიფიქრია ვისმეს შეურაცხყოფა, მინდოდა თქვენთვის დამემტკიცებია მხოლოდ... — იგი მოსცილდა კიტის და არეული ნაბიჯით დაუბრუნდა თავის სავარძელს, რომელიც საბედნიეროდ არვის დაეკავებია. მას კარგად ესმოდა, რომ ავადმყოფურმა თავმოყვარეობამ კინაღამ სისულელე ჩაადენინა.

ჯონქამ შუბლზე გადაისვა ხელი და ცისფერ შუქფარიან ჭაღს მიაშტერდა. მას გულით უნდოდა ახლა მარტო ყოფილიყო. თუ საკუთარ თავსაც უმალავ რასმე, მისი გამომჟღავნება უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. კიტი ფეხზე წამოდგა და ხორნაულთან მივიდა.

— რა ბუტია ყოფილხართ, — უთხრა ქალმა, — დედას გეფიცებით მე არ მინდოდა თქვენთვის მეწყენინებინა...

— „გომბეშო", — ერთხელ კიდევ გაიფიქრა ჯონქამ.

— მე მჯერა, ახლა მჯერა, — განაგრძო კიტიმ, ხელი მაგრა მოუჭირა ვაჟის ხელს და თვალები უფრო დაუტკბა. ჯონქა სავარძლიდან წამოდგა.

— დაბრძანდით.

— არა, მოდი მეცეკვე.

— მე არ ვცეკვავ.

— ახლა კი სტყუი...— კიტიმ ცალი თვალით შეათვალიერა ჯონქას კოსტუმი, თითქო ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო. ჯონქას ჩაეცინა:

— რატომ გგონიათ?

— არა ჰგავხართ ისეთ...— კიტიმ ენა დაიბა.

— ისეთ რას?.. — ჩაეკითხა ხორნაულმა და გულში გადასწყვიტა ლაზათიანად გამოელანძღა. კიტი თითონაც დაიბნა.

— მე მინდოდა მეთქვა, რომ შეუძლებელია თქვენისთანა ახალგაზრდამ ცეკვა არ იცოდეს.

— მე ცეკვა ვიცი, — რაც შეეძლო უხეში ხმით სთქვა ჯონქამ, — მაგრამ პრინციპიალურად არ ვცეკვავ.

— პრინციპიალურად? რატომ?..

— ისე, ჩამორჩენილი პიროვნება ვარ... უკულტურო...— და უეცრად შენიშნა, რომ ისევ, მეათასეჯერ, წითლდებოდა. კიტიმ ყალბად გაიცინა.

— კარგი, ერთი... არ შეიძლება ხუთი წუთით დავივიწყოთ ეგ.. პრინციპი? ჩემთვის...— კიტი მიუახლოვდა, მთელი ტანით მიეკრო და თვალებში ჩაჰხედა.

— ჰა?..

ჯონქა ერთ წუთს ყოყმანობდა, მაგრამ უეცრად თვალი მოჰკრა მანანას. სანამ ჯონქა კიტის ელაპარაკებოდა, მანანა ცირცინოსთან მისულიყო და ორივენი ღიმილით იყურებოდნენ მათკენ.

— არა, — მტკიცედ სთქვა ჯონქამ. კიტიმ წარბები ასწია.

— თქვენ ძლიერ თავაზიანი ყოფილხართ. — ქალი მიბრუნდა და სტუმრების ჯგუფს შეერია.

ხორნაული მანანასთან მივიდა.

— მომილოცნია წარმატება,—უთხრა მანანამ. ხორნაულს მოეჩვენა, რომ მანანა დაცინვით იღიმებოდა.

— პირიქით, მგონი სამუდამოდ მოვიმდურე—საცეკვაოდ არ გავყევი.

— ნუ გეშინია, მალე შეგირიგდება.

— რატომ არ ცეკვავ, ჯონქა?—იკითხა ციცინომ.

— ფშაური შეხედულებისა ვარ...—ჯონქამ გაუბედავად გაიღიმა.

— მაინც?

— არ მსურს ყველასთან ხვევნა გავმართო, ისიც სახალხოდ.

— ეგ კი მეტისმეტია.

— რატომ, გულწრფელად რომ ვსთქვათ, დებიუტანტები თუ ფიქრობენ ტაქტზე, თორემ სხვები მხოლოდ სასიამოვნო შეხებას ეძებენ,—ჯონქამ მანანას გადახედა. მანანა უთუოდ ყურს არ უგდებდა, მოცეკვავეებს შესცქეროდა.

— მაშ შენ უარყოფ, რომ ცეკვა ხელოვნებაა და ისევე იტაცებს ადამიანს, როგორც მუსიკა, მხატვრობა, პოეზია... ცეკვის ოსტატებს ხომ ჭეშმარიტ ხელოვნებამდე აჰყავთ ეს ყველაზე უფრო მასიური და, ამიტომ—თითქოს ერთი შეხედვით, ვულგარული დარგი ხელოვნებისა...—ციცინო სავარძელში გასწორდა და მოემზადა კიდევ უფრო გრძელი ტირადის წარმოსათქმელად, მაგრამ ჯონქამ აღარ აცალა:

— არა, მე საერთოდ ცეკვას კი ვერ უარვყოფ. ცეკვა ყოველთვის იმიტაციაა და არსებობს ალერსის, აშიკობის გამომხატველი ცეკვებიც. ჩვენი ლეკურიც აშიკობის იმიტაციაა—მკლავებგაშლილი ვაჟი ქალს დასდევს, ქალი გაურბის, ხელიდან უსხლტება. მაგრამ ლეკურში დაცულია ზომიერება, ურომლისოდაც ფასი ეკარგება ხელოვნების ყოველგვარ ნაწარმოებს...—ციცინომ თანხმობის ნიშნად ისე დაუქნია თავი მასწავლებლის იერით, რომ ჯონქას ღიმილი მოერია,—თავშეკავება უფრო მეტ შინაგან ცეცხლს და სილამაზეს აძლევს ჩვენს ლეკურს,—განაგრძობდა ჯონქა,—ამიტომაც ითვლება ეს ცეკვა მსოფლიოში ერთერთ ულამაზესად. თქვენი ფოქსტროტი და ტანგოებიც უთუოდ ალერსის, ხვევნა-კოცნის, ჩვენებურად რომ ვსთქვათ წაწლობის იმიტაციაა, მაგრამ მეტისმეტად გადამლაშებული და ხელოვნებასთან არაფერი აქვს საერთო.

მანანა მოსცილდა მათ და სტუმრების სხვა ჯგუფებისკენ წავიდა.

— „მოჯავრდება?—გაიფიქრა ჯონქამ და სიხარულით შეეკუმშა გული—იქნებ იჭვიანობს!“...

— მართალია,—მოულოდნელად დაეთანხმა ციცინო,—მუსიკალურად მდიდარ ვალსში კიდევ არის რაღაც სილამაზე, ეს ტანგოები კი... განსაკუთრებით კიტი ნარდიშვილის მიერ შესრულებული.

— რა ტიპია ეს კიტი?—იკითხა ჯონქამ.

— ჩვეულებრივი მანჭია. კარგად ჩაცმა, ცეკვა და თეატრებში სიარული მიაჩნია ინტელიგენტობად.

— ვეჭვობ, ციცინო, აქ მყოფთა უმრავლესობა ეგრე ფიქრობს.

— არა, აქ უმრავლესობა ძველი ინტელიგენტური ოჯახებიდანაა, კიტი—ახალი ინტელიგენციის განსაკუთრებული ნაწილის წარმომადგენელი გახლავთ.

— ეს როგორ, ახალ ინტელიგენციას ჩაცმულობა და ცეკვა მიაჩნია ინტელიგენტობად?..

— მე შენთან ბოლოშს ვიხდი, ჯონქა, შენც ასე ვთქვათ ახალი, რევოლუციის შემდეგ წარმოშობილი ინტელიგენციიდან ხარ, მაგრამ სულ სხვა ფრთას ეკუთვნი.

— არ მესმის, ციცინო, შენ რაღაც ახალს ამბობ.

ციცინომ სიამოვნებით გაიღიმა და მაღალ ყელზე ქარვის მძივს დაუწყო მარცვლა.

— ხომ იცი, რომ ეგრედწოდებულ „გონებრივ“ სამუშაოს შესასრულებლად ხშირად სულაც არ არის საჭირო ინტელექტი. ეს დამოკიდებულია პროფესიაზე, ზოგი „გონებრივ მუშაკად“ კი ითვლება, მაგრამ მოკლებულია სულიერ კულტურას,—ჭეშმარიტი ინტელიგენტობის ამ აუცილებელ კვარცხლბეკს. მათ რჩებათ მხოლოდ გარემო წრიდან მექანიკურად მიღებული ინტელიგენტური ჩვევები. ძველ ჩინოვნიკობასაც დაახლოვებით ასე მოსდიოდა, ისინიც ხომ თავს განათლებულ ხალხად სთვლიდნენ. კიტი ნარდიშვილიც ინტელიგენციის ამ განსაკუთრებულ ნაწილს ეკუთვნის.

— „არც ისე სულელი ყოფილა ეს გოგო“—გაიფიქრა ჯონქამ.

— ისინი ყოველთვის ადვილად ჰკარგავენ წონასწორობას, ადვილად დაიავადდებიან ხოლმე ეგრედწოდებული „წვრილ-ბურჟუაზიული“ ჩვევებით,—განაგრძობდა ციცინო, იგი უკვე გატაცებით ლაპარაკობდა, უფრო სწრაფად და ხმამაღლა, ვიდრე დასაწყისში,—კომფორტი და გართობა კულტურად მიაჩნიათ. ეს ალბათ იმიტომ მოსდით, რომ მატერიალურად მოსწყდნენ რა თავიანთ კლასს—კლასობრივი ინსტიქტი მოუდუნდათ, ხოლო კლასობრივ შეგნებამდე ვერ ამაღლებულან. მათ არ ახასიათებს ის პრინციპიალურობა, რომლითაც ახალი ინტელიგენცია უნებურად სიმპატიას იმსახურებს ძველი ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან.

— ვუწოდოთ მათ „ვითომ ინტელიგენტები“,—გაიცინა ჯონქამ,—არ მეგონა, ციცინო, შენ თუ ასე ერკვეოდი სოციოლოგიაში.

— მე ისტორიკოსი ვარ,—ყალბი უბრალოებით სთქვა ციცინომ, თანაც სახეზე შეეტყო, რომ ძლიერ ესიამოვნა ქათინაური,—სხვათა შორის, ამ საკითხზე ბევრი ველაპარაკე ძია ეგნატეს და ისიც დამეთანხმა.

— „ოჰ, აი თურმე ვის ციტატებს ვისმენ!“..—გაიფიქრა ჯონქამ.

სტუმრებმა სასადილო ოთახში დაიწყეს გასვლა. ციცინო წამოდგა და მკლავი გაუყარა ხორნაულს.

— ერთად დავსხდეთ, ჯონქა; ვისაუბროთ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლადო ასათიანი

ცაგერის ბაზრობა

ყოველი მხრიდან შემოდიან ცაგერში ამ დღეს:
ზოგნი ფეხდაფეხ, ზოგიერთნი კიდევ — ცხენებით,
ბაზრის ბოლოდან სახელგანთქმულ მურის ხიდამდე
გამწკრივდებიან სვანები და ლეჩხუმელები.

სვანის ასულებს მოუხურავთ წითელი ფარჩა;
მათ სხვა ფერებზე უფრო უყვართ ფერი წითელი;
— ერთი ხელადა! მარტო ერთი ხელადა დარჩა!
ჩქარა იყიდეთ ოჯალეში შარშანწინდელი!

გასძახებს ბაზარს ლეჩხუმელი თავგამეტებით
და უცაბედად გაცოცხლდება მთელი ბაზარი:
— იქით გაიწი, მუშტარს თვალში ნუ ეფეთება!..
— აქეთ სულგუნი, აქეთ გოგრა უზარმაზარი!..

შორით მოსულებს ეშინიათ გაავდარების,
ჩქარობენ, ოხრად რომ არ დარჩეთ ყველა შაური.
ბაზარში დინჯად შემოდიან ჩალვადარები
აბილაურით, ყინულით და თურაშაულით.

— თვით პატარძალიც კი ვერ მოქსოვს ასე ლამაზად,
თავს გეფიცები, ვერ იშოვნი უკეთესს, შვილო!
იფიცებს ერთი და ვარდისფრად ანათებს ბაზარს
წვრილ-წვრილ ჰიქებში საჰაშნიკოდ ჩასხმული ღვინო.

ოქროსფერ სირმით მოსირმული ნაბდის ქუდები
თავზე ახურავთ სვანის ქალებს, ვით სილამაზე.
ყელგამოჭრილი ტახებივით წვანან გუდები,
უქნარობაში აჯავრებენ ბაზრის ზარმაცებს.

— ქლიავის ჩირი, ვაშლის ჩირი და ღორის შაშხი!
— სიმინდიანი, ცერცვიანი, თეთრი პურები!
— იყიდეთ, ხალხო, რას წაიღებთ უკეთესს სახლში?
— აგერ მწვანილი, აგერ კიტრი ნამ-ნაპკურები!

აგერ წრე შეჰკრეს, შეიმართნენ და გაცხარებით
მყიდველს შეებნენ ახოვანი ნაბდიანები.
წრის შუაგულში თავდახრილი დგანან ხარები
და საცრისხელა წითელ თვალებს აბრიალებენ.

აგერ დედაკაცს აუვსია წიფხა ხორბალით
და ათზე ნაკლებ გასაყიდად არ ემეტება,
ეგერ ვილაცამ გამოაძრო ურემს ბორბალი
და სამჭედლოში შეიტანა შესაკეთებლად.

აგერ სწონიან ხელმეორედ ერთხელ აწონილს,
ყვითელ ხალთებით ორ ბანაკად გაყოფილები,
კოლმეურნენი, ახალ ბაზრის პატრონ-პატრონნი
იღიმებიან ულვაშებში კმაყოფილებით.

— ერთი ხელადა, მარტო ერთი ხელადა დარჩა,
კვლავ გაიძახის ლეჩხუმელი თავდავიწყებით.
სვანის ასულებს კვლავ ახურავთ წითელი ფარჩა
და სვანურ ბგერებს ღუღუნებენ, როგორც გვრიტები.

ასე ყაყანებს, ასე ბორგავს მთელი ბაზარი,
თითქოს სიძვირეს ემუქრება შფოთის აწევით.
და მურის ციხე გადმოსცქერის, ვით ზარბაზანი,
როგორ დადიან მოედანზე ქონდრის კაცები.

საღამომდისინ თავს ადგია გრძელი ფარდული,
ამდენ მოსავალს, ამდენ ქაქანს, ამდენ გასავალს.
დაღამდება და ცხენისწყალი, როგორც ფანდური,
ჩაიღიღინებს ამ ბაზრობის თავგადასავალს.

გიორგი კალანდაძე

*
* *

წყაროს ნაპირას, იფნებთან,
ჩვენ ორნი შევრჩით მარტო,
რა კარგი ღამე იქნება,
ჩემო ედემის ვარდო!
შენ გეშინია იფნებთან?
მოდი, მომხვიე ხელი!
ამაღამ ცვარი იქნება —
— დაინამება ველი.
ცაზე ვარსკვლავი კამკამებს,
სხივებს ასხურებს ბარსა,
ტყეში კაკაბი კაკანებს:
„რა აკანკალებს ვარსკვლავს?!"
ჩემო მშიშარო კაკაბო,
შეხე ვარსკვლავებს ზემოთ?!
შენც ვარსკვლავივით კანკალებ?
რაზე და რისთვის, ჩემო?!
ცა ჟირაფებმა გათელეს
სამხრეთ-დასავლის მხარეს,
ლაჟვარდის ციცინათელებს
ესაუბრება მთვარე.
მთვარესაც დაუვახშმია,
შეხე, დამცხრალა მთვარე...
შემოუვლია არშია
და ჩამოსცვინის ზვარებს.
შენც მთვარესავით დაცხრები,
ვფიცავ ბეწვს შენი თმისას,
ჩემო თმადაუვარცხნელო,
ალქაჯო იფნის ტყისა.
წყაროს ნაპირას, იფნებთან,
ჩვენ ორნი შევრჩით მარტო,
რა კარგი ღამე იქნება,
ჩემო ედემის ვარდო!

რევაზ მარგიანი

გზაში

მე გზამ დამქანცა, გზა ამოდენა
სულ შენი ეშხით გამოვიარე,
აქ, ამ ჭალებში საღამოვდება
და ჩემებურად კვლავ მივყიალებ.

მე ვერსად ვნახე გზაჯვარედინი,
რომ დამენახე, თან გაგყოლოდი,
ვინმე პატარა და მკერდშეხრილი
შენი მოხარკე გავხდი ბოლომდის.

გზამ მომაგონა სიმღერა ნაზი,
ხმატკბილი იყო, მაგრამ გვიანი.
შევდექ და ჩუმად ამ შარა გზაზე
გავშალე შენი ეთერიანი.

და მოვიგონე სიბრძნე ხალხური,
ვაჟა-ფშაველას, ერთხელ რომ უთქვამს,
შენით მგლოვიარემ და დათალხულმა
შევიგრძნე შენი ძვირფასი სუნთქვა.

... ამ გზას კი, ჩემო, აბა რა დალევს?
რა დალევს, განა ასე მოკლეა?
მე გზაში შენზე ფიქრი მაწვალებს,
სხვამხრივ სიკეთე და სამოთხეა!

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ

*
* *

გამიგონია: მთვარიან ღამეს
ტბასთან მივიდა ერთი ირემი.
ტბა იყო მშვიდი და მოკამკამე,
შემოხატული ლერწმის ჩრდილებით.
თავისი ლანდი შენიშნა თურმე,
და რომ სინჯავდა შნოსა და იერს,
არ მოეწონა ფეხები, თორემ
ქორბუდა რქებმა მოხიბლეს ძლიერ.
სწორედ იმ ხანად უცნაურ ძილით
გამოაფხიზლა ლომის ღრიალმა
და დაწუნებულ ფეხებმა წამით
გადააქროლეს გაშლილ იალალს.
დროზე უშველეს — ტყეს შეეფარა,
ტყე დაებურა გაუვალ ბუჩქებს
და როცა ბილიკს ეძებდა ჩქარა,
იმ ლამაზ რქებით გაება უცებ.
...ო, დაუკვირდი, კარგო, ამ ამბავს.
ბრძნულია იგი და ძველისძველი.
იმ ირემივით ფიქრობ შენც, ალბათ,
დაე, ეს იყოს სურვილი შენი!..
მხოლოდ იცოდე, იცოდე მხოლოდ,
თუ ქებით უფრო გადაირევი,
ეს სილამაზე დაგღუპავს ბოლოს,
როგორც დაღუპა რქებმა ირემი.

ვლადიმერ სულაბერიძე

თოვლი მთაწმინდაზე

მე მთაწმინდაზე ავდივარ დილით,
დიდ პანთეონის შევდგები კართან..
დავხედავ ქვევით დავარდნილ ტფილისს
და მხიბლავს მჩატე ფიფქების ბარდნა.

დგება ტაძარი და გაოცებით
დამაჩერდება ცამდე მაღალი...
შემომხვდებიან დიდი მგოსნები —
მკერდს დაფენილი თეთრი ჭაღარით.

მე ამ ჭაღარას ვემთხვევი კრძალვით,
ღელვით დავაცხრობ მხურვალე ტუჩებს,
რომ ანთებული იმათი ალით
კვლავ დავუბრუნდე ტფილისის ქუჩებს.

დაფარავს დიდი ძეგლების ჩრდილი,
მათი არ ყოფნა მომყვება დარდად...
დავხედავ თეთრად დაფენილ ტფილისს,
და თან ჩავყვები ფიქრების ბარდნას.

ქარი

მოვარდა ქარი, გადაჰხვეტა ციდან ღრუბელი,
აპრილის სუნთქვად შემოედვა ლექსში სტრიქონებს.
მოდი, ატმების ყვავილებით აგივსებ უბეს
და, ჩემო ქარო, მსოფლიოზე გადაიქროლე.
გადაიქროლე მთლად ხმელეთი, ზღვები გასცურე,
მოვლე ქვეყნებში მღელვარ ფრთების აფარფატებით,
და გაზაფხულად ყველა ხეებს ტანგაძარცულებს
გადააფრქვიე ეს ფიფქები ჩემი ატმების.

ვლადიმერ უბილავა

კოლხური ზღაპარი

კოლხეთის მეფემ, — ასე ამბობს ლეგენდა ძველი, —
გულუშიშარად მიმოავლო თვალი სამეფოს;
თქვა: „ოქროს ვერძი ელინელებს ვინ დაანებოს,
„ჩემო მედეა, სანამ ხმალი გვექნება მჭრელი.

„ვერ დაეტოლოს თვით ელადაც დიდებულ კოლხეთს,
„მწამს, ველარ დაგვძლევს იაზონი, ვერც ჰერკულესი,
„ჩვენ ვართ კოლხები, ქვეყნის შვილნი უერთგულესი.
„ძმებო, დრაკონის კერძი იყოს მტერი—თუ მოგვხვდეს“.

აქ ცდება მთქმელი: ჩამოხსნესო ხიდან საწმისი,
თითქოს მედეაც გაიტაცეს ქალი გრძნეული.
ამ ოქროს ბაღში, მაშ რა ელავს შეუქდაფრქვეული?

სად აქვს ნარინჯებს დასასრული, ან დასაწყისი?
უსმინეთ ჩონგურს, — ორფეის ჰანგს დაჰმღერს მრავალი,
მეგრელის გოგო ზის მედეას შთამომავალი.

გრიგოლ იმედაძე

პოეზია

შენ შეიწირე ჩემი ბალღობა,
გამქრალა, ველარ შემიხედია.
შენ დამიმაჰრე დელიყანდობა
და უკვდავებაც შენი ხვედრია,
ნიბლიასავით დაგიმორჩილდი,
რითმის ჯახუნით მკერდი მერხევა.
მე ლერწამი ვარ ფშანში მოჭრილი,
მეც პოეზიის ერთი მეხრე ვარ.
მეც დამიკეცავს ზეცის ლაჟვარდი,
სტრიქონთა ცეცხლით ხმალი გავბასრე.
და ქარმუხლება ლექსის ლაშქარი
შემოვაგელვე ბარიკადაზე.
ცისციურ ფერით თვალმობრწყინვალე
საყურეს ჩრდილით მარად დასჯილი,
რიონის პირად წამოვიზარდე,
ერთი მოკვერი ბარათაშვილის.
და მერე, როცა ზათქით გაიღო
ჩემთვის სამშობლო ზეცის კარები,
ნიავი რაა, ვარდი რა იყო,
ვარდის სურნელსაც არ ვიკარებდი,
და მოქლურტულე ჩიტების ჰანგით
გამთენიისას გავიხარებდი.
ოცნებასავით წამოვდგებოდი.
შთაგონებით და ნამით სოველი,
ლექსის ხელობით წალკოტს ველოდი,
თურმე ყოფილა ფარისეველი.
თუ ვერ ისმინე მთების ლაწანი,
თუ ვერ აიღე ზღვები, გორები.
თუ ხალხის გულში ვერ შეასწარი,
პირველთა შორის ვერ იდგომები.
მე კი მეგონა: შიშველ ზეცაზე
ფიქრს ასე ვშლიდი მგოსნის კარავად,

რომ დაბადების პირველ დღესავე
მარადისობა მომიპარავდა.
რა ტკბილი იყო მაინც ოცნება
და რა მზიანი ჩემი წადილი,
ვფიქრობ, იგი არ დაიკოცნება
ამ ვარდფურცლიან წელიწადივით...
მოგონებები ასგზის ტკბილია,
როგორც ნანინა, როგორც სიზმარი,
როგორც ყელყელა ქალის ღიმილი,
და უფრო ტკბილი კიდევ ის არი,
როდესაც ეშხით შემოგანათებს
ყრმობის ია და ჩაის ვარდები,
მაშინ, ძვირფასო შემოგარენო,
მე შენს უბეში ჩავიკარგები.
მკერდს გავიღელავ და როგორც ბავშვი
ატმის რტოებში გავინაბები.
რამდენიც უნდათ მეძებონ შემდეგ,
რამდენიც უნდათ ნაირნაირი
მთხოვონ ლექსები ნაიალაღარს,
მე კარგად ვიცი ყადრი შაირის.
ზღვა გადაშრება, მთა მოითხრება,
წყალს მზედ აქცევენ და ქვას ლითონად,
ხშირად ლაჟვარდიც ჩამოიქცევა,
ლექსს კი შერჩება მარადისობა.
რადგან ყოველი სიტყვა და სტროფი
სხივთა ჩქერებით ჩასირმულია,
რადგან ლაჟღაჟა მზის თანატოლი
ლექსის აკლდამა ხალხის გულია.

შალვა იოსელიანი

პატარა ქოლგა

გაზაფხულს მოსდევ შავიზღვისპირად,
უბრად ენახე მაინც ერთხელ ზღვას,
პატარა ქოლგა ჰგავს მზისუმზირას,
მზეს ემალები თუ ჩემ შეხედვას?...

შესდგები. ბროლავს ტალღის დინებაც,
ფიქრებს გაჰყვება ფიქრთა ამალა.
შემხედავ — უცებ გაგეღიმება
და ჩრდილიც ღიმილს ვეღარ დამალავს.

— არ გნახავ აწი, — ხომ დავთქვით ასე,
დავთქვით კი, მაგრამ განა დროებით?
აბა ამ ბაღში, აბა ამ გზაზე
რატომ დადიხარ განმარტოებით?..

რატომ მოდიხარ შავიზღვისპირად
და თვალებს თითქო აჩერებ მწყრალად?...
პატარა ქოლგა ჰგავს მზისუმზირას, —
მზეს ემალები თუ ღიმილს მალავ?

იოსებ მჭედლიშვილი

მგოსნის სიკვდილი *)

III

შფოთავს სატახტო ქალაქი,
პირქუში მეფის გულითა,
პირქუში იმპერატორით,
მისის ძალით და რჯულითა,
თვალუწვდენელი ქვეყნებით,
იმათის ტანჯვით, წყლულითა
და ყოველდღიურ ლუკმისთვის
დღედალამ ფიქრით, ზრუნვითა.
ამიტომ რევოლუცია
ცეცხლს იქნევს აქ-იქ უცებსა:
მეფისა დასამხობელად
პირი შეუკრავთ მუშებსა.
მათთან შეკრულან სხვადასხვა
ერის მშრომელნიც ფიცითა,
და იმათ ასალაგმავად
მეფე ავსილა ბიწითა:
სამეფოს საბჭოს სთხოვს შველას,
გაუშვერია ხელები,
დაამტკიცეთო ტახტისა
მტრებისთვის სახრჩობელები.
და მსჯელობს საბჭო სატახტოდ
დიდის რიხით და ზრახვითა.
იქ იმყოფება მგოსანიც
თავისი მტკიცე ზრახვითა:
დაიცვას ხალხის უფლება
ყველანაირი სახითა.
სხვები სულ ერთხმად ამბობდნენ:
„გადავარჩინოთ ტახტიო,
მის მოღალატეს სიკვდილი,
მტერს და მოძულეს — ლახტიო“...
ბოლოს წამოდგა მგოსანი
ამომავალი მზესავით
და ამოხეთქა გულიდან
სიტყვები რისხვის მთესავი:
— საბჭოს წევრებო — სთქვა იმან —
პატივცემულნო დიდადა,
თქვენი სიტყვა აქვს თქვენსავე
ქვეყანას გზად და ხიდადა.
ხალხს უნდა ენაცვლებოდეს
ზრუნვა თქვენი და მეფისა,
თავი თქვენ უნდა გასწიროთ
და არა ხალხმა თქვენთვისა.
თქვენ კი გსურთ, ხალხსა სიკვდილით
დღე დაუბნელოთ მზიანი.
ნუთუ არ გიყვართ სამშობლო,
არ გიყვართ ადამიანი?..
ზღვიდან ზღვებამდე გაჭიმულს
ამ თქვენსა იმპერიაში
არ გესმით ტანჯვა-ვაება,
საწყალთა კვნესა-გნიასი?
რატომ არ ჰკითხავთ ამ ხალხსა:
რა ჰსურს, რა სტკივა, რასა გთხოვს,
განა ხალხისა სურვილი
ავსა იქმს, კეთილს დაამხობს?..
თქვენ ებრძვით ხალხის წინსვლასა,
თქვენ ებრძვით ალმდგარ გოლიათს
და მის სიკვდილით დათრგუნვა
კეთილი საქმე გგონიათ?!.
საბჭოს წევრებო, მე გირჩევთ,
ხალხსა მოეპყრათ სიფრთხილით

*) გაგრძელება. „ჩვენი თაობა“ № 3.

და, მისსაც საკეთილდღეოთ,
აღკვეთოთ დასჯა სიკვდილით.“ —
აღშფოთებულნი წამოდგნენ
საბჭოს წევრები ზეზედა,
ვინ შეკაზმულა — ფიქრობენ —
ეს ბუსურმანი ჩვენზედა.
სიკვდილით დასჯის აღკვეთა
ხომ მტერს მოიყვანს ფერზედა?
ეს რჩევა მოგონილია
სოციალიზმის რჩევადო
და ჩვენი იმპერიისა
შიგნიდან დასაქცევადო,“
და უარუყვეს მგოსანსა,
მეფეს მოექცნენ ფრთხილადა.
თავს აცხადებდა იქ ყველა
იმპერატორის შვილადა.
მეფის ჰიმნიც კი იმღერეს
მათ ფეხზეადგომილადა,
ხოლო მგოსანი ჩათვალეს
ახალ თაობის გმირადა,
სოციალიზმის უწმლო
აზრთაგან დაცოფილადა.

და შეიკაზმა ჯალათი
მკვდარი ცხოვრების ხვრელიდან —
იბერიისკენ წამოვა
ვილაც სიკვდილის ცელითა
და თავის საჯალათოში
შევა განზრახვით ბნელითა.
თავისიანებს გადუშლის
საშინელების გეგმასა:
ვილაცისაგან მოითხოვს
მგოსნის მოკვლაზე შეთქმასა.
თან იტყვის: მკვლელი იბერთა
შვილივე უნდა იყოსო.
რომ ჩვენი გზა და საქმენი
ვერავინ გაიფიქროსო.
— გვყავსო ჯაშუში — მიუგეს —
დიახ იმათის ტომითა,
ის გააკეთებს ამ საქმეს,
მის სიახლოვის ჯდომითა.
იგივე მიჩენილი ჰყავთ
სოციალისტურ პარტიებს,
ვითომდა სოციალისტი,
დღე-ღამეს მათთან ათიებს. —

და დაუძახეს მურმანას,
გაუნდეს აზრი წყვდიადი,
თან დაავალეს სიფრთხილე,
იდუმალება ფრიადი:
— თუ შენ გაგვიცემ ხვაშიადს,
დაგსვამთ ცრემლების ძეწნადო —
ნატამალს აღარ გავუშვებთ
შენი სისხლისას ქვეყნადო.
ხოლო თუ საქმეს მოახდენ,
დააბოლოვებ კარგადო,
ბედს მოგწევთ, ჯერ არნახულსა,
წარმოუდგენელს აზრადო. —
მემრე მოძებნეს ნაცნობნი
პოეტის ნათესავისა,
შორიდან მოვლით დაიწყეს
საქმის ჩადენა ავისა.
დას მიუჩენენ მგოსანსა
„უცოდველ“ საქმის თავადა,
თავის დის პირით ურჩევენ
მურმანას მოურავადა.
მგოსანი დაეთანხმება,
დას როგორ ეტყვის უარსა
და თავის გვერდით დაიდებს
შავი ეშმაკის ძუასა.

ამ დროს მგოსნიანთ სოფელში
იდგა ზათქი და დანდგარი,
იშმუშნებოდნენ გლეხები,
ახალ ყოფისთვის ამდგარნი.
იქ იყო ტატე მერაბიც,
ცხარედ ეძებდა თადესა,
თან ულანძღავდა მას გულში
შვილს, უჯილაგო ნათესსა.
იპოვა კიდეც. შესჩივლა
ამბავი დასაღონები:
მემუქრებაო გიგია
„ერთობით“ თავმომწონები.
თუ ფეფილს ცოლად არ მომცემ,
დღეებს დაგითვლი თითზეო,
ძნებს გადაგიწვავ მინდორში,
სახლკარსაც ნაცრად გიქცევო.
შეწუხდა დიდად თანდილა,
პირი მოკუმა დუმილით,
გულით წაიღო შინისკენ
რისხვა, მეხი და ქუხილი.

— გიგიავ, აქ მო — უთხრა შვილს —
უნდა რამ გითხრა ჯეილსა,
მამა ვარ, ყური დამიგდე,
გეტყვი, რაც მოგცემს ხეირსა. —
მივიდა ახლოს გიგია
რაღაც დაცინვის ღიმითა:
თითქო ზრდილობის გულისთვის
მისვლას ჰხატავდა იმითა.
— შვილო, დაიწყო მოხუცმა,
კაცი ხარ ვეებერთელა
და, რომ ჰკვაც არის საჭირო,
არ მითქვამს შენთვის ერთხელა.
კამეჩი მყავდა ჭიკორა,
ვაქებდი — არა-იყო-რა:
მეც გაქებ, შენ კი სულ მარცხვენ,
სულ ტალახისკე მიჰგორავ.
ერთობის კაცად რომ მოგაქვს
თავი ვაჟს, წვერ-ულვაშასა,
ჰკვაც, ერთობისა სადარი,
თან უნდა გახლდეს ვაჟკაცსა.
აბა უყურე ერთობის
სხვა ბიჭებს, შენსა ტოლებსა,
მათ საქციელსა, მათ ჰკუას,
მათ საქმეს მოსაწონებსა!..
— ეჰხ მამაჩემო — წარმოსთქვა
და გატრიალდა გიგია.
— გიგიავ — მამამ შეჰყივლა —
შვილი არაფერს მიქვიან,
თუ არ მოუსმენ გონივრულ
რჩევას, კეთილს მდომელსა,
განა მაგიებს მიბედავ
შენს გამზრდელს, შენსა მშობელსა?!.
მობრუნდი, თორემ, ღმერთს ვფიცავ,
ჩემ შვილად აღარ მიცვნიხარ,
იმავე ხელით დაგახრჩობ,
რომლითაც გამომიზრდიხარ.
— რა გინდა მამი — ამოთქვა
გიგიამ ზანტი წყენითა
და რაღაც წაილუღლუღა
წვერმოტეხილი ენითა.
— აი რა მინდა: ტატეს ქალს
გადასდგომიხარ გზაზედა,
გითქვამს, წამომყე ცოლადა,
გული არ მაქვსო სხვაზედა.
უარზე — დაჰმუქრებიხარ,
თუ შენ არ წამომყვებიო,
მივანგრ-მოვანგრევ მამაშენს,
მეხივით დავატყდებიო...
მემრე, ამნაირ მუქარით
თავს შეაყვარებ ფეფილსა?.
ან აგრე შეყვარებული
ცოლობას გიზამს კეთილსა?
რათ მარცხვენ. შვილო, რათ მასხამ
თავს შენი ჰკუის ოფოფებს?
რომ მოხუცებულს სოფელში
თავი არ გამეყოფოდეს?!
— მამი, ფეფილას ამბავი
კაი ხანია, რაც იყო,
ეხლა მიყვარს და თანხმაა
ნორდარას ქალი ცაციკო.
— თანახმა არის?
— ჰო, მაშა!
— ეგ მომწონს. ვაჟკაცურია. —
მეც თანახმა ვარ მაგისი,
თუ ერთმანეთი გწყურიათ.
მაგრამ სანამდე მაგ საქმეს
დაენთებოდეს ბუხარი,
წადი და ტატეს, ჩემს ნაცვლად,
დიდი ბოდიში უთხარი. —
მორიგდნენ მამა და შვილი,
ზავი შეიკრა ნეტარი.
მხოლოდ ქორწილის ხარჯებს
ჰქონდა მათ მოსაძებარი...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

კრიტიკა

აკაკი გაწერელია

დ. კლდიაშვილი*)

ჩვენ განზრახ მივმართეთ ამ წერილში ვრცელ ციტაციას დ. კლდიაშვილის სხვადასხვა მოთხრობებიდან. გავყვებით ამ გზას ქვევითაც, რადგან ჩვენი მიზანია მკითხველისათვის ნათელი გახდეს გამმა დეტალებისა, ერთდაიმავე მოტივის ხშირი განმეორებანი მწერლის მიერ.

არსებითად დ. კლდიაშვილმა დაგვიტოვა ერთი დიდი წიგნი. ამ წიგნის მთავარი გმირია — გალატაკებული აზნაური თავისი ახირებული თავგადასავლით!

სრული სიცხადით ეს აზნაური პირველად „სოლომან მორბელაძეში“ გამოჩნდა. ამ მოთხრობაში იგი ჯერ კიდევ ჯანღონით არის სავსე, იბრძვის არსებობისთვის და თუმცა ერთს საქმეში — მაჭანკლობაში — ხშირად მარცხდება, მკითხველს მოთხრობის წაკითხვის შემდეგაც სჯერა, რომ ეს აზნაური, მიუხედავად მისი თავგადასავლის სამწუხარო ფინალისა, ხვალ ისევ დაიწყებს ჯანმრთელ სიცილს, ისევ შეჯდება თავის ჯორზე და ივლის სამაჭანკლოდ! „სამანიშვილის დედინაცვალში“, „დარისპანის გასაჭირში“ და „ქამუშაძის გაჭირვებაში“ მკითხველი დაწვრილებით ეცნობა ამ აზნაურის ცხოვრებას: მას აწუხებს მიწის სამცირე, რომლის გამო არ სურს მოქიშპე გაუჩნდეს მომავალში; სახლში გაუთხოვარი ქალიშვილები ჰყავს, რომლებსაც საკუთარი ბინა ვერ მიუჩინა; ბოლოს ის უკიდურეს გაჭირვებაში ვარდება, სამშილის საშინელება ატყდება თავს და იძულებულია სოფელი მიატოვოს და ქალაქში გადასახლდეს („ქამუშ. გაჭ.“).

ამ აზნაურის ირგვლივ გამეფებულია ყოველგვარი ცრუმორწმუნეობანი — ხატზე გადაცემა, კუდიანობა, გადალოცვები და სხვ..

უკანასკნელი ნილაბი „შემოდგომის აზნაურისა“ არის როსტომ მანველიძე—გმირი დ. კლდიაშვილის უკანასკნელი მოთხრობისა ამ ციკლიდან **—ანუ

---

*) გაგრძელება. „ჩვენი თაობა“ №: 3.

**) „სოლომან მორბელაძე“ დაიწერა 1894 წელს, ხოლო „როსტომ მანველიძე“—1910 წელს. აღსანიშნავია, რომ ავტორის პიესები „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“, რომლებიც აგრეთვე აზნაურების ცხოვრებას ეხებიან, ამ ორი მოთხრობის თარიღებს შორის ექცევიან: პირველი დაიწერა 1897 წელს, მეორე კი—1903 წელს. ამრიგად, „როსტომ მანველიძე“ საბოლოოდ ამთავრებს დ. კლდიაშვილის ორივე ჟანრის ციკლს გარკვეულ თემაზე. რაც შეეხება პიესას „უბედურება“ (1914) და მოთხრობებს — „ბაკულას ღორები“ (1912), „ქრისტე მეშველიძე“ და „შუა ცეცხლის პირას“ — ისინი გლეხობის ცხოვრებას ეხებიან. ამათ (და კიდევ რამდენიმე სხვა თემებზე დაწერილ მოთხრობებს) ჩვენ ამ წერილში არ ვეხებით.

ერთი მთლიანი წიგნის უკანასკნელი თავისა, — თავისთავთან მარტოდ მყოფი, ცოლისა და შვილების მიერ მიტოვებულ აზნაურს, რომელსაც აღარ ეხალისება ადამიანებთან საუბარი. ჩვენ უკვე ვეღარ ვცნობთ მასში მოხარხარე სოლომან მორბელაძეს, რომელიც მხოლოდ წამიერად ჩაუფიქრდებოდა ხოლმე თავის ხვედრს; ეს უკვე ნებისყოფაწართმეული ადამიანია, მისთვის ცხოვრება სიცოცხლეშივე შეჩერებულა. აქედან — როსტომ მანველიძის არაჩვეულებრივი სიზანტე და მიზანტროპია:

„შეჯდებოდა როსტომი თავის გამხმარ, ბებერ ჯორზე, მიადგებოდა რომელსამე მახლობლად მცხოვრებ ნათესავს ან მეგობარს, რომ მწარე გულით მონდომებულს ძველებურად მოელხინა და ყმაწვილებთან სმაში გაბმულიყო. მაგრამ მეორე-მესამე ჭიქაზე უკვე მთვრალი იყო ხოლმე, მეოთხეზე-კი ძილი მოეკიდებოდა და სუფრაზე ხვრინავდა. დაბრუნდებოდა შინ და ისევ მიეგდებოდა თავის გამოყრუებულ სახლში.

ასეთს ცხოვრებას ატარებს დღეს საწყალი როსტომ მანველიძე, რომელსაც აღარც სახლთუხუცესის ჯავრი აქვს, აღარც მარშლების, აღარც ბანკისა, აღარც ოჯახისა; რომელიც აღარც ცოლის ამბავს კითხულობს, აღარც შვილებისას, — კარგად არიან, ავად არიან, სად არიან, ვისთან არიან? თხოვდებიან თუ ისევ ქალიშვილობაშივე ბერდებიან.

თუ ვინმე საქვეყნო საქმეებზე ჩამოაგდებს მასთან სიტყვას ერთი გაჯავრებით ხელს ჩაიქნევს, გესლიანად კარგად შეუკურთხებს და ყველაზე გულგატეხილი, ყველასა და ყველაფერს ჯანდაბამდის გზას დაულოცავს, მიყუჩდება და ისევ თავისებურად მიეგდება“.

დ. კლდიაშვილის მოთხრობის ეს დასასრული ისმის, როგორც მწერლის მიერ თავისი მთლიანი წიგნის მთავარ გმირზე წაკითხული რეკვიემი!

ასეთია ევოლუცია დ. კლდიაშვილის აზნაურისა — ღარიბი, მაგრამ მაინც ჯანმრთელი ადამიანიდან პირქუშ მიზანტროპამდე!.. და არა მარტო მწერლის წიგნის შესავალი და დასასრული, არამედ ამ წიგნის ცალკე თავების — ე. ი. იმისი მოთხრობების — შესავალი და ბოლოც ამ ევოლუციას გადმოგვცემენ.

დ. კლდიაშვილის მოთხრობები ყოველთვის მხიარული აკორდით იწყება, ხოლო თავდება უნუგეშო ღაღადით: გმირი დასაწყისში იცინის, ბოლოს კი მოთქვამს!

ვიღოთ თუნდაც „სოლომან მორბელაძე“:

„და... აქ სოლომანმა გადიხარხარა!“ — ნათქვამია მის შესახებ მოთხრობის დასაწყისში. დასასრულს კი, მოტყუებული, თვითონაც ტყუილს შეჩვეული სოლომანი თავისთვის მოთქვამს:

„ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზედ ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზედ მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს... ღმერთო, ღმერთო! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა უკანასკნელი სიტყვები საბრალო სოლომანმა და, თითქო მისი გული სიბრალულით ავსო ყოველი ღვთის გაჩენილისა და დაჩაგრულისადმი, ამათ რიცხვში, რასაკვირველია, თავის ჯორისადმიცა, რომელიც, თუმცა ბევრს არაფერს სიამოვნებას ხედავდა თავის ღარიბის პატრონის ხელში, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი მორჩილი, ერთგული მოსამსახურე, ხანდახან ამხანაგიც იყო და რომელიც ახლაც თავ-დაუზოგველად მიაქროლებდა სახლისაკენ თავის ნაღვლიანს, შავ-უკუღმა ფიქრებში წასულს ბატონსა“.

ფსიქოლოგიური ანალიზის სიზუსტის მხრივ ამ აბზაცში მკითხველი ადვილად აღმოაჩენს წმინდა შექსპირულ ხაზს!

ამ ხერხს შეგნებულად მიმართავს ავტორი.

„სამანიშვილის დედინაცვლის“ დასაწყისში, პირველსავე გვერდზე, ბეკინა მხიარულად იცინის:

„... და ამასთან მხიარულად გადაიხარხარებდა ხოლმე“.

ან კიდევ:

„ალბათ სურს [ღმერთს], რომ სამანიშვილები მოამრავლოს. მასაც ქვეყნად მხოლოდ ჩრჩილები უნდა რომ ყავდეს! ხა, ხა, ხა!“...

მოთხრობის მესამე გვერდზე:

„ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა ბეკინამ და სიტყვა გააწყვეტინა პლატონს. — შვილი გეჟოლება... ხა, ხა, ხა! რაღა დროს ჩემი შვილია, შე კაცო!.. ხა, ხა, ხა!“

მოთხრობის დასასრულს კი ბეკინა განწირული ხმით ევედრება თავის ვაჟს პლატონს, რომ არ უღალატოს, არ გაეყაროს მოხუც მამას, უპატრონოდ არ დასტოვოს ის. ბეკინა უბრალო აზნაურია, გამოთქმის მხრივ უმწეო და ამიტომ ლუღლუღებს:

„კი, შვილო, კი, ჩემო საყვარელო! ვინ გეიგონა ჩვენი გაყრა! კი, ჩემო პლატონ, კი! შენი კეთილი გულის ამბავი არ ვიცი განა?.. რაც ჩემი სიყვარული გქონდა, ასე უცებ რავა დამეკარგება, როგორ დევიჯერო?! კი, კი, ჩემო პლატონ! — ემუდარებოდა ბეკინა გულამღვრეულ შვილს“.

ეს არა ერთხელ ნახმარი „კი“ გასაოცრად ათბობს მოთხრობას და მთელი წინანდელი კომიზმისაგან ნატამალიც აღარ რჩება. *

„ბიჭო, ნესტორა, ოჯახი არ გამიცივო, ბაბუა, ა?“ („მიქელა“) „მერე, რა პასუხს მომცემ შენი ჭირი შემეყარა, ა?.. რა პასუხს მომცემ, ა?“ („უბედურება“), კირილე ეუბნება პლატონს: „... ა, მითხარი, თუ ძმახარ?., კარში გამომაგდებ? ა?“

იმდენად თვალსაჩინოა ეს მომენტი დავით კლდიაშვილის მოთხრობებში, იმდენად დიდია მწერლის მიერ შეგრძნობა საკუთარი გმირების ადამიანური ტკივილისა, რომ შეუძლებელია „სოლომან მორბელაძისა“ და „სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორის მიჩნევა სატირიკოსად ან სვიფტისებური სარკაზმის მქონე მწერლად.

პატარა კუთხე, იმერეთი, და ამ კუთხის ადამიანები დ. კლდიაშვილმა დახატა იშვიათი სიძლიერით. თუმცა აქ ბევრია კომიზმიც, მაგრამ უფრო მეტია მუქი კოლორიტი, ზოგჯერ მისტიკის საზღვართან მდგომი! „ქამუშაძის გაჭირვება“ — ნამდვილი ენციკლოპედია ძველი იმერეთისა — ჩვენი მოსაზრების მშვენიერ დადასტურებას წარმოადგენს.

ქართულს პროზაში, არ მეგულება მეორე ნაწარმოები, რომელშიც ისე მძაფრი სიღრმავეებით იყოს ნაჩვენები გამოუვალი, პირდაპირ ფატალური მდგომარეობა ადამიანებისა, როგორც დ. კლდიაშვილის ამ მოთხრობაში; და არსად

---

*) აი მაგალითებიც ამ ფორმის ხშირი ხმარებისა მწერლის სხვა მოთხრობებში: „კი, ჩემო სონია, კი“ — ეუბნება ოტია თავის მეუღლეს („ქამუშ. გაჭ.“); კი, შვილო, კი, კი!“ ამშვიდებს ტყვირინე თავის ვაჟს (იქვე); „კი, შვილებო, კი, კი!“ — ამბობს პელაგია (იქვე); „კი, დედიკო, კი!“ — მოსთქვამს ელენე შვილის სურათის წინ („მშობლის ნუგეში“) და სხვ. ასევეა გათამაშებული შეკითხვა „ა“?

არ სცემს ავტორის გული ისე თანაგრძნობით პატარა ადამიანისადმი, როგორც მის მოთხრობებში.

ეს თვისება ანსხვავებს დ. კლდიაშვილის ჰუმორს შჩედრინისა და ილია ჭავჭავაძის სატირისაგან, ჩეხოვის მელანქოლიური ღიმილისაგან.

არ შეიძლება ვუსაყვედუროთ ჩვენს მწერალს ისიც, რომ იგი ფსიქოლოგიურად არა რთულ, პატარა ბუნების ადამიანებს ხატავდა. მწერლის სიდიადე ძალიან ხშირად სწორედ ასეთი ადამიანების ხატვის დროს მჟღავნდება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გოგოლი პატარა ადამიანების გენიალური მხატვარი იყო; თანამედროვე ანგლოსაქსური ლიტერატურის კუმირი, ჯემს ჯოისი, სწორედ უმნიშვნელო ადამიანთა ხატვის დროს ამხელს უდიდეს ოსტატობას. მისი „დუბლინელები“ ხომ ასეთი ადამიანების ცხოვრებას გვიჩვენებს.

ბოლოს, გავიხსენოთ თუნდაც ფლობერი. აკი მისი ფხიზელი რეალიზმი სასტიკად ებრძოდა ყველაფერ გაზვიადებულს, რომანტიული სხივით შეფერილ გმირებს?

მაგრამ დავით კლდიაშვილი მათგან განსხვავდება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ის კი არ ებრძვის თავის პერსონაჟებს, კი არ აკარიკატურებს მათ, არამედ მათი ცხოვრების უაღრესად სერიოზულ მომენტში, ანთავისუფლებს მათ სასაცილო მდგომარეობიდან, აჰყავს ისინი ადამიანური განცდის უმაღლეს საფეხურზე.

და აქ ამჟღავნებს იგი თავის დიდს ჰუმანიზმს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დ. კლდიაშვილი, უწინარეს ყოვლისა, მორალისტია.

7

დ. კლდიაშვილის მოთხრობებში უმთავრესად სათნო ბუნების, გამრჯელი და პატიოსანი ქალებია გამოყვანილი. ასეთნი არიან, მაგალითად, დარიკო და შელანო („სამანიშვილის დედინაცვალი“), სონია („ქამუშაძის გაჭირვება“), მარინე („მსხვერპლი“) და სხვები.

მაგრამ მწერლის პერსონაჟებს შორის განსაკუთრებით დიდს ყურადღებას იქცევს ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბუნებით დაჯილდოვებული სოფლელი ქალები — კაროჟნა „დარისპანის გასაჭირში“ და ეკვირინე „ქამუშაძის გაჭირვებაში“.

კაროჟნა არ არის სასაცილო ქალი, როგორც ეს ჩვეულებრივ არის მიღებული. შეიძლება ითქვას, რომ იგი ტრაგიკული ფიგურაა; ეს არის ადამიანი, რომლის სახით მწერალმა აჩვენა ღარიბი იმერელი აზნაურის ოჯახში აზრდილი, დაჩაგრული და გაუთხოვარი ქალი, ადამიანი, რომელზედაც ბედს განსაკუთრებით უკუღმართად უმუშავნია. კაროჟნას წართმეული აქვს მეტყველების უნარი, უპასუხებს მარტო შეკითხვებზე, — მეტწილად კი იგი ჩუმადაა; ეს სიჩუმე, ეს შეგნებული დუმილი უმწეო და უბედური სოფლელი ახალგაზრდა ქალისა, დუმილი, რომელიც პიესაში პირდაპირ ფიზიკურად ხელშესახები ძალით მონაწილეობს, — ნაწარმოების ქვეტექსტში უნდა წაიკითხოს მკითხველმა; ის უნდა იგრძნოს დაკვირვებულმა მაყურებელმა ნაწარმოების თეატრალური განსახიერების დროსაც.

კაროჟნას პასუხები უაღრესად ლაკონიურია, პირველი შეხედვით თითქოს სასაცილოც, თუმცა ალოგიური რამ მის სიტყვებში არაფერია. როცა მამა ეკითხება საღებავის სახელს, კაროჟნა მოკლედ უპასუხებს —

— „ბურია!“

ამ საბრალო ადამიანს მხოლოდ სხვები ახასიათებენ, უწინარეს ყოვლისა კი მამა მისი, დარისპანი, რადგან კაროჟნა მუდამ სდუმს, არაჩვეულებრივის გულმოდგინებით:

„— ამგზაში სულ იმას ჩავსჩიჩინებ — აი, ბოშო, სხვას რომ დეინახავ, თამამად იყავი, ხმა ამოიღე, ენა მუცელში ნუ ჩაგივარდება, დაანახვე რომ მუნჯი არა ხარ... შენც არ მომიკვდე, ვერასფერი შევასმინე! — რავარც გარეშეს თვალს მოჰკრავს, ქეც დამუნჯდება, ქეც დაყრუვდება, ქეც დაკუტდება... დაჯდომა თუ ერთი მოასწრო, ააყენებ ზეზე? ისე დაეკოსება ერთ ადგილას, რომ ვერას გზით ვერ ააგლეჯ ზევით... მომკლა მე მაგან!“

კაროჟნა უკადრისი სახეა დაჩაგრული ქალისა. მასში თითქოს შეწყვეტილია სიცოცხლის ფეთქა, შეცვლილია იგი მარტოოდენ დუმილით. პიესაში ამ დუმილს არღვევს მის მიერ უკანასკნელად სასოწარკვეთილებით ნათქვამი:

— „მე არ გთხოვთ გათხოვებას!... ვიქნები ჩემთვის!“

ჩვენ არ ვიცით რა აწუხებს კაროჟნას, როგორია მისი შინაგანი ტკივილი: უკიდურესმა დამცირებამ, ბედის სუსხმა გამოიწვია მასში სიჩუმე, რომელიც ერთგვარს გალეშჩებაში გადადის. მისი ნამდვილი აზრების შესახებ ვერაფერს ვტყობილობთ იმ ერთადერთი ფრაზიდანაც, რომელსაც მწერალი ალაპარაკებს მას პიესის დასასრულს.

სულ სხვა ადამიანია ეკვირინე. ეს არის წყარო დაუსრულებელი ოპტიმიზმისა, თვით უკიდურესი გაჭირვების ჟამსაცკი მას გამოულეველი მარაგი გააჩნია მზრუნველი სიტყვებისა თავისი ვაჟისადმი. ეკვირინე ნამდვილი განსახიერებაა ტრადიციული ქართველი ქალისა, რომელიც იშვიათი დედობრივი სიყვარულით არის გამსჭვალული შვილისა და რძლისადმი და რომელსაც გმირულად გადააქვს ოჯახის მძიმე გაჭირვებანი.

დაუვიწყარია სცენა, როდესაც ეკვირინე პირველად ესაუბრა თავის რძალს: იგი დაათვალიერებინებს ქალაქელ ქალს მისი ქრმის ეზოს და მამულს, აღუწერს ისე, თითქოს ლატაკი ოტია ქამუშაძე ნამდვილად მდიდარი იყოს. პირველად ჩვენს პროზაში მოახერხა მწერალმა პერსონაჟის მხრივ ტყუილის წარმოთქმისას ეჩვენებინა არაჩვეულებრივი კეთილშობილება თავისი გმირისა, უმწეო და გამოუვალი მდგომარეობის მიერ ნაკარნახევი ნაბიჯი, რომელიც სრულიად არ შეეფარდება ამ გმირს. ვფიქრობთ, არცერთს სერიოზულ მკითხველს არ გაუცინია ამ ადგილის კითხვის დროს, მიუხედავად მდგომარეობის კომიზმისა.

„იმედი, იმედი!“ — აი დევიზი ეკვირინესი. მომავალს ის მუდამ იმედიანად შესცქერის, თუმცა ყოველ დღეს მისთვის ახალი გაჭირვება მოაქვს. აზნაურის ქალი, რომლის ცხოვრების სიღარიბესა და ოჯახისთვის ზრუნვაში გაუვლია. სიბერის ჟამსაც თავის ვაჟსა და რძალს ეხმარება, გვერდში უდგას, მას სირცხვილად მიაჩნია ოჯახის ახალმა წევრმა ცუდად იგრძნოს თავის ქრმის ხელში.

ამ მოთხრობაში არც ერთხელ არ დაუკვნესია ამ ქართველ დედას! პირიქით — იგი ყველაზე ბევრს ლაპარაკობს იმედიანად!

(დადასრული შემდეგ ნომერში)

ლიტერატურული არქივი

მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების შესახებ

ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღი, პოეტის ზოგიერთ სხვა ბიოგრაფიულ დატასთან ერთად, საბოლოოდ დღემდე დადგენილი არ იყო.

კონსტანტინე მამაცაშვილი 1881 წლის გაზ. „დროებაში“ ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღის შესახებ სწერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა თბილისში 1816 წელსა 22 ნოემბერს“.[1]

ამ თარიღის უარსაყოფად ვლ. მიქელაძე იმავე წლის გაზეთ „დროებაში“ შენიშნავდა: „მთავარ სამმართველოს არქივში მე ვიპოვე ერთი „საქმე“ (дело главного управления за 1830 год № 1154), რომელშიც ნაჩვენებია, რომ ათას რვაას ოცდაათში ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილი იყო თორმეტის წლისა, ესე იგი დაიბადა 1818 წელსა“-ო.[2]

ვინ იცის, იქნებ ვლ. მიქელაძის მიერ შესწორებული ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღი გავრცელებულიყო, რომ კ. მამაცაშვილს არ დაეცვა თავისი შეხედულება პოეტის 1816 წელში დაბადების შესახებ. ვლ. მიქელაძის საპასუხოდ კ. მამაცაშვილი სწერდა:

„ჩემის აზრით, ბევრად უფრო სანდობელია წარწერილი საფლავის ქვაზე დაბადება ბარათაშვილისა, ვიდრემც არხივის ქაღალდი, ამისთვის, რომ საქართველოში 1819-ს წლამდის და უფრო გვიანაც მეტრიკის ქაღალდები არ იყო დაწერილი; მაშინ როგორც დედ-მამას სურდათ, ისრე გამოართმევდნენ ხოლმე თავის შვილის დაბადების მოწმობას ღვდლებს; როცა შვილი სკოლაში მისაცემი იყო, წელიწადებს უკლებდნენ, სკოლაში მცირეწლოვანი (12-ს წლამდისინ) უნდა მიეცათ.

ეჭვი არ არის, რომ მელიტონ ბარათაშვილის სახლში, სადაც ყველამ კარგად იცოდა წერა-კითხვა, შვილის ნიკოლოზის დაბადება იყო დაწერილი და როცა ის გარდაიცვალა, იმისმა დებმა იცოდნენ თავისი ძმის დაბადება და საფლავის ქვაზედ დააწერინეს, რომ 1845 წელს გარდაცვალებული ნიკ. ბარათაშვილი იყო ოცდამეცხრე წელიწადში, — მაშასადამე 1816 წელშია დაბადებული. მე დავსწერე იმავე ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიაში, რომ თითონ იმისგან გამიგონია ბევრჯერ რომ 1816 დაიბადა ჩემზედ ერთის წლით უნცროსი იყო“-ო.[3]

ეს არგუმენტაცია სრულიად საკმარისი გახდა. 1928 წლამდე არავინ დაეჭვებულა კონსტანტინე მამაცაშვილის მიერ დადგენილ თარიღში.

---

[1] გაზ. „დროება“, 1881 წ. № 206.
[2] გაზ. „დროება“, 1881 წ. № 234.
[3] გაზ. „დროება“, 1881 წ. № 237.

1928 წელს მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ წერილში „გრიგოლ ორბელიანის ახლადაღმოჩენილი ნაწერები“ კატეგორიულად განაცხადა: „ბარათაშვილი 1819 წელს დაიბადა და არა 1816 წელს, როგორც ამას დღემდე ჰფიქრობდნენ“-ო.[4]

სამწუხაროდ მკვლევარ პავლე ინგოროყვას თავის დებულების დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ მოყავს, შეგვეძლო კი გვევარაუდნა, რომ იგი დაეყრდნო ნ. ბარათაშვილის მიერ 1845 წლის 9 თებერვლის თარიღით მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილს, რომელშიც პოეტი დასახელებულ ადრესატს სხვათაშორის სწერდა:

„... მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოცდაექვსისა შევსრულდით, და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევს! ვაი იმის ბრალი, ვინც ოცდარვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის“.[5]

1938 წლის ჟურნალ „მნათობის“ მე-9—10 ნომერში გამოქვეყნებულ ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიულ ნარკვევში პავლე ინგოროყვამ უარყო მის მიერ 10 წლის წინათ წამოყენებული თარიღი მგოსნის 1819 წელში დაბადების შესახებ და განაცხადა: „თარიღი პოეტის დაბადებისა არის — 1818 წელი“-ო.[6]

რასაკვირველია, არც ეს თარიღია სწორი. ნიკოლოზ ბარათაშვილი მელიტონის შვილებს შორის ყველაზე უფროსი იყო. მის გარდა მშობლებს 14 შვილი ჰყავდათ, რომელთა დაბადება-გარდაცვალების თარიღები დღეს უკვე ნაპოვნია და ახლო ხანში დაიბეჭდება საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის მატიანეში.

ნიკოლოზის შემდეგ დაიბადა დავითი. დავით ბარათაშვილის დაბადების თარიღია 1818 წელი. ანჩისხატის ეკლესიის ჩანაწერების წიგნი გვაუწყებს:

„ნაწილი პირუელი დაბადებულთათვის, ჩყიე წელსა მამათა სქესი 8. რიცხვი დაბადების დღისა 21. ვინ ვის დაებადა, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქუა ახლად შობილსა? დაებადა ტფილისში მცხოვრებს თავადს მელიტონს ბარათოვს ვაჟი, სახლი განათლულ იქმნა მღუდლის ეფრემის მიერ. სახელი ეწოდა დავით და მონათლუასა ზ-ა მისსა იმღუდელ მოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევმა. რიცხვი მონათვლის დღისა? სეკდემ. 30. ვინ იყუნენ მიმქმელად ანუ ნათლიად? მიმქმელად იყო ვანელი გეურქ არწრუნი“.[7]

საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში დაბადებულთა, ქორწინებით შეუღლებულთა და გარდაცვალებულთა საეკლესიო წიგნებში ჩაწერა დაიწყო 1818 წლის პირველი იანვრიდან.[8]

საქართველოს მოქალაქეობრივი აქტების სამართველოს ცენტრალურ არქივში ინახება ტფილისისა და მთელი საქართველოს ქალაქებისა და დაბა-სოფლების საეკლესიო ჩანაწერების წიგნები. მათ შორის 1818 წლისა და მომდევნო წლების ჩანაწერების წიგნები, რომლებშიც მოთავსებულია, როგორც ზე-

---

[4] ჟურ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ. გვ. 246.

[5] ნ. ბარათაშვილი, 1939 წ. გვერდი 92.

[6] ჟურ. „მნათობი“, 1938 წ. № 10, გვ. 124.

[7] საქარ. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ცენტრალური სამმართველოს არქივი.

[8] აქვე დამატებად ვბეჭდავთ დოკუმენტებს საქართველოში მეტრიკული ჩაწერების შემოღების შესახებ (იხ. დამატება № 1, 2, 3).

მოთ აღვნიშნეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის თოთხმეტი და-ძმის დაბადებისა და გარდაცვალების საეკლესიო ჩანაწერები და თვითონ ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების საეკლესიო ჩანაწერიც, რომელიც 1935 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ გამოაქვეყნა იაკობ ბალახაშვილმა.

ამ მასალათა მიხედვით ჩანს, რომ ბარათაშვილი, როგორც მელიტონის ყველაზე უფროსი შვილი, დაბადებულა 1818 წლამდე.

1885 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ თავის ბროშურაში „ნ. ბარათაშვილი“ მოიყვანა ბარათაშვილის ოჯახის მახლობლის ცნობა პოეტის 1817 წელში დაბადების შესახებ. აი როგორ გადმოგვცემდა ამ ცნობას ზაქარია ჭიჭინაძე:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების დროთ მის ერთ ნათესავთაგანმა მოიგონა და დამიწერა 1816 წ. შემდეგ კი სთქვა, რომ ეს წელი საეჭვოდ მიმაჩნია და იმის დაბადებისდრო უფრო 1817 წ. უნდა ეკუთვნოდეს, რადგანაც მე მქონდა ერთი წიგნი, რომლის ყდაზედაც თვით ბარათაშვილის დედის ეფემიასაგან წარწერილი იყო, თუ როდის დაიბადა ბარათაშვილი“-ო.[*]

ზაქარია ჭიჭინაძე ელოდა თავის ნაცნობისაგან წიგნს, რომელზეც იქნებოდა წარწერა ნ. ბარათაშვილის დაბადების შესახებ, მაგრამ მან ეს წიგნი ვერ მიიღო და ბარათაშვილის დაბადების თარიღად კვლავ 1816 წელი დარჩა.

დღემდე ასეთ აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი გენიალური ქართველი პოეტის დაბადების თარიღის გარშემო.

რამდენიმე ხნის წინათ მეცნიერულმა მუშაკმა ნინო ხოშტარიამ საქართველოს საარქივო სამმართველოს ქართლ-იმერეთის სინოდალურ კანტორის ფონდში აღმოაჩინა საქმე № 4953 По прошенію тифлисскаго предводителя дворянства Маіора Князя Мелитона Баратова о выдаче ему метрическаго свидетельства о рожденіи и крещеніи сына его Николая, რომელიც ზუსტად ადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების წელსა, თვესა და რიცხვს. ამ დოკუმენტთა საფუძველზე საბოლოოდ დგინდება ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღად 1817 წლის 15 (28) დეკემბერი.

ქვემოთ ვბეჭდავთ „საქმეს“, რუსულიდან თარგმნილს, ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

ჟურ. „ჩვენი თაობის“ რედაქცია.

---

* ზ. მთაწმინდელი — „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ. გვ. 3.

ს ა ბ უ თ ე ბ ი

№ 56 ჩაბარებითი აღწერა
30 ოქტომბერს 1835
ც № 5425 არქივით
ფონდი 138
ს № 4953

ს ა ქ მ

ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მაიორ თავადის მელიტონ ბარათოვის თხოვნაზე, რათა მას მიეცეს მისი ვაჟის ნიკოლოზის დაბადებისა და მონათვლის მეტრიკული ამონაწერი.

2 — ფურცელზე

13 დეკემბერს 1835

№ 2377 30 ოქტომბერი 1835

ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორას,

ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის კავალერიის მაიორის მელიტონ ნიკოლოზისძის ბარათოვის

თ ხ ო ვ ნ ა

მსურს ჩემი ვაჟი ნიკოლოზ ბარათოვი შევიყვანო მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურში, ამისათვის საჭიროა მას ჰქონდეს მეტრიკული მოწმობა მისი კანონიერი დაბადებისა და მონათვლისა, რისთვისაც განვმარტავ, რომ იგი, ნიკოლოზი, დაბადებულია ჩემი, მელიტონის, კანონიერი ქორწინებით შეუღლებულის კნეინა ეფემია დიმიტრი ორბელიანის ასულისაგან 1817 წელსა, დეკემბრის 15 რიცხვსა და მონათლულია ტფილისის ანჩისხატის შაცხოვარ-ხელთუქმნელი ხატის საკრებულო ტაძარში მასვე წელსა და მასვე თვესა 20 რიცხვსა მისი დეკანოზის დიმიტრი ალექსეევ-მესხიევის მიერ; მიმქმელი წმინდა ემბაზისა იყო აწ უკვე განსვენებული ნადვორნი სოვეტნიკი და კავალერიის თავადი ნიკოლოზ არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ხოლო მოწმენი: ტფილისში მცხოვრებნი: კოლეჟსკი სოვეტნიკი თავადი ლუარსაბ სუმბათოვი, ტიტულიარნი სოვეტნიკი თავად მელიქზადე ბებუთოვი და გუბერნიის მდივანი დავით ბარათოვი; უმორჩილესად ვთხოვ ქართლ-იმერეთის სინოდალურ კანტორას მომცეს თავად ნიკოლოზ ბარათოვის კანონიერი დაბადებისა და მონათვლის მეტრიკული მოწმობა; ამასთანავე დავურთავ, რომ ახსარებასა და წმინდა ზიარებას, როგორც მე, ისე ჩემი ოჯახობა ზემოხსენებულ შვილთან, ნიკოლოზთან ერთად ვღებულობდით შტატ გარეშე მყოფ დეკანოზთან გაბრიელ მესხიევთან.

მაიორი თავადი მ. ბარათოვი

ოქტომბერსა 30 რიცხვსა 1835 წელსა.
ს № 4953.

1835 30 ოქტომბრის დავთარში.

ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მაიორი თავადი მელიტონ ბარათოვის თხოვნაზე, რომელშიც იტყობინება, რომ: აქვს სურვილი მისი ვაჟი ჩაიწეროს მონათვლის დღიდან ბოლომდე, ბრძანებს: წესისამებრ შედგენილ იქნას მაიორ თავად მელიტონ ბარათოვის ვაჟის კანონიერი დაბადებისა და მონათვლის გამოკითხვითი ცნობები ნათლობის მონაწილეთა პირებისაგან კოლეჟსკი სოვეტნიკი თავად ლუარსაბ სუმბათოვისაგან, ტიტულიარნი სოვეტნიკი თავად მელიქზად ბებუთოვისაგან და გუბერნიის მდივნის თავად დავით ბარათოვისაგან, მუნქტები ესე გადეგზავნოს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს და

ეთხოვოს განკარგულება, რათა ვისგანაც ჯერ არს, შეკრებილ იქნეს პასუხები აღნიშნულ პირებისაგან დაფიცებითა და სასულიერო მხრის დეპუტატის თანადასწრებით, რის შემდეგაც წარედგინოს კანტორას ფიცითი ფურცლებთან ერთად.

წ. 1835.

თქვენო ბრწყინვალებავ,

მოწყალეო ხელმწიფევ

ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის დასკვნით გიგზავნით რა ტფილისში მცხოვრებთ: კოლეჟსკი სოვეტნიკის ლუარსაბ სუმბათოვის, ტიტულიარნი სოვეტნიკის მელიქზად ბებუთოვის და გუბერნიის მდივნის დავით ბარათოვის სახელზე შედგენილ გამოკითხვითს პუნქტებს თავად მელიტონ ბარათოვის ვაჟის ნიკოლოზის დაბადებისა და მონათვლის მეტრიკული მოწმობის გაცემის შესახებ, უმორჩილესად ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, რათა ამ კითხვათა პასუხები ჩამორთმეულ იქნას აღნიშნულ პირთაგან ფიცით სასულიერო დეპუტატის თანადასწრებით.

ჭეშმარიტი პატივისცემით და ერთგულებით მაქვს პატივი დავშთე

მოწყალე ხელმწიფე თქვენი ბრწყინვალებისა.

ნოემბერი 1835.

მის ბრწყინვალებას.

ბ. გრუზინსკის.

ფ 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.

ტფილისის ანჩისხატის საკრებულო ტაძარში სააღსარებო ჩანაწერებში აღმოჩნდა, რომ მაიორ თავად მელიტონ ბარათოვის ოჯახის წევრთა სიაში არის მისი ვაჟი ნიკოლოზიც 1827 წელს 10 წლისა, 1828—11, 1829—12, 1830—13, 1831—14, 1832—15, 1833—16, 1834—17,

დეკანოზი დიმიტრი ალექსეევი

ს. № 4953.

№ 2571 30 ნოემბერი 1835.

ვაძლევთ განსახილველად სინოდალურ კანტორას მაღალყოვლად სამღვდელო მეუფევ.

თქვენი მაღალყოვლად სამღვდელოების მიმართვის გამო ბატონ სამოქალაქო გუბერნატორთან ამა თვის 2, № 2281, მე, მათი ბრწყინვალების სხვაგან ყოფნის გამო გიგზავნით რა ამასთანავე გამოკითხვითს პუნქტებს ფიცის ფურცლებთან ერთად და სხვადასხვა პირთაგან მოკრეფილ პასუხებს მაიორ თავად მელიტონ ბარათოვის ვაჟის ნიკოლოზის დაბადებისა და მონათვლის მოწმობის საქმის შესახებ, ულრმესი პატივისცემითა და ერთგულებით მაქვს პატივი დავშთე

მოწყალე მწყემსთმთავარი

თქვენი მაღალყოვლად სამღვდელოებისა.

№ 8672

24 ნოემბერი 1835

ტფილისი

მათ მაღალყოვლად სამღვდელო მთავარ ეპისკოპოზს ევგენის საქართველოს ეგზარხოსსა და კავალერს.

13 დეკემბერს 1835 წ.

ს. № 4953.

ფიცის აღსარება

მე ქვემორე სახელდებული აღვისთქვამ და გფიცამ ყოვლად შემძლებელსა ღმერთსა წინაშე წმინდისა ღვთისა და სახარებისა მისისა, ასე რომ რომელს საქმეზედაც აწ მწოდებულ ვარ და რასაც მკითხვენ რაიცა მინახავს გამიგონია ანუ ვიცი არცა მტრობითა რა რამე დავმალო ანუ მოვუმატო გარნა ყოველივე ცხად უნდა გამოგიცხადო რომელზედაც ირსე-

ზითი ღმერთი უფალი სულითა და ხორცითა შემეწეოდა მე გასამტკიცებლადცა ფიცისა ამის ჩემისა ვემთხვევი სიტყვისა და ჯვარცმისა მაცხოვრისა ჩემისასა ამინ.

1835 წელსა ნოემბერსა 23 დღესა ამა ფიცითა დაიფიცეს ქართველთა სარწმუნოების თავადი დ. ბარათოვი.

ამ ფიცით დავიფიცეთ თავადმა კოლეესკი სოვეტნიკმა ლუარსაბ სუმბათოვი.

ამ ფიცზედ დავიფიცე ეფრემ მღვდელმა ვადოშანგიმ

ფიცის აღსრულების ჟამს დაესწრენ.

(ხელის მოწერები)

სასულიერო მხრით დეპუტატი დეკანოზი.

ეგნატე იოსელიანი.

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.

ს. № 4953.

გამოკითხვითი პუნქტები, შედგენილნი ქართლ-იმერეთის სინოდალურ კანტორაში გუბერნიის მდივნის დავით ბარათოვის სახელზე ნოემბერსა 2-სა დღესა 1835 წელსა

კითხვები	პასუხები
1 რა გქვიანთ და რას გიწოდებენ, რამდენი წლისა ბრძანდები, რა სარწმუნოებას აღვიარებთ, დადიხართ თუ არა ყოველ წელს აღსარებაზე და ხომ არ ყოფილხართ დაჯარიმებული წმინდა ზიარების გამო ან სამართალში მიცემული და თუ ყოფილხართ სახელდობრ რისთვის.	მქვიან დავით დიმიტრი ბარათოვის შვილს, ვარ 63 წლისა ქართველთა სარწმუნოებისა, აღსარებასა და ზიარებას ყოველ წელს ვიღებ, დაჯარიმებული და სამართალში მიცემული არა ვყოფილვარ. პასუხები ამას
2 იცნობთ თუ არა ტფილისის სამაზრო თავადაზნაურთა წინამძღოლს კავალერიის მაიორს თავად მელიტონ ბარათოვს და მის მეუღლეს ეფემია ორბელიანის ასულს.	ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს მაიორ თავად მელიტონ ბარათოვს და მის მეუღლეს ეფემია ორბელიანის ასულს ვიცნობ მიგებაზედ сiю მიგებაზედ
3 მართალია, რომ მათი ვაჟი ნიკოლოზი დაიბადა 1817 წელს 15 დეკემბერს და მოინათლა ტფილისის ანჩისხატის მაცხოვარ-ხელთუქმნელ ხატის საკრებულო ტაძარში იმავე წლის და იმავე თვის 20 რიცხვში დიმიტრი ალექსეევ-მესხიევის მიერ და მისი მიმქმელი იყო აწ უკვე განსვენებული ნადვორნი სოვეტნიკი თავადი ნიკოლოზ არღუთინსკი-დოლგორუკოვი.	ნამდვილად მათი ვაჟი ნიკოლოზი დაიბადა 1817 წელს 15 დეკემბერს და მონათლულია ტფილისის ანჩისხატის მაცხოვარ-ხელთუქმნელი ხატის საკრებულო ტაძარში იმავე წლის 20 რიცხვსა დეკანოზ დიმიტრი ალექსეევ-მესხიევის მიერ მიმქმელი იყო აწ უკვე განსვენებული ნადვორნი სოვეტნიკი თავადი ნიკოლოზ არღუთინსკი-დოლგორუკოვი. ხელს ვაწერ დავესწარი

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.

ფ. № 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.

4

მართალია, რომ ზემოთქმულ ნიკოლოზის მონათვლის დროს იქ იმყოფებოდით თქვენ, კოლეჯსკის სოვეტნიკი სუმბათოვი და ტიტულიარნი სოვეტნიკი მელიქზარ ბებუთოვი.

ნამდვილად გახლდით ნათლობის ჟამს მე, კოლეჟსკი სოვეტნიკი სუმბათოვი და ტიტულიარნი სოვეტნიკი მელიქზარ ბებუთოვი.

ღუბერნსკი სეკრეტარი (ხელმოწერა სასულიეროს მხრით).

5

კანონიერი ქორწინებით ეყოლა მაიორ თავად მელიტონ ბარათოვს თავისი კანონიერი მეუღლის ეფემიასაგან ზემოხსენებული ვაჟი ნიკოლოზი.

აღნიშნული ნიკოლოზი დაბადებულია კანონიერი ქორწინებით შეუღლებული მაიორ თავადი ბარათოვის მეუღლის ეფემიასაგან.

ბოქაული

დეპუტატი

6

თქვენს გარდა და ზემოთქმულ პირებს გარდა კიდევ ვინ დაესწრო გარეშეთაგან ნიკოლოზის წმინდა ნათლობის საიდუმლოს.

ჩემსა და ზემოხსენებულ პირებს გარდა არავინ ყოფილა გარეშეთაგან.

თავადი Иванычъ

დეკანოზ

7

ყოველივე ზემოჩაწერილზე ფიცის მოვალეობით ნამდვილ სიმართლესა ბრძანებთ.

ყოველივე ზემოჩაწერილისათვის მიღებული ფიცის მოვალეობით მოგახსენებთ ნამდვილ სიმართლეს.

დავესწარი

Протоiерей

ეგნატე იოსელიანი

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.
ს. № 4953.

გამოკითხვითი პუნქტები, შედგენილნი ქართლ-იმერეთის სინოდალურ კანტორაში კოლეჟსკი სოვეტნიკის თავად ლუარსაბ სუმბათოვის სახელზე ნოემბრის 2 დღისა 1886 წელსა

კითხვები — პასუხები

1

რა გქვიან და რას გიწოდებენ, რამდენი წლისა ბრძანდებით, რა სარწმუნოებას აღვიარებთ, ყოველ წელს იღებთ თუ არა წმიდა ზიარებას, ხომ არ ყოფილხართ დაჯარიმებული ან სამართალში მიცემული თუ ყოფილხართ სახელდობრ რისთვის.

მქვიან ლუარსაბ სუმბათოვს სუმბათას შვილს, ვარ 50 წლისა ქართველთა სარწმუნოებისა, წმინდა საიდუმლოს ვღებულობ ყოველ წელს, დაჯარიმებული და სამართალში მიცემული არა ვყოფილვარ.

ამ კითხვაზე

Отвѣтъ

ამას

2

იცნობთ ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლს კავალერიის მაიორს თავად მელიტონ ბარათოვს და მის მეუღლე ეფემია ორბელიანის ასულს.

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს მაიორ თავად ბარათოვს და მის მეუღლე ეფემია ორბელიანის ასულს ვიცნობ.

3

მართალია რომ მათი ვაჟი ნიკოლოზი დაიბადა 1817 წ. 15 დეკემბერს და მოინათლა ტფილისის ანჩისხატის მაცხოვარხელთუქმნელი ხატის საკრებულო ტაძარში იმავე წლისა და იმავე თვის 20 რიცხვსა დეკანოზ დიმიტრი ალექსეევ-მესხიევის მიერ და მისი მიმქმელი იყო აწ უკვე განსვენებული ნადვორნი სოვეტნიკი თავადი ნიკოლოზ არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

მათი ვაჟი ნიკოლოზი ნამდვილად დაბადებულია 1817 წელსა დეკემბრის 15 რიცხვსა და მონათლულია ტფილისის ანჩისხატის საკრებულო ტაძარში იმავე თვის 20 რიცხვსა დეკანოზ დიმიტრი ალექსეევ-მესხიევის მიერ. მიმქმელად იყო აწ უკვე განსვენებული ნადვორნი სოვეტნიკი თავადი ნიკოლოზ არგუთინსკი-დოლგორუკოვი.

მოვაწერე

отбирал

ზედა

4

მართალია რომ ზემოთქმული ნიკოლოზის მონათვლის ჟამს იქ იმყოფებოდით თქვენ ტიტულიარნი სოვეტნიკი ბებუთოვი, მდივანი დავით ბარათოვი მოწმეებით.

(ხელის მოწერა)

ხსენებული ნიკოლოზის საიდუმლოს შესრულებისა და მონათვლის ჟამს ნამდვილად იქ ვიმყოფებოდით მე, ტიტულიარნი სოვეტნიკი ბებუთოვი და გუბერნიის მდივანი ბარათოვი.

თავადმან

(ხელის მოწერა)

დავესწარი

5

აღნიშნული მაიორ თავად ბარათოვის კანონიერი მეუღლის ეფემიასაგან არის დაბადებული მათი ვაჟი ნიკოლოზი.

და ვაჟი მოხსენებული მაიორ თავადი მელიტონ ბარათოვისა დაბადებულა მისი კანონიერი მეუღლის ეფემიასაგან.

კოლეჟსკი სოვეტნიკი

დეპუტატი

(подпись)

6

თქვენსა და ზემოდასახელებული პირების გარდა კიდევ ვინ იმყოფებოდა იქ გარეშეთაგან წმინდა საიდუმლოებისა და მონათვლის შესრულების ჟამს.

და ზემოთ ჩამოთვლილ პირების გარდა იქ გარეშეთაგან სხვა არავინ იმყოფებოდა.

ლუარსაბ

(подпись)

დეკანოზი

7

ყოველივე ზემოჩაწერილზე ფიცის მოვალეობით ნამდვილსა ბრძანებთ.

ხელწერა

ზემოდჩაწერილისათვის მიღებული ფიცის მოვალეობით მოგახსენებთ ნამდვილ სიმართლეს.

სუმბათოვი

(подпись)

ეგნატე იოსელიანი

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.
ს. № 4953.

ფიცითის აღსარება

მე ქვემორე სახელდებული აღვესთქვამ და ვფიცავ ყოვლად შემძლებელსა ღმერთისა წინაშე წმინდისა ჯვრისა და სახარებისა მისისა ისე რომ რომელ საქმეზედაც აწ მოწოდებულვარ და რასაც მკითხვენ რაი ვიცი მენახავს გამიგონია ან ვიცი ირცა მტრობით რა რამე

დავმალავ ანუ მივმატამ გარნა ყოველივე ცხადად უნდა გამოვაცხადო, რომელზედაც არს-უ-ბითი ღმერთი უფალი სულითა და ხორცით შემეწევა და დასამტკიცებლადცა ფიცისა ამისჩემისა ვემთხვევი სიტყვისა და ჯვრისა-მაცხოვარისა ჩემისასა ამინ.

1835 წელსა ნოემბრისა 23 დღესა ფიცით დავიფიცამ სომეხთა სარწმუნოების აღმსარებელმა ტიტულიარნი სოვეტნიკმა თავად მელიქზად ბებუთოვმა.

ამ ფიცით დავიფიცე მღვდელმა ანდრიე

ამპორდონოვმა

ფიცის ჟამს იქ იმყოფებოდნენ (ხელის მოწერები)

ამ ფიცში დავესწარ სასულიეროს მხრით დეპუტატი დეკანოზი

ეგნატე როსელიანი

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.

ს. № 4953 ფ. 12.

გამოკითხვითი პუნქტები, შედგენილნი ქართლ-იმერეთის სინოდალურ კანტორაში ტიტულიარნი სოვეტნიკ მელიქზად ბებუთოვის სახელზედ ნოემბერსა ვ-სა დღესა 1836 წელსა

კითხვები	პასუხები
1	
რა გქვიან და რას გიწოდებენ, რამდენი წლისა ბრძანდებით, რა სარწმუნოებას აღვიარებთ, ყოველ წელს იღებთ თუ არა წმინდა ზიარებას, ხომ არ ყოფილხართ დაჯარიმებული ან სამართალში მიცემული თუ იყავით სახელდობრ რისთვის.	მიწოდებენ მელიქზად აშხარბეკის ბებუთოვის შვილს, 40 წლისა გახლავარ სომხის სარწმუნოებისა, აღსარებასა და ზიარებას ყოველ წელს ვიღებ, დაჯარიმებული და სამართალში მიცემული არა ვყოფილვარ. КЪ СЕМУ ОТВѢТЫ ამას
2	
იცნობთ ტფილისის სამაზრო თავად-აზნაურთა წინამძღოლს კავალერიის მაიორს თავადს მელიტონ ბარათოვს და მის მეუღლეს ეფემია ორბელიანის ასულს.	ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს მაიორ თავად მელიტონ ბარათოვსა და მის მეუღლე ეფემია ორბელიანის ასულს ვიცნობ. შიგებასა ზედა და
3	
მართალია რომ მათი ვაჟი ნიკოლოზი დაიბადა 1817 წელს 15 დეკემბერს და მოინათლა ტფილისის ანჩისხატის მაცხოვარხელთუქმნელი ხატის საკრებულო ტაძარში იმავე წლის და იმავე თვის 20-სა რიცხვსა დეკანოზ დიმიტრი ალექსეევ-მესხიევის მიერ და მისი მიმქმელი იყო აწ უკვე განსვენებული ნადვორნი სოვეტნიკი თავადი ნიკოლოზ არგუთინსკი-დოლგორუკოვი.	მათი ვაჟი ნიკოლოზი დაბადებულია 1817 წლის 15 დეკემბერს, მონათლულია ანჩისხატის საკრებულო ტაძარში იმავე თვის 20-სა რიცხვსა დეკანოზ დიმიტრი ალექსეევ-მესხიევის მიერ და მიმქმელად იყო აწ უკვე განსვენებული ნადვორნი სოვეტნიკი თავადი ნიკოლოზ არგუთინსკი. Руку приложилъ Отбиралъ დავესწარ
4	
მართალია რომ ზემოთქმული ნიკოლოზის მონათვლის დროს იქ იმყოფებოდით თქვენ, კოლეჟსკი სოვეტნიკი ლუარსაბ სუმბათოვი და გუბერნიის მდივანი დავით ბარათოვი, მოწმენი ხელწერა	ხსენებული ნიკოლოზის მონათვლის ჟამს იქ ვიმყოფებოდით მე, კოლეჟსკი სოვეტნიკი სუმბათოვი, გუბერნიის მდივანი დავით ბარათოვი, მოწმენი ტიტულიარნი (подпись) სასულიეროს მხრით

5

აღნიშნული მაიორ თავად ბარათოვის კანონიერი მეუღლის ეფემიასაგან არის დაბადებული მათი ვაჟი ნიკოლოზი.

Конторы

და ვაჟი მოხსენებული მაიორ თავადი მელიტონ ბარათოვისა დაბადებულია მისი კანონიერი მეუღლის ეფემიასაგან.

Совѣтникъ принц

დეპუტატი

6

თქვენსა და ზემოდასახელებული პირების გარდა ვინ იმყოფებოდა იქ გარეშეთაგან ნიკოლოზის წმინდა საიდუმლოებისა და მონათვლის შესრულების ჟამს.

Алексѣй

ჩემსა და ზემოჩამოთვლილ პირების გარდა იქ გარეშეთაგან სხვა არავინ იმყოფებოდა.

Князь Иванъ

დეკანოზი

7

ყოველივე ზემოდჩაწერილზე ფიცის მოვალეობით ნამდვილ სიმართლეს ბრძანებთ.

(ხელწერა)

ზემოდჩაწერილისათვის მიღებული ფიცის მოვალეობით მოგახსენებთ ნამდვილ სიმართლეს.

მელიქზად აშხარბეგ ბებუთოვი

დეკანოზი

ეგნატე იოსელიანი

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.
ს. № 4953 ფ. 13, 14.

1835 წლის 13 დეკემბრის დავთარში

მოწერილობა სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის აღმსრულებლისა სახაზინო ექსპედიციის უფროსისა ოსიპოვისა 29 ნოემბრის თარიღით 8672 ნომრით, რომელთან ერთადაც სინოდალური კანტორის მოწერილობის გამო დართულია გამოკითხვითი პუნქტები, ფიცის ფურცლები და სხვადასხვა პირებში შეკრებილი პასუხები თავად მელიტონ ბარათოვის ვაჟის ნიკოლოზის დაბადებისა და მონათვლის მოწმობის გაცემისათვის. გამოგზავნილი პასუხები შეკრებილია სასულიერო დეპუტატის თანდასწრებით ფიცდადებული შემდეგი პირებისაგან: კოლეჟსკი სოვეტნიკი ლუარსაბ სუმბათოვისაგან, ტიტულიარნი სოვეტნიკ მელიქზად ბებუთოვისაგან და გუბერნიის მდივნის დავით ბარათოვისაგან რომელთაც ერთნაირი ჩვენება მიუციათ მასში, რომ 1, ტფილისის სამაზრო თავადაზნაურთა წინამძღოლს მაიორ მელიტონ ბარათოვს და მის მეუღლეს ეფემია ორბელიანის ასულს იცნობენ 2, რომ მათი ვაჟი ნიკოლოზი დაბადებულია 1817 წელს დეკემბრის 15 და მონათლულია ტფილისის ანჩისხატის მაცხოვარ-ხელთუქმნელ ხატის საკრებულო ტაძარში იმავე თვის 20-სა დღესა დეკანოზ დიმიტრი ალექსეევ-მესხიევის მიერ, მიმქმელად ყოფილა აწ უკვე განსვენებული ნადვორნი სოვეტნიკი თავადი ნიკოლოზ არღუთინსკი-დოლგორუკოვი, 3, რომ ამა საიდუმლოს შესრულების ჟამს ისინი ნამდვილად იქ იმყოფებოდნენ 4, რომ მოხსენებული ვაჟი ნიკოლოზი დაბადებულია მაიორ თავად ბარათოვის კანონიერი მეუღლის ეფემიასაგან და 5, მონათვლის ჟამს ჩვენების მომცემთ გარდა იქ სხვა არავინ ყოფილა. მოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა: 1. ესე განმარტებანი მოეთხოვათ კოლეჟსკი სოვეტნიკი თავადი ლუარსაბ სუმბათოვისაგან, ტიტულიარნი სოვეტნიკ თავად მელიქზად ბებუთოვისაგან და გუბერნიის მდივნის დავით ბარათოვისაგან მაიორ თავად მელიტონ ბარათოვის მიერ სინოდალურ კანტორაში შეტანილი თხოვნის გამო იმის შესახებ, რათა მისთვის მიეცათ მეტრიკული მოწმობა კანონიერებისა და მისი ვაჟის ნიკოლოზის დაბადებისა და მონათვლის შესახებ, რათა ძე იგი თვისი მიეყვანა სამსახურად 2, ტფილისის ანჩისხატის საკრებულო ტაძრის სააღსარებო ჩანაწერებში მაიორ თავად მელიტონ ბარათოვის ოჯახის წევრთა სიაში აღნიშნულია მისი ვაჟი ნიკოლოზიც 1827 წელს 10 წლისა, 1828 — 11, 1829—12, 1830—13, 1831—14, 1832 — 15, 1833—16, 1834—17, ამა საქმის ვითარების ჟამს სინოდალური კანტორის წევრმა დიმიტრი ალექსეევმა საჯაროთ გამოაცხადა, რომ ვაჟი ნიკოლოზი ნამდვილად დაებადა მაიორ თავად მელიტონ ბარათოვს 1837 წლის დეკემბრის 15-ს, რომელიც მან მონათლა ანჩისხატის საკრებულო ტაძარში იმავე წლის 20-სა რიცხვს და მიმქმელი იყო აწ უკვე განსვენებული

ნადვორნი სოვეტნიკი ნიკოლოზ არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ხოლო დაესწრნენ კოლეჟსკი-სოვეტნიკი ლუარსაბ სუმბათოვი, ტიტულიარნი სოვეტნიკი მელიქზად ბებუთოვი და გუბერ-ნიის მდივანი დავით ბარათოვი დაწესებულ საგერბო ქაღალდზე; წარმოდგენის შემდეგ ბრძანეს აღნიშნულ პირთა დამოწმებაზე დაყრდნობით დაუმზადდეს მთხოვნელ თავად მე-ლიტონ ბარათოვს მოწმობა მისი ვაჟის ნიკოლოზის კანონიერი დაბადებისა და მონათვლის შესახებ და გადაიგზავნოს იგი ბატონ სამოქალაქო გუბერნატორ თავად ფალავანდოვთან ბა-რათოვისთვის ჩასაბარებლად და ეთხოვოს განკარგულება, რათა ბარათოვს გადახდეს ოთხი არა სალერბო ღირსების ქაღალდისათვის ორი მანეთი, სახელმწიფო შემოსავლის კუთვნილი 8 მანეთი ასიგნაციებით და სპილენძით და გადაგზავნოს ტფილისის სამაზრო ხაზინაში 2, ეს გადასახადი ეცნობოს ქართულ სახაზინო ექსპედიციას და 3, ამასთანავე საქმე ესე თითქმის დასრულებულად ჩაითვალოს და გადაეცეს თავის დროზე არქივს დაცვისათვის.

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.
ს. № 4953.

მოწმობა

მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის ბრძა-ნებულობით წმინდა მართლმადიდებელთა სინოდის კანტორიდან მაიორ თავად მელიტონ ბარათოვს მასში რომ მისი ვაჟი ნიკოლოზი, როგორც შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, დაბა-დებულია მისი კანონიერი ცოლი ეფემიასაგან ათას რვაას ჩვიდმეტსა წელსა, დეკემბერსა ხუთმეტსა რიცხვსა, მონათლულია იმავე თვესა ოცსა რიცხვსა ტფილისის ანჩისხატის საკრე-ბულო ტაძარში დეკანოზ დიმიტრი ალექსეევის მიერ, მიმქმელად იყო ნადვორნი სოვეტ-ნიკი თავადი ნიკოლოზ არგუთინსკი-დოლგორუკოვი, რის სარწმუნოდაც მიეცა ესე მოწმობა თავად მელიტონ ბარათოვსა სათანადო ხელწერითა და სახაზინო ბეჭდის დასმითა ზემოაღ-ნიშნული მისი ვაჟის ნიკოლოზ ბარათოვის მიყვანებად მათი იმპერატორობითი უდიდებუ-ლესობის სამსახურში. ტფილისი დეკემბერი 24 1835 წელი.

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.
ს. № 4953.

თქვენო ბრწყინვალებავ,
მოწყალეო ხელმწიფე

ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის დასკვნის მიხედვით გიგზავნით რა ამასთან ერთად მეტრიკულ ამონაწერს მაიორ თავად მელიტონ ბარათოვის ვაჟის ნიკოლოზის კანო-ნიერი დაბადებისა და მონათვლის შესახებ მისი სათანადო ადგილას გადაცემისათვის, უმორ-ჩილესათა გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რათა ასეთის ჩაბარების ჟამს მას, ბარათოვს, გადაახდევინოთ რვა მანეთი ასიგნაციებითა და სპილენძით არა სალერბო ქაღალდის გამო და ესე ფული გადაგზავნილ იქნას კუთვნილისამებრ სახელმწიფო შემოსავალში.

ჭეშმარიტი პატივისცემითა და ერთგულებით მაქვს პატივი დავშთე
მოწყალე ხელმწიფე თქვენი ბრწყინვალებისა

№ 2626
24 დეკემბერი 1835
ტფილისი
მათს ბრწყინვალებას
თავად ნ. ი. ფალავანდოვს
ბ. საქართველოს სამოქალაქო
გუბერნატორს

სახაზინო ექსპედიციაში
გაგზავნილი 22 იანვარს
1835 წელს
№ 86

ფ. 138 ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორა.
ს. № 4953.

დამატება

№ 968 ჩაბარებითი აღწერა № 2145 არქივით 28 აგვისტო 1829 წელს

საქმე

საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ზავილეისკის მიმართ თუ რომელი წლიდან არის შემოღებული საქართველოში მეტრიკული ჩაწერები.

(ექვს ფურცელზე)

ფ. 139 საქართველოს ექზარხოსის კანცელარია.
№ 9 2116.
№ 1265 28 აგვისტო 1829 წელი

თქვენო მაღალყოვლადსამღვდელოებავ
მოწყალეო მწყემსმთავარო

მაქვს პატივი უმორჩილესადა გთხოვოთ თქვენო მაღალყოვლადსამღვდელოვ პატივი დამდოთ და მაცნობოთ, რომელი წლიდან არის შემოღებული საქართველოში მეტრიკული ჩაწერა.

ჭეშმარიტი მაღალპატივისცემით და სრული ერთგულებით დავშთები
თქვენი მაღალყოვლადსამღვდელოს მოწყალე მწყემსმთავარი
№ 6204
27 აგვისტო 1829
ტფილისი

მის მაღალყოვლადსამღვდელოს იონა მიტროპოლიტს საქართველოს ექზარხსა და კავალერს.

ფ. 139 საქ. ექზარხის კანცელარია.
№ 9, 2116.
1829 წლის სექტემბრის 4-ს დავთარში.

მოწერილობა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის ბატონ სტატსკი სოვეტნიკის ზავილეისკისა გასული წლის აგვისტოს 27-სა № 6204, სადაც იგი ითხოვს, რათა ვაცნობო მას, რომელი წლიდან დაიწყე საქართველოში მეტრიკული ჩაწერები. ცნობის მიხედვით ვუბრძანებთ ეცნობოს კუთვნილისამებრ ბატონ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს ზავილეისკის აქ მოხსენებული მის მოთხოვნის თანახმად, რომ მეტრიკული წიგნები შემოღებულია საქართველოში 1818 წლის დასაწყისში.

ფ. 139 საქ. ექზ. კანცელარია.
ს. № 2116.

მოწყალეო ხელმწიფევ
პეტრე დემიანეს ძევ!

ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის დასკვნით თქვენი მაღალკეთილშობილების ჩემთან გამოგზავნილ მოწერილობის გამო გასული წლის 25 აგვისტოს თარიღით და 6204 ნომრით, მაქვს პატივი გაცნობოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ მეტრიკული წიგნები შემოღებულია საქართველოში 1818 წლის დასაწყისში.

ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრულის მორჩილებით დავშთები მოწყალე ხელმწიფე თქვენი მაღალკეთილშობილებისა.
№ 1196.
18 სექტემბერი 1829
ტფილისი

მათ მაღალკეთილშობილებას პ. დ. ზავილეისკის გ. გრუზინსკის სამოქალაქო გუბერნატორსა და კავალერს.

ფ. 139 საქ. ეგზარ. კანცელარია № 2116.



ნიკოლოზ მელიტონის-ძე



ბარათაშვილის. მეტრიკა

Ł 553
1940

ფასი 1 მ. 50 კ.

Ежемесячный журнал
„ЧВЕНИ ТАОБА"
Сахелгами 1940 г. Тбилиси